ქართველობის გადასარჩენად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

# ილორი

E-mail: roland.jalagania@mail.ru

E-mail: r.jalagania@mail.ru

№429 (487) 8-22 მაისი 2018 წ. სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო ფასი 50 თეთრი


**სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა — აკაკი შანიძე**

## სერგი საჯაია: არა, ეს ქართული მწერლობა არ არის!..

გვ.2

გვ. 9

## დავით თორდია: ერთპირი იყო მთელი ქვეყანა და ერთ ენაზე მეტყველი

გვ.5

## ჰამლეტ ჭიპაშვილი: უფრთხილდით ავტომატიან კაცებს

გვ.2

## როგორ გააკოტრა, დააქცია და გაყიდა სააკაშვილმა საქართველო

გვ.4

## ლავრენტი ბერია — საბჭოთა კავშირის ცილდაწამებული გმირი

## ზურაბ ჭკადუა

გვ.3

## გამარჯობა, აფხაზეთო! ...და კენები (ხალიბები)!

გვ.7

## ჩვენი ირაკლი აღარ არის!

გვ.6

## ლუარა სორდია: მერაბ კოსტავას პოეზია

## ქართველი ტროცკისტები და მათი გააქტიურებული ლაშქრობა

გვ.8

## ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ

## საპატრიარქო კარის თამაშები

ინტერვიუ გენერალ ვახტანგ გვარამიასთან

გვ.11

# არა, ეს ქართული მწერლობა არ არის!..

იმ დროს, როდესაც გენიალური აინშტაინის (ასევე მისი დონის ასობით თანამწვერვალთა) მშობელი ერის მიერ ღვთის ნებით სასწაულებრივად აღორძინებული სახელმწიფო ისრაელი, ქვეყანა, რომელმაც მსოფლიოს წარუჩინა თანამედროვე სახელმწიფოს მშენებლობის თვალსაჩინოება (ყოველ შემთხვევაში, ლევან ბერძენიშვილზე და მისთანათა არანაკლებ ესმის თუ რაღაა დემოკრატია), თავის მოსახლეობას რაზმავს ერთობლივი ლოცვისათვის (ღვთის მიმოწაფებისათვის), აი, სწორედ მაშინ აგრესიული გლობალიზმის უარავინო და უვინაო გამოინკუბატორება ასეთი „შემოქმედებით“ ირთობს თავს და ელაზღანდარება ღმერთს: „რასაკვირველია, უფალს უფლება აქვს არ არსებობდეს, ეს ძალიან დემოკრატიულია“... შემდეგ: „რომელმან სულიწმინდის დესანტი გადმოსხი ჩვენს მოწყვლად ტანებში, რომელმან შექმენი სექსი ლოგინში და სიკვდილი სომალიში“ (პაატა შამუგია), ან კიდევ: „მამა მხრებს „იჩეჩავს, თვალებით: ჩემი ყ...“ მისივე „ცხოვრება ერთი დიდი ძღნერის (მკითხველთან ბოდიში, ს. საჯ.) ორმო რაა, ეს ურყევი ჭეშმარიტებაა“ (ზაზა ბურჭულაძე).

როგორც ხედავთ, ეს სულისკვეთება მკრეხელს (და არა პოეტს) უფლისკენ აქვს მიმისამართებული.

დიახ, დიახ, ასეა: იმ დროს, როდესაც თავისი ეროვნულობისა და რწმენის მარადიულყოფა უზრუნველყოფილი, მეტიც, მსოფლიოს ერთერთი მესვლაგეზე ისრაელი სამამული სულისკვეთებით ღმერთს ემოწაფება, მაშინ სახელმწიფოებრიობა დანგრეული, ჭერჩამოქცეული და ბრბოდქცეული ქართული საზოგადოების ერთი სტრატეგიული ნაწილი ლაშა ბუღაძის, პაატა შამუგიას, ზაზა ბურჭულაძისა და ძმათა მათთა ხელცდუნებებში სისხლადსაღევად უმეგზურდება სრულიად საქართველოს!

ამ ე. წ. მწერლობისთვის საერთოდ სიყვარული და განსაკუთრებით ასეთი გრძნობა სამშობლოსადმი (ისევე, როგორც უფლისადმი ან დედისადმი) მანიაკალური მდგომარეობაა, ის კი არადა, ქალისადმი გულწრფელი გამიჯნურებაც „მთლად საღი მოთხოვნილება“ არაა და ამდენად, შეუგინებლობად არ დგინდება.

ცხადია, არაერთათასწლოვანი ქართული მწერლობა (მკითხველი დამეთანხმება, რომ მრავალი ათასი წლის წინ ამოწერაქვებული ქართული ანბანი, უპირველეს ყოვლისა, საწერად შეიქმნა და არა საკრიალოსნო ასხმულად), დიახ მეთქი, ეროვნული მწერლობა ჩვენი ქართველთა გონითი განფენის სივრცეში სიბრძნის გამსაგნებელი გახდა, საიდანაც გამომდინარეობს ეროვნული სულისკვეთება, ცნობიერება, მსოფლმხედველობა, აზროვნების წესი, სამეურნეო და სამხედრო-თავდაცვითი წესრიგი, ყოფაქცევა ლასკარულ ყოველდღიურობაში და ა.შ. რითაც ერი ამუხლმაგრებს ქვეყნის მარადიულყოფის იდეოლოგიას.

სამწუხაროდ, როდესაც 20-ე საუკუნის 90-იანი წლებიდან (ეროვნული ხელისუფლების დამხობისა და ქვეყნის შენიღბული ოკუპაციის შემდეგ), ავიფრიალეთ რა დივერსიული ლოზუნგი „დავეუფლოთ ამერიკულ სულს“, საქართველოს რადიოში, ფაქტობრივად, აიკრძალა ქართული ხალხური სიმღერების აუღერება, რაც თვით საბჭოთა ხელისუფლებასაც არ უცდია, – ყოველ დილით, საქართველოს ჰიმნთან ერთად, ქართული ხალხური სიმღერების მოსმენით იყოველდღიურებდა საქართველო საკუთარ შინაარსს.

აი, სწორედ ეს იყო ის პირველი შემპარავი და სასინჯი ნაბიჯი იქეთკენ, – სასკოლო ცხოვრებიდან გაეძევებინათ იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“, ქართველ მწერალთა მამულიშვილური გრძნობის გამღვივებელი ნაწარმოებები, რასაც მოჰყვა განათლების, კულტურისა და მეცნიერების გაცამტვერება ქვეყანაში.

დივერსიული ეთნოფაბრიკაციის ეს ხერხები აგრესიულ გლობალიზმს დასჭირდა იმისათვის, რათა ჯერ შეექმნა, შემდეგ მამულისთვის მიესარეველებინა და ბოლოს, ახალ ნაციად ჩაენაცვლებინა წინამდებარე ოლიგოფობიური სიმრავლე ქართველი ერისათვის (რაც შეეხება ოლიგოფობიას, მოგეხსენებათ იგი საკუთარი სამშობლოს, რწმენის, ეროვნული სიწმინდის, სახალხო ვინაობისა და ა.შ. აულაგმავ სიძულვილს ნიშნავს).

სწორედ ოლიგოფობიური თარეშის გამრავალცალება (ტირაჟირება) გახლავთ ის, რაც ე.წ. პოეტ ზვიად რატიანის გარშემო „უფლებადაცვის“ სახით ხდება „რუსთავი-2“-ისა თუ მის მსგავს საეთნოდივერსიო ვითომ მასმედიაში. ყოველივე ამას (ამ მხრივ იხილეთ 2017 წლის დეკემბერში იგივე „რუსთავი-2“-ით ქართველი ერისათვის ვინმე ეკა კვესიტაძის, ასევე „იმედზე“გია ჯაჯანიძის და ა.შ.) გადაცემა, რომელსაც არაფერი აქვს საერთო საქართველოს ეროვნულ თუ სახალხო მიზნებთან.

ჩვენდა საუბედუროდ, სატკივარი, რომელიც ჩვენს ქვეყანას სათავზარო სიცხადედ ანუ მილევად მდგომარეობად გაუყოველდღიურდა (გასხვისებული მამული, სიკვდილიანობის ორჯერ გადამეტება შობადობაზე, ათიათასობით უცხოელის არაგულითადი ფეხმოდგმა ჩვენს ქვეყანაში, ყოველწლიურად ორასიათასამდე ქართველის გადინება საზღვარგარეთ მსოფლიოში უიაფეს მუშახელად, ეროვნული შინაარსის თანამიმდევრული გაუკუღმართება და ა.შ.) არათუ საჭირისუფლო, „გზაც იქით ჰქონიაო“ და წიხლის ჩაზელვის თემაა ე.წ. მასმედიასა თუ „დემოკრატიულ“ აბრებს ქვეშ შეყაზარმებული საოკუპაციო კონტინგენტისათვის („გირჩი“, „თეთრი ხმაური“, ე.წ. სახალხო დამცველი, საია, თავისუფლების ინსტიტუტი და მისთანანი).

ვიმეორებ, არც თუ ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე რა გინდა რა ჩასაფრება, ორპირობა, დალატი, სიმუხთლე, აგრესორ-სეპარატისტთა ნაძირლობა მინახავს, ძირისძირამდე ვიცნობ მეთქი აგრესორ-სეპარატისტთა ქვებუნაგობას, მაგრამ ეს ყველაფერი ახლოსაც ვერ მივა იმასთან, რაც ზემოხსენებულ გია ჯაჯანიძის გადაცემაში გასიტყდა, – თითქმის ტიტლიკანა ქართველმა გოგუნამ დაგმო დედური საწყისი, ცოლ-ქმრული სარეცლის სიწმინდე და ქართველებს თითისქნევით მოგვაუტიფრა სექსის ალტერნატიული საშუალებები („ორგაზმი მამაკაცის გარეშე“ – ქალისთვის, „ორგაზმი ქალის გარეშე“ – კაცისთვის და ა.შ... როგორ ფიქრობთ, ეს აშფოთებს საზოგადოებას?!).

როგორც მოგახსენეთ, ქვეყანაში სიკვდილიანობამ გადააჭარბა შობადობას, მაგრამ ეს კი არაა „ჩვენი“ მასმედიის საშფოთვარი, მას სქესობრივ თუ სხვა სახის უმცირესობათა უფლებების „დაცვა“ ანუ ქვეყნიდან ქართველთა ეროვნული შინაარსის გაძევება აქვს გაპიროვნებული.

და ბოლოს, გითხარით უკვე „ქვედაზნის“ ქალთა (ალ. ჭინჭარაული) მიგნებებისა და თავაშვებაში თვითდამკვიდრების მეტი რა მინახავს მეთქი, მაგრამ წინამდებარე „ქვედაზნეობა“ სულ სხვანაირი გამოჭვენებაა: არა, მათი სინდისგარეცხილობა კი არაა მთავარი თვალსამზერი აქ, ისაა სათავშიცემო, – მათი „ქვედაზნეობისთვის“ ძეგლის აგებას და ქართველი ერისათვის მის საყოფაქცევო წესებად დაკანონებას თითისქნევის წესით რომ მოითხოვენ იქედან „სადაც ჯერ არს“!..

მეტსაც გეტყვით, ვერც რუსიზმი, გნებავთ აგრესიული გლობალიზმი თავის ვაშინგტონ-ბრიუსელიანად, ვერც „абхазец“ სეპარატისტთა თუ ოსთა დიდმპყრობლობა, კი ბატონო, არც დაშნაკური, მუსავატური თუ ოსმალური „კეთილმეზობლობა“, დროში არაერთგზის დადასტურებული მათი პირუმტკიცობისა და ვერაგობის მიუხედავად, ვერა, ასე იოლად ვერ წაშლის ქართულ ვინაობას, – მისი აღმგველი იქნება აგერ, ჩვენი ძილქუშის გასწვრივ, ქართულ სატახტოში დემოკრატიისა და უფლებადაცვის დროშებით მონავარდე, ქართველი ერის სახელით საქართველოს წინააღმდეგ საზურგე მახვილ მომარჯვებული სიმრავლე!..

წინამდებარე ოლიგოფობიური „მწერლობაც“ მისი ერთერთი რაზმი გახლავთ.

ჩვენი საზოგადოება თუ ამას დაიჯერებს და ქუდზეკაცური წესით გაერთმუშტდება მის ასალაგმავად, აი, მაშინ გადარჩება მხოლოდ ის.

მანამდე კი თვალდაუხამხამებლად ვუყურებ ამ სიმრავლეთა უვინაო ხიფათს, რომელზეც თავხედობა, ტუტუცობა, სამშობლოს სიძულვილი და ახურუშებული ნდომა დანავარდობს. არ დავმალავ, ასეთ დროს მეიერიშება წუთი, როცა უაზროდ ვთვლი მტრის ტყვიისათვის ჩემი (სხვას ჯვარი სწერია) უჭკუო თავის მიშვერას, რადგან უნაყოფო ჩანს იმ საზოგადოებისათვის თავგანწირვა, რომელმაც ვერა და ვერ დააღწია თავი გიჟვრაცუობას და შეუძლია ეკა კვესიტაძის, ეკა გიგაურის, ზურაბ ჯაფარიძის და ა.შ. ძირგამომთხრელობას პოლიტიკური მოღვაწეობა დაარქვას, ხოლო ლაშა ბუღაძის, პაატა შამუგიას, ზაზა ბურჭულაძისა და მათ თანამომწერავეთა სტრიქონებს მწერლობა უწოდოს.

არაა მათი ნაქნარი მწერლობა, იგი გახლავთ მეტასტაზი ქართულ სულიერებაში.

...და ბოლოს, იმისათვის, რათა გემოვნება განგებ დაკნინებულ საზოგადოებას შევახსენო თუ რაღაა ლექსი ან ვინაა, როგორ პიროვნებას ჰქვია პოეტი, გთავაზობთ წინამდებარე წყობილსიტყვას: „არაფერია, წვიმას აპირებს! ქარი, ავდარი და მისტერია! ფიქრებმა ერთხელ მეც ამატირეს შენ კი მითხარი: არაფერია! ლამაზი იყო, მზე იყო მხოლოდ: თეთრი სიზმარი, თეთრი ფერია. მე სიყვარულიც დავკარგე ბოლოს, შენ კი მითხარი: – არაფერია! ცრემლები დაშრნენ. დღეს დღენი მიჰყვა... გზებ ია-ვარდი დაუფენიათ. არაფერია, მე ბავშვი ვიყავ, თორემ ცრემლებიც არაფერია... მოიტათ ღვინო... სულში ფარული არ დარჩეს კიდევ ჩრდილი პატარაც, ვხედავ, მეწვია მე სიხარული, მაგრამ ძნელია მისი ატანაც! მოიტათ ღვინო... ღვინო სისხლს ერთვის, შეგათრთოლებს და სისხლის ფერია... ვგიჟდები... ახლაც მაღირსე ერთი, ძმავ, ეგ ძვირფასი: – არაფერია! (ალ. საჯაია).

დიახ, ჯერჯერობით ქვეყანა ცხოვრობს სამერმისო, ერის მარადიულმყოფი მიზნების გარეშე, ანუ უფალსა და სამშობლოს დაპირისპირებული!.. მეტიც, არ არის მეთქი ანალიტიკური დასკვნა იმაზე თუ რა შეიძლება, ასეთ წინაგაუხედაობას მოჰყვეს!..

არსებობს ასეთი მოვალეობა, – ღირსების დაცვა საკუთარ ვინაობაში. ასეთი პასუხისმგებლობა უფალმა არ მიუპიროვნა მათ. ცხოვრება ამ უნარის გარეშე – სულმოკლეობაა.

ამგვარი ქმედუუნარობის გამო დღეს ქართული საზოგადოების უპირატესი ნაწილი ერთბაშად კოლექტიური თეიმურაზ ხევისთავი გახლავთ.

წინამდებარე სიცხადეში სათავშიცემო ისაა, რომ სწორედ ამ მდგომარეობაში ნეტარებს იგი მხოლოდ და განიცდის ორგაზმს!..

**სერგი (გიორგი) საჯაია**

# როგორ გააკოტრა, დააქცია და გაყიდა სააკაშვილმა საქართველო

**“წადი ამერიკაში და რომელიმე უნივერსიტეტში იკითხე ლექციები, აცინე სტუდენტები, სანამ ან უკრაინის ან საქართველოს სასამართლოს არ ჩაუსვიხარ ციხეში, ან პუტინს არ შეუსრულებია შენთვის დანაპირები, – თავდაყირა ჩამოკიდების თაობაზე!”,**

– ასე ეხმაურება პარტია „მემარცხენე ალიანსის“ ლიდერი სოსო შატბერაშვილი „მარშალპრესთან“ საუბარში საქართველოს ყოფილის პრეზიდენტის განცხადებას, რომლის თანახმადაც, ის საქართველოში ჩამოსვლას გეგმავს. სოსო შატბერაშვილი მიხეილ სააკაშვილის მიმართავს:

„ეშველა საქართველოს! სააკაშვილმა ახალი გვირაბის თხრა დაიწყო, ახლა ალბათ ჰოლანდიიდან! ისე, პატივცემული მიშა ოდესიდან სოლოლაკამდე რომ თხრიდი გვირაბს, იმას რა ბედი ეწია საინტერესოა. გასაგებია რომ გული გეწვის ქართველი ხალხის გაჭირვებაზე, მაგრამ სახურავიდან რომ ხტებოდი უკრაინელი ხალხის ბედნიერებისთვის, იმ იდეას უდალატე თუ როგორ არის შენი საქმე? პოროშენკოს უპირებდი დამხობას, უკრაინელი ვარო ამაყად აცხადებდი, რა ხელი აიღე დიად მიზანზე, თუ პატრონებმა სხვა დავალება მოგცეს? ისე, ვინ იცის ვინაა შენი პატრონი და რამდენი გყავს იქნებ გგონია შენი ”საქმენი საგმირონი” ვინმეს დააავწყდა?! შეგახსენო? – წვრილ და საშუალო ბიზნესს ვუშველიო, შენ არ იყავი ”ელიავას ბაზრობას” რომ ყიდდი ”მეგალაინის” მეპატრონეზე და იქ მოვაჭრეებს ქუჩაში ერეკებოდი?! შენ არ უყენებდი ბაზარში წვრილ მოვაჭრეებს სალარო აპარატებს?! შენ არ დაანგრიე ”დეზერტირების ბაზარი?!” შენ არ ხურავდი ”ციგნების ბაზარს?!” შენ არ დაანგრიე ბიზნეს ობიექტები მეტრო ”დელისთან”?! შენ არ წაართვი და დაუნგრიე რესტორნები და კაფეები ხალხს რიყეზე?! შენ არ წაართვი აბანოთუბანში მოქალაქეებს ბიზნესი?! შენ არ გააძევე ”სონის” მადაზია რუსთაველის პროსპექტიდან?! შენ არ მიუვარდი ”ბადაგონს”, ბიზნესი ”ჩაუძირე” და ტონობით ღვინო დაუქციე?! ”შირნჰოფერის” განადგურების მცდელობაც არ დაგვიწყნია სხვათა შორის შენ არ იყავი ერგნეთის ბაზრობა რომ დახურე და უკვე მოგვარებული ქართულ-ოსური კინფლიქტი რომ გააღვივე?! ახლა ბადრი პატარკაციშვილზე წართმეული მთაწმინდის პარკი?.. ”იმედი”?.. ოქუაშვილისთვის წართმეული ბიზნესი და ”იბერია ტვ”?.. ეს სია დაუსრულებლად შემიძლია გავაგრძელო ბანკებს ამლაგმავი!!! იქნებ გამცე პასუხი ვისია ყველაზე მსხვილი ბანკები ”საქართველოს ბანკი” და ”ლიბერთი ბანკი” შენი ხომ არაა შემთხვევით?! ვინ იყო ეროვნული ბანკის პრეზიდენტი რომან გოცირიძე ხომ არა, რომელიც შენთან ერთად ძარცვავდა ხაზინას?! ან ის 4 მილიარდი სად წავიდა აშშ-დან ომის მერე დახმარების სახით რომ შემოვიდა?! ”სარდალ”კეზერაშვილს რომ თავდაცვის ბიუჯეტი აძარცვინე ეგ საქმე როგორ იყო?..

ჰო მართლა, შენ და უგულავამ 2006 წელს თბილისში ტრამვაი-ტროლეიბუსები რომ მოშალეთ და ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე რომ დააყენეთ ქალაქი?!. პარკის ტერიტორიები კი გაყიდეთ, ბენდუქიძემ რომ ყველაფერი მიაყიდა უნივერსიტეტების ჩათვლით, სინდისის გარდა ესაც გახსოვს ალბათ ივანიშვილი მოსკოვის დავალებას ასრულებსო? ამას შენ ამბობ? 250 ენერგო-ობიექტი მოსკოვს რომ გადაუფორმე? ოქროს საბადო კგბ-ს გენერალს გენერალოვს რომ აჩუქე? გაგახსენო შენი 2003 წლის დაპირება ”დავიბრუნოთ ჩვენი ანაბრები!” რა წარმატებით შეასრულეთ შენ და ვანიჩქა ჩხარტიშვილმა ხალხი წამლებს ვერ ყიდულობსო, გაგახსენებ რომ შენი საარჩევნო კამპანიის ყველაზე დიდი დამფინანსებლები “ავერსი” და „ჰსპ“ იყვნენ, რომლებსაც წილში ეჯექი!

რაც შეეხება მასწავლებლებს, შენი “წყალობით” 100-ზე მეტი სკოლა და უამრავი საბავშვო ბაღი დაიხურა, მრავალი ბიბლიოთეკა განადგურდა და შენობები კაზინოებზე, ჩინურ სამასაჟოებზე, სახინკლეებზე, სახაშეებზე, ღამის კლუბებზე და საროსკიპოებზე გაიყიდა, აი, ასე ზრუნავდი შენ პედაგოგებზე

რაც შეეხება პოლიციელებს, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია და ამას შენც აღიარებდი, რომ შსს ტექნიკურად მთლიანად ბიძინა ივანიშვილმა აღჭურვა, შენ კი ფულს პოლიციელების ხელფასზე კი არა, საპრეზიდენტო სასახლის მშენებლობაზე ხარჯავდი რაშიც ნახევარი მილიარდი დოლარი “მიაფშვენი”

და ბოლოს მუზეუმიდან ფიროსმანის ნახატის მისაკუთრებაც მოისურვე, რისი უფლებაც ჩვენ არ მოგეცით!

რაც შეეხება ქართველების ქვეყნიდან გადინებას, ეს უზარმაზარი ტრაგედიაა ჩვენი ქვეყნისთვის და თუ რაიმე პრეტენზია მაქვს “ქართულ ოცნებასთან” ყველაზე მთავარი სწორედ ესაა, მაგრამ დღეს ყველას შეუძლია უვიზოდ იმოგზაუროს ევროპაში, ასევე განიხილება რამდენიმე ქვეყნის მიერ სამუშაო ვიზების გაცემის საკითხი. რა ხდებოდა შენ დროს? – საკონსულოებში ჰყვაოდა კორუფცია, სადაც ვიზის მიღებაში ჩვენი მოქალაქეები 5-10-20 ათას დოლარსაც კი იხდიდნენ. ასე რომ პატივცემულო მიხეილ, დაეტიე იქ სადაც ხარ, შენ აქ არავინ არ გელოდება და გირჩევ, ის გააკეთო, რაც შენმა ძველმა პატრონმა და აღმზრდელმა მილიარდერმა კირკორიანმა გირჩია... წადი ამერიკაში და რომელიმე უნივერსიტეტში იკითხე ლექციები, აცინე სტუდენტები, სანამ ან უკრაინის ან საქართველოს სასამართლოს არ ჩაუსვიხარ ციხეში, ან პუტინს არ შეუსრულებია შენთვის დანაპირები, – თავდაყირა ჩამოკიდების თაობაზე!!!”, – მიმართავს შატბერაშვილი სააკაშვილს.

# გამარჯობა, აფხაზეთო! ...და კენები (ხალიბები)!

**„პაფლაფონიელთა სპას მიუძღოდა პილემენი მკერდჯაგრიანი.**

**– ყველას, მობინადრეს ენეტებში, სადაც ჯოგდებიან ველური ჯორები, იმათ ვინც კიტორს ფლობდა და სესამის ახლოს ცხოვრობდნენ. პაფლაგონიის სანაპიროსთან მშვენიერ სახლებში ცხოვრობდნენ, ერიფიმის მწვერვალებზე, და ეგიალეში ცხოვრობდნენ, კრომნაში“.**

წინამდებარე ჰეგზამეტრის ნაწყვეტი ჰომეროსს ეკუთვნის, კაცობრიობის ისტორიაში პირველ ისტორიულ პოემა-რომანს – ილიადას.

მკითხველს შევახსენებ, რომ ეს ისტორიული ბერძნული საგა შეიქმნა VIII-IX საუკუნეების მიჯნაზე ჩვენს წელთა აღრიცხვამდე. მაშინ, როდესაც ტროას ისტორიული ომი იყო 1209-1200 ჩ.წ. აღ-მდე. ისტორიულად ომიდან პოემის ქაღალდზე გადატანამდე მთელი 400 წელია გასული. ეს 400 წელი პოემა-ლეგენდა გადმოცემის სახით არსებობდა ხალხში, რომელი ლეგენდის ნაწყვეტები ჰომეროსმა სათითაოდ შეაგროვა და პოემად ჩამოასხა.

ომის ფაქტსა და ომის აღწერას შორის ოთხსაუკუნოვანი სხვაობა არ იძლევა საშუალებას, რომ ჰომეროსის პოემის ყოველი პასაჟი უკრიტიკოდ იქნას მიღებული.

არსებობს მინიმუმ ორი თვალშისაცემი შეუსაბამობა, რაც წარსულში მომხდარი ფაქტების აუცილებელ კოერქტირებას მოითხოვს:

1. ჰომეროსი თავის პოემა „ილიადაში“ ბერძენ მეზღვაურ-მეომრებს ტრიერებზე (ხომალდი სამსართულიანი გემბანით) ათავსებს, გარდა ფილოქტეტეს ორმოცდაათ ნიჩბიანი ნავებისა.

2. ჰომეროსის პოემის არასწორი წაკითხვა გახდა მიზეზი იმისა, რომ ომის მონაწილედ კენებიც (ენეტები) გამოცხადდა, რამაც საშუალება მისცა ელინ დრამატურგებს, ენეტიკა (ვენეცია) ტროას ომიდან დაბრუნებულ ენეტთა მიერ დასახლებულად გამოეცხადებინათ.

(აქ და შემდგომ, ავტორს წყაროები, სამტკიცი არგუმენტები წიგნის მეორე ნაწილში გადააქვს, რამეთუ პირველი ნაწილი მსჯელობით არ გადაიტვირთოს და მთავარი ხაზი არ დაიკარგოს. წიგნის მეორე ნაწილი, რომლის წაკითხვაც სასურველია პარალელურ რეჟიმში, არანაკლებ საინტერესო საკითხავია).

ბერძენთა საზღვაოსნო მიღწევა, „ნოუ-ჰაუ“ ამ პერიოდისათვის მხოლოდ ორმოცდაათ ნიჩბიანი ხომალდი იყო! (1) რაც შეეხება ფოლადის იარაღს, ტროას ომის ეპოქა, ბრინჯაო-რკინის გარდამავალი პერიოდით ხასიათდება.

ტროას ომში ფოლადის სულ ორი იარაღი იბრძოდა: აქილევსის პირველი საჭურველი, რომელიც, რომელიც გმირმა ჰექტორმა აართვა პატროკლეს, და, ასევე, აქილევსის მეორე საჭურველი, რომელიც პოემის მიხედვით ჰეფესტომ გამოჭედა! (2)

ილიადას წინამდებარე ნაწყვეტში პაფლაგონიელთა ბელადის, პილემენის ეპითეტი „მკერდჯაგრიანი“ ერთობ გასაგებია და მისადებია ქართველთათვის, თუმცა პილემენი ქართველური წარმოშობისა არ ყოფილა! სტრაბონის მიხედვით, რომელიც ამავე რეგიონიდანაა, პაფლაგონიელებსა და კაბდოკიელებს ერთი და იმავე სასაუბრო ენა აქვთ. (სავარაუდოდ სირიული, შეთვისებული პაფლაგონიელების მიერ).

რაც შეხება სინოპელ ენეტებს,კენებს, ჩვენი კვლევებით (როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ) ეს ის თემია, რომელსაც ორიოდ საუკუნით გვიან ხალიბებად, ფოლადის პირველმომპოვებლებად იხსენიებენ.!

ზემოთ მოყვანილი ჰომეროსის ციტატა, რომ ომში პაფლაგონიელები მონაწილეობენ (და არა ენეტები) კვლევის პროცესში დამტკიცდა. რომ ენეტთა ტომის საცხოვრისი ადგილის მითითებით, რომლებიც უძველესი მცხოვრებნი ჩანან ამ ადგილისა, და რომლის შესახებ ელინური საზოგადოება ინფორმირებული ჩანს, ჰომეროსი მიანიშნებს და საზღვრავს გვიან ჩამოსახლებული პაფლაგონების ბინადრობის ადგილს. უფრო მეტიც, შემდგომი კვლევებით მტკიცდება, რომ პაფლაგონიელები ამ ტერიტორიაზე მოგვიანებით შემოჭრილი, ენიტებისათვის უცხო ტომია, რომელმაც ეს უკანასკნელი მარიანდინებთან ერთად შუაზე გახლიჩა, დაინაწილა. (როგორც ირკვევა, ჰომეროსი საკუთარი ეპოქის სინამდვილეს აღწერს და გვიან დასახლებულ პაფლაგონებს არ შეეძლოთ ტროას ომში მონაწილეობა. უფრო მეტიც, პაფლაგონთა ხსენება სინოპას ნახევარკუნძულზე, პოემა „ილიადის“ შეთხზვის თარიღის კორექტივასაც კი მოითხოვს!

იმავე მიზეზით, რომ ხალიბები( ენეტები) ამ პერიოდისათვის უკვე ფლობენ ფოლადის იარაღს (და მისი წარმოების ტექნოლოგიას), მათი მონაწილეობა ტროას ომში გამორიცხულია! წინააღმდეგ შემთხვევაში, იქ არა ერთი აქილევსი იქნებოდა ფოლადის იარაღ-საჭურველის მფლობელი, ვინაიდან ხალიბები (ენეტები) თავიანთი გამოკვერილი ფოლადის აბჯარ-იარაღით მიიღებდნენ მონაწილოებას ომში!

...და მაინც, ეს ქართველ ტომთაგან ერთ-ერთი პირველი ხსენებაა ანტიკურ ლიტერატურაში. ის, რომ თემი პაფლაგონიელთა ტერიტორიის ორივე მხარეს ცხოვრობს, გვიჩვენებს, რომ ენეტები პაფლაგონიელთა ადრე არიან მოსული ამ ადგილას და ამავე ტერიტორიაზე ხდება მათი სახელდება ხენებად, ხალიბებად!

ქრონოლოგიურად ხალიბების ხსენება უკვე ჰეკატე მილეტელთანაა, VIს. ჩვ. წ. აღ.-მდე).

ჰეკატე მილეტელი (3) ბერძენი მოგზაური და ისტორიკოსია, „დედამიწის აღწერილობის“ ავტორი. ჩვენამდე მოღწეულია რამდენიმე ფრაგმენტი, მაგრამ უკიდურესად მნიშვნელოვანი!

ჰეკატესეული შემორჩენილი ფრაგმენტი იყოფა ფაქტიურად ორ ნაწილად:“აზია“ და „ევროპა“, შემონახული ბიზანტიური ე. წ. სვიდას ლექსიკონში, სადაც ზოგიერთი განმარტებითი სახის შენიშვნა გვიანაა გაკეთებული. აზიის „ჩვენთვის საინტეერსო ფრაგმენტი ასე გამოიყურება.

185.კორაქსი,კოლხური ტომი, კოლების მეზობელი, კორაქსების ქვეყანა და კორაჩეს კედელი.

186. კოლები, ხალხი კავკასიის მთებთან, კავკასიის მთისწინეთი, კოლების მთებად იწოდება, კოლები ქვეყანა.

187. ჰეკატეს მიხედვით, ფაზისი არ ერთვის ზღვას?!

188. მოსხები კოლხური ტომი, მატიენების მეზობლად.

189. გიონე, მატიენების ქალაქი, გორდიელების მეზობლად.

ამ ქალაქის მცხოვრებმი იცვამდნენ პაფლაგონიელების მსგავსად.

190. ხოი, ბეხირების მეზობელი ტომი, ხოის აღმოსავლეთ საზღვარზე ცხოვრობენ დიზერები.

191. მაკრონები, ამ დროისათვის სანები.

192. მარები, მოსინიკების მეზობელი ტომი

193. ტიბარანების აღმოსავლეთ საზღვრებზე ცხოვრობენ მოსინიკები. მათ აქვთ ქალაქი ხოირედესი.

194. ტეირეა, ლევკოსირების ქალაქი.

195. ხალიბები, მცირერიცხოვანი ხალხი პონტოსთან, თერმოდონტზე, ხალიბების სამხრეთით ეკრობა არმინა.

196. სტემენა, ხალიბთა ქალაქი

197. გერმონესა, ადგილი (კოლონია) ტრაპეზუნტთან

198. პატრასისი, ქალაქ პონტოსთან.

199. კროსსა, ქალაქი პონტოსთან.

212. ამაზონიონი, ასე ადრე ეწოდებოდა კიტას, სადაც ცხოვრობდნენ ამაზონები.

რაც შეეხება ჰეკატე მილეტელის „ევროპის“ აღწერას, აქ ჩვენთვის საინტერესო მხოლოდ ერთი ფაქტია:

„დანდარიები, ტომი კავკასიის მახლობლად, როგორც ამბობს ჰეკატე „ევროპაში“ (სტეფანე ბიზანტიელი, გეორგიკა, წიგნი მე-3, გვ. 277).

ჰეკატე მილეთელის ჩვენს დრომდე მოღწეული ნაწყვეტების კვლევა №187 მუხლით დავიწყოთ. ამ მუხლის მიხედვით, მდინარე ფაზისი ზღვას არ ერთვის. აქსიომაა, რომ მდინარე, რომელიც ზღვაში არ ჩაედინება, ერთვის ან ტბას, ან სხვა მდინარეს. რა მდგომარეობაა ჩვენს მდინარე ფაზისთან (რიონთან) დამოკიდებულებაში?

პალიასტომის ტბა ფაქტიურად ლიმანია (ლაგუნა), რომლის მსგავსი არაერთია შავი და აზოვის ზღვების გასაყარზე. ჰეკატეს პერიოდში, ჩვ.წ.აღ.-მდე მე-6 საუკუნეში ფაზისი რომ პალიასტომის გავლით შესულიყო შავ ზღვაში, ასევე ჩაითვლებოდა, რომ ის ზღვას უერთდება. შავი ზღვა-პალიასტომი-ფაზისი, ჰეკატე მილეტელისეული ვარიანტიდან უნდა გამოირიცხოს. არსებობს თუ არა სხვა მდინარე ფასისი, რომელიც ასევე, მდინარეს უერთდება?

პასუხი დადებითია, ასეთი მდინარე არსებობს! ის მდინარე არაქსის ზემოწელია, რომელსაც არაერთგზის ახსენებს ბერძენი ისტორიკოსი და მოლაშქრე – ქსენოფონტი.

ის, რომ მოინახა მდინარე, ფასისად სახელდებული, რომელიც ზღვაში არ ჩაედინება, ვერ იქნება სამტკიცი იმისა, რომ ჰეკატეს აზიის ეს მდინარე აქვს მხედველობაში. საჭიროა დამატებითი სამტკიცები.

„რატომაა მისი საზღვრები – ნილოსი, რომელიც ითვლება ეგვიპტის მდინარედ და ფასისი, კოლხეთის მდინარე (ხოლო სხვები ასახელებენ მაიეტსის მდინარეს ტანაისს და კიმერიულ გადასასვლელს) არც სახელები ვიცით იმათი, რომლებმაც ასე დაჰყვეს დედამიწა, და არც ის, თუ საიდან დაარქვეს ეს სახელი“.

(ჰეროდოტე, ტომი 1, ნაწილი IV-45 მელპომენე, თბილისი, 1975).

ჰეროდოტე აქ აფრიკა, აზია, ევროპის საზღვრებზე საუბრობს.

ჰეროდოტეს სიტყვებიდან გამომდინარე ჰეკატე მილეტელი ევროპა-აზიის საზღვრად მდინარე ფასისს (რიონს) უნდა გულისხმობდეს, განსხვავებით, სხვა, არცთუ მრავალრიცხოვან გეოგრაფთაგან. მხედველობაში რომ არ მივიღოთ სტეფანე ბიზანტიელის ზემოთ მოყვანილი ციტატა იმავე ჰეკატესეული ნაშრომიდან, რომელიც დანდარიებს ევროპაში ასახელებს, ამავე აზრისაა დანდარიების შესახებ მოგვიანებით სტრაბონიც:

„მეოტების რიცხვს მიეკუთვნებიან სინდები და დანდარები, ტორეტები, აგრები და აპრეხები, ასევე ტერპეტები, ობიდიაკენები, სიტტაკენები დოსკები და ზოგიერთი სხვა“ (სტრაბონი, წიგნი XI, II-11)

სტრაბონი ევროპა-აზიის საზღვრად ერთმნიშვნელოვნად მდინარე ტანაისს (დონს) მიიჩნევს. გამომდინარე ამ პოსტულატიდან, დანდარები, ტორეტები და ზემოთ ჩამოთვლილი სხვა ტომები, სტრაბონისათვის უკვე აზიაა, მდინარე ტანაისის აღმოსავლეთით მდებარე!

იგივე ტომი დანდარიებისა, ჰეკატე მილეტელს ევროპაში აქვს მოხსენიებული!

ცხადია, ჰეკატე მილეტელისეული საზღვარი ევროპა-აზიას შორის, მდინარე ფაზისზე (რიონზე) გადის!

თუ ევრაზიის საზღვარი მდინარე ფაზისია (რიონი), ჰეკატე მილეტელის „აზიის“ აღწერაში მოხსენიებული კოლები და კორაქსები ვერანაირად მოხვდებოდნენ ქალაქ სოხუმთან, ვინაიდან ეს ტერიტორიები უნდა მოხვედრილიყო „ევროპის“ აღწერაში!

ცხადია, ჰეკატე მილეტელის ჩვენამდე მოღწეული „აზიის“ აღწერა იწყება მესხეთის მთებით, კოლების და კორაქსების აღწერით. მიყვება როგორც შავი ზღვის სანაპიროს სამხრეთის მიმართულებით, ასევე აზიის კონტინენტის სიღრმეზე რამდენიმე ასეული კილომეტრის სიღრმეზე. №185-186 პუნქტი ჰეკატესეული ცნობებისა, რომელიც კოლებსა და კორაქსებს შეეხება, განთავსდება მესხეთის (კორაქსის) მთების ზემოთ. ასე რქმევია VI ს. ჩვ. წ. აღ-მდე, ასე ჰქვია პლინიუს უფროსთან I საუკუნეში, ასევე უწოდებს პროკოფი კესარიელი VI საუკუნეში ამ მთებს!

კორაქსების ტომების განთავსება სოხუმთან ახლოს გამოწვეულია ზემოთ აღნიშნული ჰეკატესეული ტექსტის არასწორი წაკითხვით. ჯერ ფსევდო სკოლაქს კარიანდელის, შემდგომ პომპონიუს მელას მიერ. საბოლოოდ რუკაზე შესაბამისი კოორდინატების დატანა მოხდა კლავდიოს პტოლომაიოსის მიერ. კორაჩეს კედელი, როგორც სვიდაში ჩანს, შესაძლებელი იყო მხოლოდ VI საუკუნის მერე ჩვ.წ. აღრიცხვით შეტანილი. ვურჩევდი ქართველ, (და არა მხოლოდ ქართველ) მეცნიერებს, კორაქსთა ტომის უნაყოფო ძებნას თავი დავანებოთ კელასურის კედელთან, რომელიც იუსტინიანე კესარიელის ხელშეწყობითაა აშენებული VI საუკუნეში – ქრისტესით.

ამრიგად, ეჭვმიუტანლად დამტკიცებულია, რომ კორაქსების მთები და შესაბამისად კორაქსები მესხეთის (ჰეკატესეული მოსხების) გვერდზე არიან განლაგებული. სავარაუდოა, რომ ჰეკატე ტერმინ კოლხებში – ქართველებს გულისხმობს.

კოლები, კორაქსების ახლოს, რასაკვირველია, კოლას მიდამოში მცხოვრები ქართველური ტომები იგულისხმება, რა ვერსიასაც უდიდესი ქართველი მკვლევარი, პავლე ინგოროყვაც ანვითარებს. დამაფიქრებელია, რომ ამ დროსათვის არტაანი იქ არ ჩანს. (ჯერ არ ჩანს....)

მატიენები, ეს ინდოევროპული ტომი ჩანს კონტინენტის სიღრმეში. მისი ლოკალიზაცია შესაძლებელია ჰეროდოტეს მიხედვით.

ბეხიხირები – სავარაუდოდ, ქართველური ტომი (ბახარი – ასეთი დასახლებული პუნქტი დღესაც არსებობს დღევანდელ თურქეთში. ტრაპეზუნტ-კერასუნტს შუა, კონტინენტის სიღრმეში).

ხოი, მაკრონები, მარები, ტიბარანები, მოსინიკები, უმრავლესობა ადგილნაცვლებულია (საქართველო რესპუბლიკის ფარგლებში თუ ფარგლებს გარეთ). მათი იდენტიფიკაცია, განსახლების შუალედური თუ საბოლოო პუნქტების აღმოჩენა-დამტკიცება ხდება ანტიკურ ავტორთა ეჭვმიუტანელი ცნობების საფუძველზე. ტომების გადაადგილებისა და მათი საბოლოო განსახლების ადგილების პოვნა ბიზანტიური, თურქული და რუსული წყაროების საშაუალებით ხდება შესძლებელი.

„ტომები არ ქრებიან, ისინი განაგრძობენ არსებობას სხვა სახელის ქვეს ან სხვაგაან“ (პომპინიუს მელას პერიფრაზა)

დაუჯერებელია, მაგრამ ზოგიერთი ტომის წარმომადგენელთა გვარებიც კი არის დაფიქსირებული, ხოლო ზოგიერთი გვარის ამა თუ იმ ქართველური ტომისათვის უშეცდომოდ მიკუთვნებაც კი არის შესაძლებელი!

ჰეკატე მილეტელის ცნობა:

ხალიბები, მცირერიცხოვანი ხალხი, მცხოვრები პონტოსთან, თერმოდონტზე. ხალიბების სამხრეთიდ ეკვრის არმინა.

ერთობ საყურადღებოა. ის, რომ აქ ხალიბების მცირერიცხოვნობაზეა საუბარი, რომელსაც ჩვენ მოგვაანებით შევეხებით.

– ხალიბები, სავარაუდოდ, სამხრეთის მიმართულებით მდინარე თერმოდონტიდან მოყოლებული, ზღვის სანაპიროს გასწვრივ მეჩხრად ცხოვრობენ, არცთუ მრავალრიცხოვანი არიან. სახეზეა ხალიბთა რაოდენობის მნიშვნელოვანი კლება ამ ადგილებზე, სავარაუდოდ, მათი სიმჭიდროვის ხარჯზე. ტერიტორიულად ისინი მდინარე თერმოდონტიდან სინოპის მთელ ნახევარკუნძულზე ჩანან მიმოფანტული, ვინაიდან არმინა – ეს პროვინცია სინოპელთა ნავმისადგომია, სინოპიდან 6-9 კილომეტრი სამხრეთით.

**ზურაბ ჭკადუა,**

*(გაგრძელება იქნება)*

# ლავრენტი ბერია – საბჭოთა კავშირის ცილდაწამებული გმირი

*(გაგრძელება წინა ნომრიდან)*

რამდენიმე კვირის შემდეგ ტკაჩენკო უჩვენებს ნოვიკოვს ბერიას სახელზე შედგენილ წერილს, სადაც შეთავაზებულია უაზრო საკადრო გადაადგილებები იარაღის მწარმოებელ ქარხნებში – ეს მოიხსნას, ეს შეიცვალოს. ნოვიკოვი ცდილობს აუხსნას ამ საქმის უაზრობა, მაგრამ ვერაფერს ხდება. რამდენიმე ხნის შემდეგ ნოვიკოვს ურეკავს ბერია და აძლევს შეკითხვებს. იგი კარგად უგებს ნოვიკოვს და ეუბნება, რომ ყურმილი გენერალს გადასცეს. ტკაჩენკო იღებს ყურმილს და ესმის საშინელი გინება: "რატომ გაგაგზავნე შე ასეთო და შე ისეთო ნოვიკოვთან – მისგან ჯაშუშურად შეგეგროვებინა ინფორმაცია თუ დახმარებოდი! რეებს აკეთებ? იცოდე, დახვრეტა არ აგცდება!" ტკაჩენკო დგას გალურჯებული და ლუღლუღებს: "გისმენთ, ამხანაგო სახალხო კომისარო!" ამის შემდეგ ტკაჩენკო საერთოდ გაქრა..."

არა, იგი არსად არ გამქრალა. ბერიას იგი არ დაუხვრეტია, მაგრამ შეჯორვა ნამდვილად მოუხდა. ივანე მაქსიმეს ძე ტკაჩენკომ სამამულო ომი დაამთავრა შემდეგი თანამდებობებით და წოდებებით: 1941-1943 წლები – სსრკ შინსახკომის მე-7 სპეციალური სამმართველოს – ეკონომიკური მთავარი სამმართველოს უფროსი; 1942-1943 წლები – სსრკ შინსახკომის მთავარი ეკონომიკური სამმართველოს უფროსის მოადგილე. იგი საბჭოთა ატომურ პროექტშიც კი იყო ჩართული და უზრუნველყოფდა რიგი მნიშვნელოვანი ობიექტების უსაფრთხოებას, 50-იან წლებში სათავეში ედგა საბჭოთა კავშირის შინსახკომი-შსს-ს მთავარ სამმართველოებს სტავროპოლში, ჩელიაბინსკში...

მაგრამ იყო გადაწყვეტილებათა მიღების კიდევ ერთი, ფრიად უმნიშვნელოვანესი რგოლი, რომელზეც სრულად იყო დამოკიდებული... დიდი სამამულო ომის დამთავრების შედეგი. **სსრკ უმაღლესი თანამდებობის პირების წარმომადგენელთა უსაფრთხოება.**

...ოფიციალურად ობიექტს ერქვა "ი. სტალინის სახელობის ცენტრალური სტადიონი" – ყველაზე დიდი საბჭოთა კავშირში, გათვლილი 200.000 მაყურებელზე, 142 ათასი დანომრილი ადგილით. სპორტული არენის გარდა სპორტული კომპლექსი მოიცავდა სპორტულ-სავარჯიშო შენობას და საერთო საცხოვრებელს. ყოველივე ეს მდებარეობდა ახალგახსნილი მეტროს სადგურიდან 500 მეტრში. მაგრამ 1939 წელს მშენებლობა დააკონსერვეს: ჯერ ერთი, უკვე დაიწყო მეორე მსოფლიო ომი მთელი სახსრები თავდაცვის გასაძლიერებლად იქნა მიმართული, რადგან არსებობდა გერმანელთა თავდასხმის რეალური საფრთხე. მეორეც, მთავარი ობიექტი, რომლის მისაჩქმალად შენდებოდა სტადიონი, განსაკუთრებით კი მისი მესამე იარუსი, უკვე მზად იყო. **ეს გახლდათ დამატებითი სამეთაურო პუნქტი – ჯერ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის, გერმანელთა თავდასხმის შემდეგ კი უმაღლესი მთავარსარდლის საყრდენი ობიექტი.**

როგორც მწერალი ისტორიკოსი ვ.მ. ჟუხრაი (მირონენკო) გვაუწყებს, რომელიც სტალინის ცხოვრებას და მოღვაწეობას ლამის საათობრივად შეისწავლიდა, ბელადი ამ ობიეტს გაეცნო 1940 წლის აპრილში.

იოლი წარმოსადგენია, რომ ავტომანქანების კორტეჟი მოძრაობდა სპეციალურად გაყვანილ 17-კილომეტრიან გვირაბში, რომელიც კრემლის სპასკის ჭიშკართან იწყებოდა. შემდეგ გვირაბი გადიოდა ლუბიანკაზე – სსრკ შინსახკომის შენობის ქვეშ, გვერდს უქცევდა საჰაერო თავდაცვის ჯარების ბუნკერს, რომელიც მდებარეობდა მეტრო "კიროვსკაიასთან" ("Чистые пруды" – "სუფთა ტბორები"), სადაც მოხვედრა შეიძლებოდა სახალხო კომისარის მისაღებში მდებარე ლიფტით (მიასნიცკის ქუჩა №7). შემდეგ გვირაბი მიდიოდა მეტროს ხაზის პარალელურად, "იზმაილოვოს" ბუნკერის მიმართულებით.

**ჩვენი ცნობა.** *"ღრმა განთავსების სპეცობიექტს, რომელიც მდებარეობს მეტრო "კიროვსკაიასთან", გააჩნია რამდენიმე მიწისქვეშა დონე, რომლის ქვედა წერტილი მდებარეობს 70 მეტრის სიღრმეზე. იგი აგებულია 1937-1940 წლებში, მოსკოვის საჰაერო დაცვის შტაბისა და სსრკ შინსახკომის სამეთაურო პუნქტისათვის. ომის დაწყებისას აქ გადმოვიდა თავდაცვის საკავშირო კომიტეტის ხელმძღვანელობა. მატარებლები იქ არ ჩერდებოდნენ. პერონი შემოსაზღვრული იყო მაღალი კედლით, რომლის მიღმა მდებარეობდა უმაღლესი მთავარსარდლის კაბინეტი და კავშირგაბმულობის ურთულესი სისტემა, რომელსაც კავშირის დამყარება შეეძლო ნებისმიერ აბონენტთან.*

*გვირაბების ზომები სპეცობიექტებს შორის სტანდარტული იყო, სადაც თავისუფლად ეტეოდა უნივერსალური ნორმალური გაბარიტის მქონე სატრანსპორტო საშუალებები. იქ გადიოდნენ არა მხოლოდ მსუბუქი, არამედ მძიმე ტანკები და ვაგონები. ვენტილაცია და სხვა მომენტებიც მეტროს ტექნოლოგიების მსგავსად იყო შექმნილი. მატარებელი წინ ერეკებოდა ჰაერის ნაკადს და უკან ვაკუუმს ქმნიდა.*

*1990 წელს ჩატარებული რეკონსტრუქციისას ნათელი გახდა, რომ სტალინის მანქანას შეეძლო პირდაპირ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის სხდომის დარბაზში შესულიყო. გვირაბისა და ბუნკერის კარები ერთმანეთს უყურებენ. 15 მეტრის სიღრმეში, რკინაბეტონის სქელი მასის საფარქვეშ მოწყობილი იყო მანქანების გასაჩერებელი ვეებერთელა მოედანი, სადაც თავისუფლად შეიძლებოდა 150 ტანკისა და ამდენივე ავტომანქანის დაყენება. აქვე იყო განთავსებული საკმაოდ სოლიდური სარემონტო ბაზა.*

*სტალინის ბუნკერში გათვალისწინებული იყო ადგილი პირადი ექიმისათვის. თავად ტანკები გამიზნული იყო ალყის შემთხვევაში მტრის გარემოცვის გარღვევისათვის და სპეციალურ აეროდრომზე მოსახვედრად. მეტროს სადგურის პარალელურ რკინიგზის ხაზზე მუდმივ მზადყოფნაში იდგა ჯავშნოსანი მატარებელი, რომელიც მგზავრებს გაიყვანდა ჩვენს უახლოეს ქალაქამდე..."* (ნიკოლოზ პალჩიკოვი, "ღრმად განთავსებული ობიექტები", ჟურნალი "კრასნაია ზვეზდა", 21.04.2010 წელი).

ამრიგად, ჩემი ვერსია გახლავთ ის, რომ სსრკ შინსახკომის პირველი მოადგილის, გენერალ-ლეიტენენტ ი.ი. მასლენნიკოვის მიერ გამოცემული განკარგულების პირველი პუნქტის ქვეპუნქტის მოთხოვნა, რომელიც გამოიცა სსრკ შინსახკომის 1941 წლის 27 ივნისის №34 ბრძანების შესრულების უზრუნველსაყოფად, შესრულდა მხოლოდ ნაწილობრივ (გარდა სამთო-მსროლელი დივიზიისა).

აქ ყურადღებას იქცევს შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ბრძანების რიგითი ნომერი. შეიძლება ადამიანმა იფიქროს, რომ დოკუმენტაციის ნუმერაცია იწყება დიდი სამამულო ომის დაწყების დღიდან – 1941 წლის 22 ივნისიდან. ამ საბუთის ორიგინალი დღესაც უაღრესად გასაიდუმლოებულ პირობებში ინახება. ამდენად, ვერსიის სახით შეიძლება განვიხილოთ ის ფაქტი, რომ სსრკ შინსახკომის პირველი მოტომექანიზირებული კორპუსი, ძერჟინსკის სახელობის პირველი მოტომსროლელი დივიზია, პირველი სატანკო და პირველი ტანკსაწინააღმდეგო ბრიგადები შექმნილი იყო სწორედ უმაღლესი მთავარსარდლის იოსებ სტალინის სამეთაურო პუნქტის დასაცავად, რომელიც "იზმაილოვის პარკში" მდებარეობდა. წვრილმანებში გარკვევის გარეშე არ შეიძლება არ გამოითქვას აღტაცება იმის თაობაზე, თუ როგორი მაღალი ოსტატობით იყო დაცული ქვეყნისათვის ეს უმნიშვნელოვანესი სამეთაურო პუნქტი, რომელიც უზრუნველყოფდა ჯარების მომარაგებას, მათ გადაადგილებას, მანევრებს, სტრატეგიულ მიმართულებებზე მოძრაობას, ხელმძღვანელობდა შეიარაღებაზე მომუშავე სამრეწველო ობიექტების დაცვას! მთელი ეს დოკუმენტაცია მკაცრად იყო გასაიდუმლოებული 2005 წლამდე.

პირველმა, მე ვიტყოდი "მიწისქვეშა სატანკო დივიზიამ" შეიარაღებაში მიიღო უკვე რეზერვიდან მოხსნილი ახალი ტანკები КВ-1, რომელიც დაკომპლექტდა სსრკ შინსახკომის ფ.ე. ძერჟინსკის სახელობის ხარკოვის სამხედრო-სასაზღვრო აკადემიის ჯავშანსატანკო განყოფილების კურსდამთავრებული ტანკისტებისაგან, 125 კაცის შემადგენლობით. მაგრამ, თავისთავად, ტანკები ეფექტურები ვერ იქნებიან მოტორიზებული ფეხოსანი ქვედანაყოფის მხარდაჭერის გარეშე. სწორედ ამ მიზნით ჩამოყალიბდა სსრკ შინსახკომის შემადგენლობაში 35-ე სატანკო მოტომსროლელი დივიზია. ხოლო ანტიდივერსიული საქმიანობის გაძღოლა ევალებოდა სსრკ შინსახკომის განსაკუთრებულ სამხედრო ქვედანაყოფს. ქალაქ მოსკოვის მისადგომების დამცველი მძლავრი ტანკსაწინააღმდეგო სისტემისა და სტრატეგიული ობიექტების დაცვისათვის შექმნილი იყო პირველი ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო ბრიგადა.

სისულელე იქნება იმის გაფიქრებაც კი, რომ ომის დაწყების პირველ უმძიმეს დღეებში შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ლ.პ. ბერია და მისი მოადგილე, გენერალ-ლეიტენანტი ი.ი. მასლენნიკოვი "სათამაშო დირექტივებს" გამოსცემდნენ. ეს გახლდათ წინასწარ კარგად მომზადებული და სტრატეგიული გამოცდილების მქონე უნარიანი ხელმძღვანელების ბრძნულად გათვლილი მოქმედებები, ხოლო თავდაცვის ზღუდე "იზმაილოვის პარკის" შექმნა განსაზღვრული იყო ქვეყნის სამობილიზაციო გეგმის სპეციალურ ქვეთავში, რომელსაც პირობითად ეწოდებოდა "МП-1941".

(სიტყვისათვის, ჰიტლერის ბანაკს ომის წლებში იცავდა სპეციალური დამცველი კორპუსი, რომლის შემადგენლობაში შედიოდა სატანკო დივიზია, რომელიც აღჭურვილი იყო იმ დროისათვის უძლიერესი ტანკებით, სახელწოდებით "ვეფხვი").

1941 წლის შემოდგომაზე მოსკოვი ფრონტისპირა ქალაქად იქცა. მაშინ არ არსებობდა იმის მყარი რწმენა, რომ საბჭოთა კავშირის დედაქალაქს დავინარჩუნებდით. პარტიული და სამხედრო ბოსები თავს იმშვიდებდნენ: "არა უშავს რა, კრემლში პოლონელებიც ნებივრობდნენ, ნაპოლეონმაც გადაიზამთრა, მაგრამ მერე კუდით ქვა ვასროლინეთ მომხვდურებს!.." ამ დროისათვის კი, ამ მოაზროვნეების ცოლშვილი და ქონება უკვე ქალაქ კუიბიშევში (სამარა) ჰქონდათ საიმედოდ დაბინავებული.

1941 წლის 8 ოქტომბერს სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა მიიღო დადგენილება ხუთეულის შემოღების თაობაზე, სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილის სეროვის ხელმძღვანელობით, "ქალაქის საწარმოებში სპეციალური ღონისძიებების გატარების თაობაზე". მხედველობაში იყო მიღებული მოსკოვის 1119 საწარმოს ლიკვიდაცია, რომელთა შორის 412 გახლდათ, მთლიანად ან ნაწილობრივ, სამხედრო დანიშნულების მქონე წარმოება.

დაგეგმილი იყო მოსკოვის აფეთქება!

13 ოქტომბერს ბერიამ დღიურში ჩაწერა:

*"დიდი საუბარი შედგა. კვლავ ვუმტკიცებდი კობას, რომ ქალაქის აფეთქება და მისი დატოვება საჭირო არ არის. ფაქტია, რომ საფუძვლიანად ვერაფერს ვერ ავაფეთქებთ, რადგან გვაქვს უკანდახევის სამწუხარო გამოცდილება – პანიკა და სრული ქაოსი. სრულიად ახალი ნიმუშია კალინინი. ხომენკომ დამირეკა და მითხრა, რომ ჯოგებად გარბოდნენ ქალაქიდან. სირცხვილია! მოსკოვიდანაც ასე თავქუდმოგლეჯილები გაიქცევიან".*

(ომის დაწყებიდან ნახევარი წლის განმავლობაში მოსკოვიდან ორგანიზებული წესით გაემგზავრა 2.200.000 ადამიანი. ამასთან, 1942 წლის 8 იანვრის მონაცემებით მოსკოვში რჩებოდა 2.370.000 ადამიანი).

*"უფრო მყარი უნდა გავხადოთ ქალაქის დაცვა და მოვამზადოთ იგი ქუჩის ბრძოლებისათვის. თუ გერმანელები ქალაქში შემოვლენ, აქედან ცოცხლებმა ვეღარ უნდა გაადწიონ. ჩვენ აქ თითოეული მიწისქვეშა კომუნიკაცია და ლუკი კარგად ვიცით, რისი წყალობთაც ფრონტს გვერდს ავუვლით და მტერს ზურგში მოვექცევით. ტანკების გამოყენებაც შეიძლება საცეცხლე წერტებად. კობას ერთი ხანი თითქოს არ ეჯერა, რომ მოსკოვს დავინარჩუნებთ. ბრძანა რომ საწარმოების ლიკვიდაცია განგვეხორციელებინა. საწინააღმდეგო აზრის მოსმენაც კი არ უნდოდა. ახლა კი დარწმუნდა ჩვენს სიმართლეში და მუშაობის გაგრძელება გვიბრძანა. ამბობდა, რომ მოსკოვის თითოეული სახლი გამაგრებული ობიექტია და იგი კიდევ უფრო უნდა გავამაგროთო. მერე მე და მალენკოვი გვიხმო და დაგვავალა, რომ მუშაობა გაგვაქტიურებინა. ჩვენს დღესა და ღამეს ვასწორებთ მუშაობაში."*

გარდა ამ გადაუდებელი ღონისძიებებისა, კვლავ გაერთიანებული შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელისა და მთავრობის მეთაურის მოადგილის ერთ-ერთ მთავარ საზრუნავს წარმოადგენდა ოპერაციების ჩატარება მტრის ზურგში, დროებით ოკუპირებულ საბჭოთა ტერიტორიებზე... უკვე 1941 წლის აგვისტოს 20-ში ფრონტზე გაიგზავნა სახელმწიფო უშიშროების ოფიცერ, შემდგომში შინსახკომის პარტიზანული გაერთიანებების "მიტიასა" და "გამარჯვებულის" მეთაურის, საბჭოთა კავშირის გმირისა და ლენინის ოთხი ორდენის კავალერის დ. მედვედევის ჯგუფი.

და ეს ყველაფერი გადადიოდა ბერიას ბეჭებზე. ხშირად იმის დროც კი არ გააჩნდა, რომ დღიურში სათანადო ჩანაწერები გაეკეთებინა.

მხოლოდ პარტიზანული მოძრაობის კოორდინირებას მიჰქონდა დიდი დრო. ეს იქ, სადაც ყველაფერი ისე ჩანდა, რომ უკვე ომის დაწყებისას მზად იყო მძლავრი პარტიზანული კომპანია!

**თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი,**

**(გაგრძელება იქნება)**

# ᲣᲤᲠᲗᲮᲘᲚᲓᲘᲗ ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲢᲘᲐᲜ ᲙᲐᲪᲔᲑᲡ

***გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ა.წ. 20 მარტის ნომერში დაიბეჭდა ვინმე არჩილ იოსელიანის სტატია სათაურით – „რუსეთის ჯაშუშებს გაზეთის ფურცლები არ უნდა ეთმობოდეთ“.***

სიტყვა „ვინმეს“ იმიტომ ვხმარობ, რომ არც ამ პირის გვარ-სახელი, პარტიის თავმჯდომარეობა, საერთოდ ასეთი პარტიის არსებობა, ყოფილი პარლამენტარობა, მითუმეტეს ბერლინში ლექციების კითხვა არაფერს მეუბნება. ისე კი, ვუთანაგრძობ მის ყოფილ მსმენელებს, ვინაიდან წერილში გამჟღავნებული „ცოდნა“ ისტორიისა, არავითარ პარამეტრებში არ ჯდება და ტოვებს უდავოდ არასახარბიელო შთაბეჭდილებას. ასეთისთვის პასუხის გაცემაც არ ღირს, ვინაიდან მისი მიზანი სწორედ ისაა, რომ „ჯაშუშებმა“ ვუპასუხოთ და ამით გაზეთის მკითხველის ყურადღება მივაპყროთ იოსელიანის პიროვნებას.

არ დაგამადლით! თუმცა სულაც არ მჯერა, რასაც ქვემოთ მოგახსენებთ, შეიგნოთ, მაგრამ მაინც. თქვენ თუ არა, სხვები ხომ გაიგებენ?!

თავიდანვე გეტყვით, რომ საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ჰქონდა ხანმოკლე აღმასვლები და მათ შორის საბჭოთა პერიოდი უდავოდ გამორჩეულია. პირადად მე, მეამაყება, რომ შეგნებული ცხოვრების მნიშვნელოვანი წლები საბჭოეთის არსებობის ჟამს გავატარე, რომელმაც ჩემში და ჩემს კოლეგებში, თქვენ რომ „ჯაშუშებად“ მოიხსენიებთ, ჩამოაყალიბა პროფესიონალიზმი, საქმისადმი გულწრფელი, პასუხისმგებლური დამოკიდებულება, რაც უყურადღებოდ არ დარჩენილა ეროვნული ხელისუფლების დროს.

ახალარჩეული უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით დავინიშნე კიდევაც საკანონმდებლო ორგანოს სამდივნოს უფროსად. სამწუხაროდ, საყოველთაო სახალხო არჩევნების გზით მოსულ ხელისუფლებას „ავტომატიანმა კაცებმა“ წყალი შეუყენეს და ძალისმიერი გზით დაამხეს, ხოლო პრეზიდენტი აიძულეს სამშობლოდან წასულიყო.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ წერილში ჟურნალისტი სოსო ჭუმბურიძე ავადსახსენებელ პერიოდს იხსენებს და იმ „ავტომატიან კაცზეც“ მიანიშნებს, რომელმაც ლამის სამსახურში არ შეუშვა. ამ „კაცში“ მან თქვენ ამოგიკითხათ. ასეთმა „ავტომატიანმა კაცებმა“, შესაძლოა მათ შორის თქვენც, 1992 წლის 6 იანვარს უზენაესი საბჭოს შენობაში, სამდივნოს უფროსი არ შემიშვეს და მხოლოდ თქვენი მოგვარე იოსელიანის, კიტოვანის, სიგუას ერთობლივი განკარგულებით, დამრთეს იქ შესვლის ნება.

„ავტომატიანი კაცების“ ბოროტმა ხელმა ქართული, საბჭოთა არქიტექტურის შესანიშნავი ძეგლი – მთავრობის სახლი, ნანგრევებად აქცია, ცეცხლს მისცა თბილისის ცენტრი. ჩვენ კი – „ჯაშუშებმა“, დავიწყეთ დანგრეულ-გაპარტახებულის აღდგენა და თავდადებული შრომით შევძელით, 1992 წლის ბოლომდე, იქ, პარლამენტის კომიტეტების განთავსება.

„ავტომატიანი კაცები“ დაბეჯითებით მოითხოვდნენ უნიკალური შენობის დანგრევას და როდესაც არ გამოუვიდათ, მისთვის პროფილის შეცვლას (ბიზნეს ცენტრისთვის გადაცემას). არც ეს გამოუვიდათ, ვინაიდან ჩვენ, „ჯაშუშები“ სალ კლდესავით დავდექით და დროებით ხელისუფლებას შევანარჩუნებინეთ შენობა საქართველოს პარლამენტისთვის.

თქვენ – „ავტომატიანები“, ანგრევდით და ამისთვის არვის დაუსჯიხართ – სამწუხაროდ. ჩვენ, „ჯაშუშები“, ვაღდგენდით და ამისთვის მოითხოვთ ჩვენს დასჯას – გერმანიაში „ნამოღვაწარი“, ნაპარლამენტარი, „სოციალური სამართლიანობის“ პარტიის თავმჯდომარე?! ამას, მხოლოდ სულიერად გაპარტახებულ ქვეყანაში შეიძლება ჰქონდეს ადგილი – თქვენი მსგავსი აზროვნების ადამიანების გამო.

რაც შეეხება სტალინს. მიუხედავად თქვენი და თქვენნაირი დაუნახავი ადამიანებისა, სტალინი იყო, არის და იქნება მსოფლიო მოვლენა, რომელსაც ფინიების წკავწკავი ვერაფერს დააკლებს. მან ბევრი რამ გააკეთა საქართველოსთვის – გადააქცია რა დარიბი, ჩამორჩენილი, აგრარული ქვეყანა აგრარულ-სამრეწველო, მოწინავე ქვეყნად. ქართველი სპეციალისტების, მეცნიერების, სპორტსმენების, ხელოვნების მუშაკების სახელები გასცდა საქართველოს ფარგლებს, ისე, როგორც აქ წარმოებული პროდუქცია.

ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ვიტყვი ერთის შესახებ – ეროვნული განძის, მენშევიკური მთავრობის მიერ საფრანგეთში გატანილის, დაბრუნებაზე. თქვენ და თქვენნაირებს – ისტორიის არმცოდნეებს სჯერათ, რომ ეს განძი ექვთიმე თაყაიშვლმა ჩამოიტანა. არვინ სვამს კითხვას, საფრანგეთის საკუთრებაში გადასულ ქართულ საგანძურს, ვინ გამოატანდა ექვთიმე თაყაიშვილს?!

რომ არა სტალინის თხოვნა საფრანგეთის პრეზიდენტის დე გოლისადმი, ეს საგანძური დღესაც იქ იქნებოდა.

აღნიშნულთან დაკავშირებით უაღრესად საინტერესო და ერთობ სასარგებლო გამოკვლევა ჩაატარა გრიგოლ ონიანმა, ცნობილმა „ჯაშუშმა“ და ვრცელი წერილები გამოაქვეყნა გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში“. თქვენ, როგორც „ისტორიკოსს“, გირჩევთ წაიკითხოთ, გამოგადგებათ თვალის ასახელად. ასევე გირჩევთ ვალერი კვარაცხელიას, სახელგანთქმული „ჯაშუშის“ უაღრესად საინტერესო ახალი წიგნის „მანიფესტი სტალინზე“ წაკითხვას.

ახლა რაც შეეხება „სეპარატისტ“ ასლან აბაშიძეს – კაცს, რომელიც წინ აღუდგა თქვენს მსგავს „ავტომატიანებს“ და არ შეუშვა აჭარაში. რომ არა ასლან აბაშიძე, აჭარასაც აფხაზეთის გზას გაუყენებდით – ომი მაქვს მხედველობაში, რომელშიც უდავოდ ჩაერთვებოდა მეზობელი თურქეთი.

ასლან აბაშიძის წყალობით ბათუმიდან გატანილ იქნა რუსული სამხედრო ბაზის შენობა-ნაგებობები, საწყობები, სხვადასხვა დანიშნულების შეუხედავი სახლები; აშენდა ხიდები, გვირაბები, საბორნე გადასასვლელი, სარფის საბაჟოს თანამედროვე შენობა, საზღვაო კატარღების სამშენებლო ქარხანა, სხვა ქარხნები, სამედიცინო დანიშნულების შენობა-ნაგებობები. აჭარის ავტონომია გაწევრდა ევროპის რეგიონთა ასამბლეაში. რომელი ერთი ჩამოვთვალო.

აბაშიძე უდავოდ იყო მშენებელი და არა მგრეველი. ასეთს მხარში უნდა დაუდგეს ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი. სწორედ ამან მიიზიდა ქართული ინტელიგენცია აჭარისკენ.

თურქეთთან „შეერთების“ მსურველი „სეპარატისტი“ ასლან აბაშიძე ძალ-ღონეს არ იშურებდა პარტია „აღორძინების“ საქართველოს პარლამენტში უმრავლესობით მოსვლისთვის. „სეპარატისტი“ აბაშიძის წყალობით აჭარაში ქართველი თავაწეული, წელში გამართული დადიოდა და არა ისე, როგორც დღეს – ლამის თურქეთად ქცეულ, ვითომ საქართველოს ავტონომიაში.

1991 წლის დეკემბრიდან – ყველა საბჭოთა რესპუბლიკისთვის დამოუკიდებლობის ბოძებიდან, საკმაო დრო გავიდა. „უპატრონოდ“ დარჩენილებმა, თანაც პოლიტიკის შუაგულ ოკეანეში ცურვის უცოდინრებმა, რას არ მიმართეს და რის ვაი-ვაგლახით თავს უშველეს. საქართველომ კი „ავტომატიანი კაცების“ შავბნელი ქმედებით, ლეგიტიმური ხელისუფლებაც დაამხო და რეგიონებსაც შეუტია. სამეგრელო, აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი ამის უმძიმესი მაგალითია – გამოუსწორებელი, აუხსნელი. და როდესაც ცენტრმა ავტონომიები ვერ დაიმორჩილა, ოკეანის გადაღმელებს მიმართა დახმარებისთვის.

რა მოუტანა ამ დახმარებამ ქვეყანას?

საშინაო ომი, ტერიტორიების დაკარგვა, მსხვერპლი შინ და გარეთ – საერთაშორისო მისიებში მონაწილეობისას, ეკონომიკურ-საფინანსო გაუგებრობა, უმძიმესი სოციალური მდგომარეობა, ლუკმაპურის საძებნად მოსახლეობის უცხოეთში გადახვეწა, სხვა უარყოფითი მომენტები. არსად ჩანს დაპირებული გაწევრება ნატოში, შორეულია ევროკავშირში შესვლის პერსპექტივაც და ყველაფერი ეს უაღრესად მძიმე დემოგრაფიული სურათის ფონზე.

ყოველივე აღნიშნული მაფიქრებინებს, რომ რუსეთთან ურთიერთობა – საქმიანი, პრაგმატული, აუცილებელია, თუნდაც ერის მშვიდი ცხოვრებისთვის; ეკონომიკის ფეხზე დაყენებისთვის; დემოგრაფიული ვითარების გამოსწორებისთვის.

ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების რუსეთთან ურთიერთობის მაგალითები მალაპარაკებს ამას, ისე, როგორც ფინეთის. და კიდევ ის – ჩვენი მოსახლეობის ერთი მესამედი რომ რუსეთში ცხოვრობს და ყოველთვიურად მილიონობით დოლარს უგზავნის შინ დარჩენილ ნათესავებს.

ანტირუსული გამოსვლებით და განცხადებებით რუსეთს ვერაფერს დავაკლებთ, მაგრამ ჩვენს თავს უეჭველად და ვაიძულებთ რუსეთს ეკონომიკური კავშირებიც გაწყვიტოს და იქ მცხოვრები ქართველობაც გამოგვიყაროს. მაშინ კი უკვე გვიანი იქნება. დროული გამოფხიზლება გვმართებს ყველას, მათ შორის ყოფილ „ავტომატიან კაცებსაც“.

**ᲰᲐᲛᲚᲔᲢ ᲯᲘᲞᲐᲨᲕᲘᲚᲘ,**
**პოლიტოლოგი**

## ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲔ

### ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲣᲠ-ᲐᲛᲡᲢᲔᲠᲓᲐᲛᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲐᲚᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲩᲐᲜᲐᲮᲐᲢᲔᲑᲘ

### *ყᲣᲠᲛᲝᲙᲠᲣᲚᲘ ᲓᲘᲐᲚᲝᲒᲘ*

*ძალიან ბვრჯერ სირცხვილნაჭამი*
*ამძაღებული არის მაჭარი,*
*დაავადდა და მოიყენა ბრკე...*
*– პადურნაკრავი უკრაინიდან*
*რად არ იფიქრე, უკან იგლიდა*
*თბილისისა და კიევისაკენ?*
*– ცოლეურებთან რაკი ჩავიდა,*
*ბიჭბუჭებს გვისევს ამსტერდამიდან.*
*– ჰო, მარა ახლა რა დროს ომია,*
*მისთვის წამალი „მატროსოვია“,*
*იცის ბიძამ და იცის ბებიამ,*
*რომ ყველა სხვა გზა წასაგებია!*
*ვირი, სპილო და არწივი*
*ჩვენს შეჭმას ბევრი ცდილობდა*
*და უნდა ვენდოთ, აწი, ვის?*
*ვირიც გვმფარველობს, სპილოცა*
*და მაინც გვკორტნის არწივი!*

### *ᲐᲛᲑᲐᲕᲘ „ᲜᲐᲓᲔᲕᲐᲠᲘᲡᲐ“*

*ამსტერდამში ოხრავს, ხვნეშის*
*კრეშჩატიკზე „ნადევარი“,*
*ხან თბილისში, ხან კიევში*
*ორი კურდღლის მადევარი!*

### *ᲛᲔᲝᲠᲔᲓ ᲛᲝᲡᲕᲚᲐ*

*თუ გამოვედით საღათიდან და*
*საღად შევავლეთ თვალი მიდამოს,*
*ბარიც, ნიჩაფიც ერთი ხიდანა*
*რაკი ითლება, აღარ ვიდავოთ,*
*„მეორედ მოსვლა“ რაღად გვინდაო!*
*საუკუნოვან ხეთა პარკში*
*გემი გადარჩა, არ ჩაიძირა,*
*ნაპირთან ზღვა რომ ღმუოდა, მაშინ,*
*რადგან ლოცმანმა არ ჩაიძინა,*
*არც ოჯახში, არც ხნოვან ხის ძირას,*
*მისთვის სანუკვარ დენდროლოგ-პარკში!*

### *„ᲡᲔᲠᲝᲑᲐ“ ᲐᲛᲡᲢᲔᲠᲓᲐᲛᲨᲘ*

*სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ*
*ქართველობა უკვე განახევრდა და მალე*
*გამეოთხედდება,რამეთუ ძალზე ბევრია*
*ხანსაზმული. ამ დროს კი ჰოლანდიაში*
*ცოლეურს შეფარებული არავითარ უკე-*
*თურზე არ იხევს უკან და ერთ-*
*დროულად დასდევს ორ კურდღელს,*
*რათა პირველ კაცად დაბრუნდეს ან*
*უკრაინაში, ან მისივე ძალისხმევით*
*გაუკაცრიელებულ საქართველოში და ამ*
*მიზნით ამფსონებთან ერთად შემზარავ*
*„ბაზალეთს“ ამზადებს.*
*ამსტერდამში სათათბიროდ შეიკრიბნენ*
*ყვარყვარენი,*
*უკვე გაკოტრებულები, უკვე მონ-*
*აყანყალები,*
*ექვსის ნაცვლად სამ მილიონს ვინც არ*
*თვლიდა ერის მოსრად,*
*ამბობს, რომ არ მოეწონა ხელმეორედ*
*იმის მოსვლა,*
*ვისაც უყვარს საქართველო და „სამების“*
*მადლი მოსავს,*
*ვინც ქვეყანას ააცილა „ცოცხოსანთა“*
*ჭუჭყით მოსვრა!*
*როცა წაჯექ-უკუჯექით უზნეობა*
*მორალდება*
*და ათრთოლებს მონადირეს ათასგვარი*
*მოლანდება,*
*თუ მყისვე ვერ გაარკვია, კურდღლის*
*გვერდით რომ ლანდია,*
*პანჩურისგან ვერ დაიცავს სიდედრი და*
*ჰოლანდია!*

*ალექსანდრე შენგელია*

# მერაბ კოსტავას პოეზია

ბიბლიაში ფილისტიმელთაგან შეშინებულმა მეფე რაულმა მესულთანე ქალს სთხოვა სამოელის გამოძახება საიქიოდან. მიწიდან ამოვიდა მოსასხამიანი სამოელის აჩრდილი. სულმა მას შესჩივლა, როგორ ავიწროებდნენ ფილისტიმელები, როგორ განურისხდა ღმერთი და როგორ განუდგნენ წინასწარმეტყველები. კეთილმა ღვთისმსახურმა უგუნურ მეფეს ამცნო, რომ ღმერთი დასჯიდა, წაართმევდა სამეფოს, მისცემდა დავითს, ხოლო რაული და მისი შვილები ხვალიდან იქნებოდნენ შავეთში, რომ ეს იყო საზღაური უფლისადმი ურჩობის გამო.

მართლაც ახდა წინასწარმეტყველება, საულის შვილები ფილისტიმელებთან ბრძოლაში დაიხოცნენ. დამარცხებულმა საულმა კი, ტყვეობის შიშით თავი მოიკლა. (I მეფეთა,28,140, თ-31, 1-6)(2,293-294,296).

ცნობილია ცოცხლებზე გარდაცვლილთა შურისძიების მაგალითი ტ„პარალელური ბიოგრაფიებიდან“. ბრუტუსს გამოეცხადა მისგან განწირული იულიუს კეისარი და მიმართა: „მე ვარ ბრუტუს, შენი ბოროტი გენია და ფილიპთან შევხვდებითო ერთმანეთს“.

მართლაც, ფილიპთან ბრძოლა კეისრის მომხრეებსა და ბლუტუს-კასიუსის ლაშქარს შორის უკანასკნელთა მარცხით დამთავრდა. შეთქმულების ყველა მონაწილე დაიღუპა (11,84).

დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ წინასიტყვაობიდან (გამოიცა ვენეციაში 1477წ.) ცნობილია, რომ პოეტის გარდაცვალების შემდეგ ვერ იპოვეს პოემის მეცამეტე თავი. რვა თვის შემდეგ შვილს გამოეცხადა მამის აჩრდილი და მიასწავლა ხელნაწერის ადგილსამყოფელი.

დანტეს ეცხადებოდნენ წარსულის, აწმყოს, მომავლის ლანდები, ჯოჯოხეთის, სალხინებლის, სამოთხის ფონზე პოემაში გვხვდება „მისტიური აჩრდილები“, ადამის, მირგილუსის, პლატონის, ოვიდის აჩრდილები, სულთა ლანდები, დასჯილი, განწმენდისათვის გამზადებული თუ სამოთხეში გამწესებულთა წმინდა აჩრდილები.

სხეულისგან განშორებული სული მოკლებულია მოქმედების უნარს, მაგრამ გარდაცვლილთა სულები მაინც ერევიან მიწიერთა საქმეებში.

გოეთე აცხადებდა, რომ „სულთა სამეუფო არ არს კარდახშული“.

„ფაუსტში“ სული აჩრდილის სახით ცხადდება: „მოჰქრის აჩრდილი... ვგრძნობ, შენ მოქრიხარ, ნატრულო სულო, გამომეცხადე!“

გალაკტიონს ენუგეშებოდა იდუმალი არსების აჩრდილის გამოცხადება.: „დაიმსხვრა სული ფრქვეული ცამდე, გაქრა ფარული ცის სიდიადე... შავ ფიქრთა წყება კვლავ აღარ ქრება და გევედრები, გამომეცხადე!“

ხან კი პოეტის ძახილი ვერ აღწევდა სულის სავანემდე: „ვეძახი სულს და ხმას არავინ მაძლევს, პასუხს არ მაძლევს ხმათა ხავერდი“ (თვლემს ტყის ნაპირი).

ადამიანის სიკვდილი, მისი გადასვლა ჩვენგან უხილავ და საიდუმლოებით მოცულ სამყაროში, ახლობლის მონატრება ხშირად მიცვალებულთა უახლესი ადამიანების თვითმკვლელობითაც კი მთავრდებოდა.

კაცობრიობას დასაბამიდანვე აწვალებდა მის ქვეცნობიერში იმთავითვე ჩადებული უკვდავების სურვილი, ჩვენგან წასულებთან კონტაქტის დამყარებაზე ფიქრი. ამ პრობლემის გადაწყვეტის თავისებულ გზებს ეძებდნენ მწერლები.

გაოგნებას იწვევს ვაჟა ფშაველას განაცხადი: „ცოცხალი მკვდრებთან ვსაუბრობ“.

ფშაველ გენიოსთან თითქოს მიღწეულია ორმხრივი „კომუნიკაცია“: „სიყრმითგან საიქიოსთან დამკვებია კავშირი. წასულნი ამა სოფლითა დღესაც მოდიან, მხედავენ, სწირავენ მყუდრო სადგურსა, ცოდვილთან მოსვლას ბედავენ“ (სიყრმითგან საიქიოსთან).

ღირსეულ წინაპრებთან შეხვედრა უკეთესი გზების გაგნების, სიძნელეთა დაძლევის სტიმულია: „მკვდრები მიშაქვრენ ცხოვრების გულში ჩანაწვეთ შხამსა“ (ერთხელ კი ჩვენც ვყოფილვართ).

წინაპრები პოეტის ტანჯული ოცნების „მარგალიტების ღილებია“.

ვაჟა ფშაველას შთაგონების წყაროა შოთა რუსთაველის და დავით გურამიშვილის სამყარო: „მიშველეთ შენ და შოთამა, მგოსნობა გამიძრახაო, გული დადნა და დანაბდა, მიხმება, შრება ხახაო... მიშველეთ, მომაკლებინეთ, ლელო რაც დამისახაო. მაშინ თქვენს ნათელ სახეებს მეცა პირნათლად ვნახავო“ (დავით გურამიშვილის ხსოვნას)(12,88).

ზოგჯერ საფლავებიდან წინაპრების კვნესა ესმოდა, მათ „მწყრომარე“ სახეებს ხედავდა ტანზე ამასხა ეკალი საფლავთ წინაპართ კვნესამა, აკლდამებიდან მწყრომარედ იმათმა გამოხედვამა“ (მოდი, მოხშირდი ჭაღარავ)(12,37).

ხან აკლდამიდან ერეკლე მეფის ტრაგიკული აჩრდილი ევლინებოდა: „აგერ ამოდგა აჩრდილი, აკლდამის კარი გაიღო. რა ფრიად შეწუხებულა, ხელში ფრანგული აიღო“ (1795 წლის სახსოვრად)(12,36)

ასეთი სულიერი ერთობის გამო ებაასებოდა ვაჟას ილია ჭავჭავაძის ვჩრდილი: „ილიაც მესაუბრება, უნდა დავუგდო მას ყური“ (აკაკის საიუბილეოდ)(12,66).

პოეტის ოცნება სამარეშიც აღწევდა და მამულიშვილებს ევლინებოდა: „გაფრინდი ჩემო ოცნებავ, გასჭერ სამარის დირენი, იქ ნახავ მამულიშვილთა არიან არა-მცირენი და დაამშვიდე ამ ამბით, ის ჩემი ამატირენი, ჩვენს ილიასაც იქ ნახავ, გთხოვ ანუგეშო სიტყვითა: მტკიცდება ქართველთ კავშირნი ძმობა ერთობის ფიცითა, მტერსა და მოყვარეს ვარჩევთ, კარგი და ავი ვიცითა, მის ანდერძს, ვიჭდევთ გულში ღრმად, ვატარებთ გულის ფიცრითა“ (ილიას საღამო)(13,204).

„ჩვენებაში“ გარდაცვლილი გმირები მომავლის იმედს აძლევდნენ ვაჟას: „სრულდება, მალე იქნება ღვთისაგან დანაპირებიო“.

ლექსში ხმა მესმის“ ნუგეშისმომცემია მიცვალებულის რჩევა: „ხმა მესმის, აღარ გასვენებს მიცვალებულის კაცისა: მის რჩევა, მადლით მოსილი, გულს მევლებოდა თაღადა“.

ვაჟას სწამს, რომ „კარგ გულს არა ჰკლავს ბუნება, თან დააქვს ძველისძველადა“.

სულმნით აკაკი წერეთელს რუსთაველი, თამარი და მათ თანამედროვეთა ეკრება ეცხადებოდა სიზმარში (სიზმარი).

ილია ჭავჭავაძეს მოევლინა „საქართველოს თანამდევი უკვდავი სული (აჩრდილი).

კონსტანტინე გამსახურდია „ჟამიდან ჟამზე მიცვალებული წინაპრების ტყვე“ ხდებოდა და „ისინი თავიანთი რჩევებით ცოცხლებს გადაჭარბებდნენ ხოლმე“... „მე აგრე მგონია, პაპაჩემმა ბაგრატმა, რომელიც მე თვალითაც არ მინახავს, ჩემზე გაცილებით მეტი შთაბეჭდილება მოახდინა, ვიდრე მამაჩემმა“, ათქმევინებს მწერალი (დავით აღმაშენებელი) (14,556).

გალაკტიონს უხმობდა გარდასული სამყარო, წინაპრების სული: „და მეძახიან მშვენ სამეფოში მთები, სიზმრები და წინაპრები“ (პირიმზე) (15,173).

ნუგეში და თანაგრძნობა პოეტს თავისი რანგის წინაპართა საუფლოში, „მარადიულ მხარეში“ ეგულებოდა: „ნუ დაღონდები, არსებობს მხარე, სად თანაგრძნობას არსებობს შენთვის. იქ დაუდეგარ, მეოცნებე სულს ბინა ექნება მუდამ, ყოველთვის“.

ეს მარადილი ბინა იყო დანტეს, რუსთაველის, ბარათაშვილის სულის ნავთსაყუდელი (ნუ დაღონდები).

მშვენიერების გაუკვდავებით პოულობდა პოეტი „უცხო წალკოტს“, სადღაც ეგულებოდა რუსთაველი, ბარათაშვილი (მშვენიერებით ვიპოვე).

სულიერი ნათესაობა რუსთაველთან შესაძლებლობას აძლევდა მისი ბავშვობაც წარმოედგინა, რაც ჟრუანტელისმომგვრელი სტრიქონებით გამოხატა: „რუსთაველი მახსოვს ბავშვი, ოცნებობდა ოქროს ნავში, მიცქეროდა და თან თრთოდა, ვით ფოთოლი თრთის ნიავში. ასეთი გენიალური ხსოვნით თუ აიხსნება გალაკტიონის, ერთი შეხედვით ალოგიკური განაცხადი: „მე შოთას ვიცნობ ძალიან კარგად, როგორც თეთრს შავში“...

საუკუნეების წინანდელ წინაპრებთან ასეთი სულიერი სიახლოვის საფუძველია გენეტიკური კოდების მსგავსება, რეინკარნაცია, რადგან „გალაკტიონი არის გენი რუსთაველისა, მეოცე საუკუნეში გაღვიძებული და მზემდე აღზევებული“ (ნოდარ დუმბაძე).

ასე ქრისტეს შეეძლო თავი გამოედო აბრაამის ნაცნობობაზე, რადგან იგი იყო განკაცებამდეც და იყო ცაში, როგორც ღმერთი.

ღმერთივით შუქის სახით ევლინებოდა გალაკტიონს თავისი საყვარელი კუმირი აკაკი წერეთელი (აკაკის ლანდიც), თრობისა და შვების ღმერთი დიონისე (მარმარილო), რომელიც მსოფლიო გონება, მსოფლიო სულია“.

სულიერი კავშირი პოეტს ყველა ქართველ კლასიკოსთან ჰქონდა: „კედლით გიმღერის ექვსი მგოსნის ძვირფასი ქნარი: რუსთაველს, გურამიშვილს, ბარათაშვილს და ვაჟას სურთ დაგიჭირონ მხარი“ (ო, ნანა, ნანა) (16,150).

„კომუნიკაცია“ ქართველ კლასიკოსებთან ორმხრივი იყო, წინაპრებიც გრძნობდნენ გალაკტიონის პოეტურ გმირობას და მოწიწებით ეგებებოდნენ: „კარს გაუღებენ მას წინაპრები: გიცდიდით, ვიცით, ხომ მიატოვე ის ნაპირები ჩვენი სიმტკიცით? მიეგებება არაგვის პირი და ხმა ძლიერი, შენ უსათუოდ კაცი ხარ გმირი და ნიჭიერი (კარს გაუღებენ).

ასევე ხედავდა გალაკტიონი გოეთეში განსხეულებულ სატანას: „ობობებიან კუთხეში დივანს ვხედავ: ვით გოეტე, ზის იქ სატანა“ (მაგიდა ალემბიკებით).

„ოქროს ნავში ეზმანებოდა გალაკტიონს შელი, შენიე და მათთან ერთად მღეროდა უკვდავების საგალობელს: „...და ჩემთან ერთად ოქროსფერ ნავში იყვნენ ედგარი და ნოვალისი“ (ის ადგილები) (17,242).

პოეტის მარადიული სულის „აჩრდილი თანაზიარი“ იყო ედგარ პო (საუბარი ედგარზე).

ლენინგრადში პოეტების მეფე „ხვდებოდა“ ნევის ნაპირებზე მიმავალ პუშკინს: „ყოველ ნაბიჯზე ვხვდები აღფრთოვანებულ პუშკინს. ის ნაპირებზე მიდის, ახალ სახეებს ხედავს“ (ლენინგრადში).

მომავლიდან აწმყოში გამოიძახებდნენ ხოლმე თავიანთ უკვდავ სულს გალაკტიონი და კონსტანტინე გამსახურდია და „მყოფადიდან“ აკვირდებოდნენ მომავლის ჩრდილებს, „ვითარცა მენცარი“.

ტერენტი გრანელი ხედავდა „ტანჯვისგან გასპეტაკებულ“ სულს, შორეულ მიზანს სიცოცხლის ბოლოს, ბედის მწვერვალს, იქაურ ცას, მომავლის გზებს, წარსულის მოგონებას, ძირფას ლენორას, მარადისობის ცისფერ შუქს, შორეულ და მარადიულ სამყაროს, ვარსკვლავიდან ესმოდა ქრისტეს ძახილი, დედის აჩრდილის მოწოდება, საიქიოდან გამოღეული მშობლების ხმა (18,67,82,102,203).

ნათელხილვის უნარი გენიოსების სხვადასხვა დროში ჭვრეტის საშუალებას აძლევს: „ფრთამალი ფიქრიც – ჩემი ლადი, შორსმჭვრეტი აზრი, როგორც მომავალს, ისე წარსულს ნათლად ხედავდა“, წერდა გოეთე.

მერაბ კოსტავას „გონის თვალი“ ჰადესის სიღრმეში ტრიალებდა, მან ზესთასუფელი აღიქვა არა როგორც სიცარიელე, არამედ სოცრებების რიგი, სულების სავანე ხალ სივრცეთა წყობა, უჟამობა: „სად წუთისოფლის დასასრულია, სიცარიელე ჰქრება სრულიად, იწყება რიგი საოცრებების, ზესთასოფელი რადგან რთულია, რადგან სამყარო ყველგან სულია, ცხოვრების პულსით და არსებებით. გარდაცვლილები განცდებს ვერ მალავთ, სივრცეთა წყობა თქვენშია უკვე, გულისნადებით ერთმანეთს მსჭვალავთ, უჟამობაშიც ერკვევით უკეთ. სივრცე, სხეულთა სიმცირის გამო უკმარისობის განცდაა მხოლოდ, მისი აღვსებით ყოველი ლამობს, ამ ილუზიას მოუღოს ბოლო“ (გალაკტიონი) (1,161).

პოეტის რწმენით, „...მხოლოდ სულია თავის არსებით ყველგან მყოფი და ყოვლის აღმვსები“ (გალაკტიონი), სული ორივე სამეფოს მეუფეა: „სააქაოც, საიქიოც სუნთქვა არის სულისა“ (ვერაფერმა განაქარვოს) (1,20-21).

ორ განზომილებას შორის პირობითი საზღვრის მოშლაზე მეოცნებე პოეტის აზრით, ამ სასწაულის მოხდენა მხოლოდ სიყვარულის პრეროგატივაა. სული ფხიზლობას სხეულის დატოვების შემდეგაც, ხოლო სულეთის მგზავრებს ეიმედებათ დავიწყების მდინარის – ლეტოს დაშრობა, რათა არ გაწყდეს კავშირი ცოცხალთა და მზეგადასულთა შორის. გარდასხეულების თეორიის მიხედვით, მიღმურაში სულს დავიწყების მდინარის – ლეტოს წყალს ასმევენ, რათა აღარ ახსოვდეს წარსული, რადგან მიწაზე სულის კვლავ მოვლინება მოხდება ახალი სახით, ახალი მისიით, სხვაგვარი ცნობიერებით, რისთვისაც აუცილებელია გარდასულთან კავშირის გაწყვეტა) „ვერ დაგვაშორებს აქერონის შმაგი ტალღები, სული იფხიზლებს, თუნდ რომ გვამი ეგდოს მძინარე, სულეთის მგზავრნი, ანგელოზებს ჩვილი ბალღები დავაშრობთ ლეტოს, დავიწყების წყეულ მდინარეს“ (ვედარ ვიოკებ) (1,49).

„ადამიანის შემდგომი ევოლუცია“ დამოკიდებულია „სიყვარულის გრადაციაზე ... სიყვარული მოხდება ორი სამყაროს ურთიერთლტოლვის მიზეზი... კოსმიური ჰარმონია და სფეროთა მუსიკა სხვა არაფერია, თუ არა უზენაესი სიყვარული... სიყვარულია ადამიანის უკვდავი სულის ყველა ღირსებითა შორის უპირველესი და დანარჩენ ღირსებათა ამოსავალი წყარო,“ წერს მერაბ კოსტავა (20,57).

„იქ“, საიქიოში „აღურაცხელი მოყვასნი“ ბინადრობენ, რომლებიც პოეტს მიელიან, ნატრობენ, მაგრამ ჯერ მიწაზე უნდა მოიხადოს ადამიანმა თავისი ვალი, რომ ზეცის სამშობლოში დამკვიდრდეს (შიმშილობა).

წინამორბედი პოეტებიდან მერაბ კოსტავა განსაკუთრებით გამოარჩევდა იმათ რომლებიც უხილავით: „სულეთის სიღრმით“ ინტერესდებოდნენ და ასეთებად მიაჩნდა გალაკტიონი და ტერენტი გრანელი.

„სულის შმშილით“ ატანილმა პოეტმა თვითონაც იწამა მესამე გზა, როგორც მარადიული არსებობას, მკვდრეთით აღდგომის დასაწყისი და ასე შეეხმიანა „მემენტო მორის“ ავტორს: „თუ ზეცა გწყურის და მიწა გშია, თუ შენი თავის ხარ გამგებელი, სინდისის შენის წინაშე წარსდექ, იცან სიკვდილი და მკვდრეთით აღდექ!“ (გალაკტიონი)(1,154). მისთვის მახლობელი იყო ტერენტის განაცხადი: ზეცა მწყურია და მიწა მშია“.

გალაკტიონის თვითმკვლელობა მერაბ კოსტავასთვის იყო სულის ომი სხვასთან; „ხორცის ბადეთა“ გარღვევა სულის ამარა დარჩენა და მარადისობასთან შეხვერა, უკვდავების გზა. თავისი გასვენების დღესაც ხედავდა გალაკტიონი ჩვეულებრივ მოკვდავთათვის შეუმჩნეველს. „...რასაც ვერ ჭვრეტდა ცოცხალთა თვალი, გულთმისანივით ხედვადი მკვდარი“ (1,157).

მერაბ კოსტავა სიკვდილს გარდაქმნას უწოდებდა, მიცვალებულ შვილთან შეხვედრა თავის სიცოცხლეში ეწადა და ორი სოფლის „შემტკიცებაზე“ საუბრობდა: „კიდევ კარგი, რომ ჩემთვის ირაკლი, გარდაცვლილები არ არსებობენ, არც კვდებიან და არცა ქრებიან, გარდიქმნებიან ღმრთივ საოცრებად, რადგან ისინი მუდამ რჩებიან ჩემთვის ცოცხლებზე უფრო ცოცხლებად“ (ირაკლის)

არსებობის მიზანია ქვეყნად მდიდარი „სამკალის“ „თავთუხის ძნებად“ შეკონვა და „ზოდიაქოებში“ ატანა.

სოფლად შთენილთა და ზესთასოფლად გარდავლენილთა გაერთიანებას შეეწევა სიყვარულის ძალა: „ტრფობანაჭარბი რადგან გულებით, სასუფეველი იძულების, უდრეკ ზღუდეთა მარად დამძლევი, ვყოთ სიყვარული ჩვენ გზად და ხიდად და ბნელში ნათლით გეზის გამკვლევი, მეოხ გვექმნების განგება დიდათ“.

დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“ გვხვდება სულები, „გაღვიძებულნი მარადჟამულ ტრფიალის ძალით“.

**ლუარა სორდია,**

*(გაგრძელება იქნება)*

# ᲦᲘᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲕᲐᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲐᲚᲗᲘ!

**...“სხვა საქართველო სად არის“?**
**ანა კალანდაძე.**

**...“ო, საქართველოვ, ოქროსფერი ხარ საოცრება,**
**ამ საოცრებას გვეცილება მტერი ვერაგი...**
**ხმალი ავლესოთ, ქართველებო,**
**ხმალი ავლესოთ!**
**შემოვაქსოვოთ საქართველოს**
**ჯაჭვის პერანგი!**

**თინათინ მღვდლიაშვილი**

ჩემი ღია წერილი მინდა დავიწყო ამონარიდებით, დიდი კონსტანტინეს შესანიშნავი ნაწარმოებებიდან, რათა ნათლად წარმოვადგინო, ჩემი სათქმელი, თუ როგორია საქართველოს დღევანდელი ყოფა, თქვენს ხელში! ამ ამონარიდებიდან, ბოლოს მინდა მოვიხმო გამწარებული მამის სიტყვები, რომლებიც მინდა მივუძღვნა საქართველოს დაუძინებელ, შინაურ თუ გარეულ მტრებს! რა დღეში არ უნდა ვყოფილიყავით და რა დღეში ვართ, ქვეყნისადმი თქვენი დანაშაულებრივი გულგრილობის გამო! ვინც, ოდნავ მაინც იცის საქართველოს ისტორია, მისთვის ცნობილია, რანი ვიყავით! რომ არ გვაკლდა შინაური თუ გარეული მტრები! გარს გვეხვია უამრავი გარეწარი მომხვდური, რომელთაც მხოლოდ ჩვენი ნოყიერი მიწის დაპატრონება სურდათ, დღესაც, რომ უკიდეგანოდ ურიგებთ ყველა ჯურის, გადამთიელ გარეწრებს! ამისათვის არ იშურებდნენ, ადგილობრივების ნებისმიერი ხერხებით მოქრთამვას! 30 ვერცხლის მოყვარული იუდები არც მაშინ გვაკლდა, და სამწუხაროდ, არც დღეს გვაკლია! აი. რას ამბობს გიორგი მეფე სიკვდილის წინ: „ჩვენი უბედურება ამჟამადაც ეგაა: ჩვენში მოღალატენი სჭარბობდნენ ერთგულებს, განა თუ სხვისი, საკუთარი თავის, თავის ხალხის მოღალატენი, კარგად ვიცი, თვით ჩემს მსტოვრებში ნახევარი ბიზანტიელებსა ჰყავდათ შესყიდული, ნახევარი სარკინოზებს. როცა ხალხს ამდენი მოღალატე შინა ჰყავს, მაკედონელიც ვერ გაამარჯვებინებს მას. მუდამ ბიზანტიელებს ეგებებოდნენ ფეხქვეშ ჩვენი სულელი აზნაურები და ღორმუცელა ეპისკოპოზები, მეფეები მწვანე ეტლებს მიეტრფოდნენ და ბიზანტიურ ხარისხებს... ჩვენი უბედურება ეგაა: სხვის ფანდურზე ბუქნაობა გვიყვარს, ამიტომაც მუსრს ავლებდა საქართველოს სხვის ქვეყნებში ატეხილი ჭირი. ოდითგანვე ასე მოგვდგამს ქართველებს, მუდამ ჩვენს სიმცირეს მივსტიროდით, რადგან მტერი აურაცხელი გვყავდა მუდამ, მაგრამ დიდკაცი თუ გამოგვერია, ისე დავკორტნით, როგორც დაკოდილ ძერას ყვავები“. აი ბატონებო! ხომ არ გენიშნათ დიდი კონსტანტინეს მიერ 1939 წელს თქმული სიტყვები? ზევით ვიკითხე, რანი ვიყავით? ეს ძალიან დიდი და მრავალპლანიანი თემაა, რომ იმდენად არ გავკადნიერდები, მკითხველი საზოგადოება ამაზე საუბრით გადავღალო! აი, რანად ვართ ქცეულნი, ამაზე ნამდვილად ღირს ყურადღების შეჩერება!

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, კავშირში შემავალი რესპუბლიკებიდან, მხედველობაში არ მყავს ბალტიისპირეთის რესპუბლიკები, ვინაიდან ისინი ნომინალურად ითვლებოდნენ საბჭოთა კავშირის წევრებად, თუმცა იქაურ სიკეთეებს სიამოვნებით ღებულობდნენ, მხოლოდ საქართველო განადგურდა და გაჩანაგდა, ვინაიდან არ იქნა და არ გამოგვიჩნდა ქვეყნის გულშემატკივარი და მოყვარული პატრონი, რომელიც არ იფიქრებდა მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე! ამ ქვეყნებს შორის, თითქმის, ბუნებრივად უმდიდრესი ქვეყანა არის მათხოვრად ქცეული! უფლისაგან უხვად ბოძებული სიმდიდრე, არის უქმად! რომ გვეგონა, 2012 წლის 1 ოქტომბერი საქართველოში იქნებოდა, სასიკეთოდ, ძირეული გარდაქმნების დღე, დავრჩით მწარედ მოტყუებულნი და გაცუცურაკებულნი! მინდა ვკითხო ამ უბედურ დღეზე გაჩენილ ვაი ხელისუფალთ, რა დაგიშავათ საქართველოს მოსახლეობამ ასეთი, რომ შიმშილით, სიცივით, უწამლობით და ბევრი უბედურებით სულს ხდით?! გვითხარით ვინ და ვის რა დაგიშავათ? ამას წინად, თურმე საგანელიძე (მე არ მიყურებია, მითხრეს) გამობრძანებულა ტელევიზიით და „უბრძანებია“, თანაც ნიანგის ცრემლებს აღვარღვალებდაო, სულ რაღაც 21 000(!) ლარი მაქვს ხელფასიო, აქედან ხელზე ვიღებო 16 000-ს და არ მყოფნისო! როგორ მოგწონთ ამის უტიფრობის დონე? საგანელიძეს 21 000 არ ჰყოფნის და გაჭივრებულ პენსიონერს 180 ლარი უნდა ეყოს ყველაფერზე! უზომოდ მაძღრებო, მშივრებიც მაძღრები გგონიათ? რომელ „ჭკუათმყოფელს“ მოუვიდა ამისთანა სულელური აზრი, ამ გაძვალტყავებულ ქვეყანაში, უსაქმური ჩინოვნიკებისათვის ღაენიშნა, ამისთანა წარმოუდგენელი თანხები ხელფასებად და დამატებით კიდევ პრემია-დანამატები? ამას წინად (23 თებერვალს), რუსეთის 1 არხზე ვუყურე გადაცემას «День защити отечества»! უნდა გენახათ როგორი აღფრთოვანებით იყვნენ განმსჭვალულები ხნიერნიც და ახალგაზრდებიც სამშობლოსადმი სიყვარულით! აი სად ჰყვავის “სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი“! ჯერ ნაცებმა დაიწყეს, ხოლო ქოცებმა გააღრმავეს მცნება „სამშობლო“-ს ამოძირკვა ხალხის შეგნებიდან! ეხლა ვიღაცა ბნელი გამოხტება და დაიწყებს, აი რუსეთუმე ხარო. რასაც კარგს დავინახავ, მომეწონება და ვისურვებ სამშობლოსათვის, ძალიანაც კარგი, ვიყო რუსეთუმე! მე მგონი, არავისთვია არ არის ახალი ის, რომ საქართველო ოდითგან მდებარეობდა და მდებარეობს აზია-ევროპის გზაგასაყარზე და ამიტომაც იყო ჩვენი სამშობლო მოქცეული ორ ზღვას შორის, საომარ ველოდ! და ამიტომაც ვიყავით და ვართ ორი რელიგიის, მართმადიდებლობისა და მუსულმანური რელიგიების შეჯახების არეალში! ამიტომაც გვმართებს გონიერი მოქცევა. განა ტყუილად არის ნათქვამი – „გველსა ხვრელით ამოიყვანს, ენა ტკბილად მოუბარი.“ ზემოთ საქართველოს ისტორია ვახსენე და გულისტკივილი გამოვთქვი მაშინ არსებულ ყოფაზე, უამრავ შემოსევებზე, ყველამ ჩვენს მიწაზე გადაიარა და ზოგი წლობით პარპაშებდა აქ. რომელი ერთი ჩამოვთვალო, თურქსელჩუკები, არაბები, სპარსელები, მონღოლები, აქ კიდევ ყურის ძირში ლეკებისაგან გვქონდა სისხლი გამშრალი! გვქონდა დიდი აღორძინების პერიოდები, განსაკუთრებით დავით აღმაშენებლის, თამარ დედოფლის, გიორგი ბრწყინვალის დროს! მაგრამ, როცა დადგა უკვე უკიდურესად გაუსაძლისი ვითარება და საქართველო აღმოჩნდა ყოფნა-არყოფნის მიჯნაზე, ქართველები (თითქმის) დარჩენილები ვიყავით 700 ათასამდე?! არც დღეს გვაქვს ამ მხრივ საქმე სახარბიელოდ, პირიქით! ძირძველი ქართველები გარბიან საზღვარგარეთ მონური შრომისათვის, ლუკმა-პურის საშოვნელად! დიდმა მეფემ, ერეკლე მეორემ საქართველოს ბედი დაუკავშირა ერთმორწმუნე რუსეთს! ამ გადაწყვეტილებას ჰქონდა ბევრი უაეყოფითი შედეგები, მაგრამ დადებითმა ბევრად გადააჭარბა უარყოფითს! ამის შესახებ სტალინს აქვს ნათქვამი, ორი უკიდურესობიდან, ავირჩიეთ ნაკლები! რომ არა დიდი მეფის, ერეკლე მეფის ეს გადაწყვეტილება, ალბათ ქართველთა სახსენებელი აღარ იქნებოდა ქვეყნად! თუ როგორ წარიმართა შემდეგ ჩვენი ცხოვრება, ამაზე ეხლა ლაპარაკი არ ღირს, ვინაიდან, „საზიზღარი“ კომუნისტების პერიოდში, მოსახლეობამ 5,5 მილიონს მიაღწია! აღორძინდა განათლება, მეცნიერება და კულტურა. ასევე, მსუბუქი და მძიმე მრეწველობა. ჰყვაოდა სოფლის მეურნეობა. ხალხი მუხლჩაუხრელად შრომობდა, სამაგიეროდ ცხოვრობდა ძალიან კარგად! კომუნისტების ეპოქაში აშენებული უამრავი, უნიკალური ფაბრიკა-ქარხნების, თურქთსა და ირანში ჯართად გაყიდვის შედეგად, დღეს ჩვენთან ბევრი მილიონერი გაჩნდა და თავს დიდ ვინმედ წარმოგვიდგენენ, ამ დროს ბევრი მათგანის ფასი, გახვრეტილი შაურიც არ არის! ზემოთ მეფე გიორგის აღსარების სიტყვები მოგახსენეთ, თუ როგორ იყვნენ მიყიდულები უცხო ტომელებს ჩვენი აზნაურები და სამღვდელოება! იგივე, უფრო უარეს ფორმებში ხდება დღეს! სამწუხაროდ ეკლესიებში ფეხი მოიკიდა ყოველგვარმა სიბინძურემ! ხელისუფლებაში – პარლამენტი, მთავრობა, შეყრილები არიან ნახევრად განათლებული სუბიექტები, რომელთაც, დიდ ხელფასთან შედარებით, პასუხისმგებლობა აქვთ, ნული! ყველა უკადრებელს კადრულობენ, ოღონდ თვითონ თავი იგრძნონ თბილად! ყველაფერს აკეთებენ ხალხის სურვილის საწინააღმდეგოდ! ვიღაცა ჩლუნგმა წამოაყრანტალა ნატოში შესვლა და ეს, უბედურ დღეზე გაჩენილებიც თუთიყუშებივით გაიძახიან, ნატო-ნატო! ზოგიერთი ბნელის გასაგონად მინდა მოვყვე ნატოს შექმნის მოკლე ისტორია. ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი (ნატო) შეიქმნა 1949 წლის 4 აპრილს, აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის და რიგი ქვეყნების ინიციატივით და გამიზნული იყო სოციალისტური ბანაკისა და ეროვნულ-განმანთავისუფლების მოძრაობის(!?) წინააღმდეგ საბრძოლველად! აღარ არის სოციალისტური ბანაკი. დარჩა, ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა! აი რის წინააღმდეგ იბრძვის დღეს მსოფლიოში ნატო! გაიხსენეთ თქვე უდღეურებო, როგორ დაბომბა თქვენმა საოცნებო ნატომ, 1999 წლის აღდგომა დღეს ბელგრადი, თანაც ყუმბარებზე ეწერათ, „გილოცავთ აღდგომას!“ აი, ამათ ეტენებით თქვე საცოდავებო! ა/წ 16 თებერვალს, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა“-ში იყო გამოქვეყნებული ქ-ნ ლეილა კუნჭულიას წერილი სათაურით: „გუმარჯოს სიკვდილშიაც არ დანებებასა“! „როგორ აპირებს პატარა საქართველო დიდი მტრის აგრესიასთან გამკლავებას?“ ქ-ნი ლეილა მოგვითხრობს თავდაცვის „გულადი“ მინისტრის ბაქი-ბუქის შესახებ! ეს „ვაჟბატონი“ ისეთი რიხით ლაპარაკობს საქართველოს მიერ აგრესორ-თავდამსხმელთან გამკლავების თაობაზე რომ კაცი იფიქრებს, ისე გვქონია ჯარში საქმე აწყობილი, თავიანთი დაქალი ნატოს და სტრატეგიული „პარტნიორის“, აშშ-ს დახმარებით, რომ ვერავინ ბუზსაც ვერ აგვიფრენს. მინდა ვკითხო ამ უბედურ დღეზე გაჩენილებს, ვის გულისხმობენ აგრესორ-თავდამსხმელებში? თუ რუსეთი გყავთ მხედველობაში, მაშინ ვაი თქვენ პატრონს! გაიღვიძეთ და გაახილეთ თვალები. ხომ არ გავიწყდებათ, რომ რუსეთი აღარ არის ელცინის დროინდელი რუსეთი, ეხლა ის მსოფლიოში სუპერზემძლავრი იარაღის მფლობელი სახელმწიფოა და მას უბატონოდ ხმას ვერავინ გასცემს! ხომ გითხრათ თქვენმა პატრონებმა, რომ რუსეთთან, არავის გამო, მით უმეტეს თქვენი გულისათვის ომს არ დავიწყებთო! თქვენ ამის გაგონება არ გინდათ და არც ძალგიძთ, ვინაიდან არ გაწყობთ! აბა გაიხსენეთ, როგორ დაგეხმარათ თქვენი სტრატეგიული პარტნიორი, 2008 წლის აგვისტოში საკაშვილის მიერ დაწყებული ავანტიურის დროს, როდესაც დავკარგეთ ჩვენი ტერიტორიების 20 %, ჩასვრილ-ჩასველებულებს „პამპერსებით“ და სასმელი წყლით, (მაშინ როდესაც საქართველო არის სასმელი წყლის ულევი მარაგის პატრონი(!) და ამ ბედოვლათ ხელისუფლებას, არ უნდა ამ სიმდიდრის ხალხის სამსახურში ჩაყენება) მოსასულიერებლად? ხომ ხედავთ რა ხდებოდა და რა ხდება დღეს სირიაში? თუ ასეთი გულადები „ბრძანდებით“, აზერბაიჯანი „დავით-გარეჯი“-ს კომპლექსს, რომ გართმევთ, ხმა რატომ გაქვთ ჩაწყვეტილები? ანდა, თქვენი მეგობარი თურქეთის ელჩმა, რომ დიდგორობის ბრწყინვალე დღესასწაულის აღნიშვნა აგიკრძალათ, დიახ აგიკრძალათ, რატომ ხართ სოროებში, ვირთხებივით შემძვრალნი? ეხლა, ნატოში შესაკვეხებლად ახალი სიმღერა დაიწყეთ, სხვა ხმაზე აჭიკჭიკდით, შეიძლება ნატოში მიგიღონ, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე?! მანამდე არ აგიდგეთ გვერდები, შინაურსაც და გარეულსაც, თქვენ ადამიანების მსგავსო წარმონაქმნო! თქვენ ეი აზრზე მოდით და ჭკუას მოუხმეთ, ოდნავ მაინც თუ გაგაჩნიათ! თქვენ ისიც გეყოთ, რომელიღაცა დეგენერატმა, დიახ დეგენერატმა, რომ წამოაყრანტალა, სამშვიდობო მისიებში ჩვენი ჯარისკაცების მონაწილეობით(?), ჩვენ საქართველოს უსაფრთხოებას(?!) ვიცავთო! გაუშვით თქვენი შვილები, თქვე არარაობებო იმ სასაკლაოზე და „ცინკით“ რომ ჩამოგისვენებენ, მერე იძახეთ, საქართველოს უსაფრთხოებას ვიცავთო! ვისაც არ გამოუცდია შვილის სიკვდილი, რომელიც ორჯერ გამოვცადე და ღმერთმა ყველას დაუფაროს, იმათთვის ზღვაში წვეთია(ალბათ), ვიცი ყოველივე, რა მწარეა!

ნახეთ, იზორიასნაირი სახელმწიფო „მოღვაწეების მუხლჩაუხრელი შრომის“ შედეგად, ნატოსთან დაკავშირებით რუსეთმა, რომ მიიღი შესაბამისი გადაწყვეტილება და დაიწყო თავისი 58-ე არმიის გაძლიერება! აი ამასთან მიმართებით რას წერს გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, ა/წ 21 თებერვალს, თავის პირველ გვერდზე: „რუსეთის სამხრეთ სამხედრო ოლქს ახალი შენაერთებითა და უახლესი საბრძოლო ტექნიკით აძლიერებენ. ამ გზით რუსეთის თავდაცვის სამინისტროს, ქვეყნის სამხრეთში მთავარი დამრტყმელი ძალის – 58-ე არმიის უპრეცედენტო რეორგანიზება დაიწყო... აქ საუბარია, თუ ამისათვის რა სამუშაოები ჩატარდება, და ბოლოს გაზეთი წერს: როგორც უწყებაში განმარტავენ, БМП-3-ისა და Т-72Б3-ის ტიპის მანქანები წინა ვერსიებისაგან გაძლიერებული ჯავშან დაფარვითა და უფრო მძლავრი ძრავით განსხვავდება. რუსული მედიის ცნობით, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები არაოფიციალურ საუბრებში აცხადებენ, რომ აღნიშნული გეგმები რეგიონში ნატოს წარმომადგენლობის გაძლიერებას უკავშირდება.“! იზორია, შენ და ბევრი შენისთანა იმდენს იხტუნავებთ, რომ, ამ ჩრდილოეთის დათვს ამოუვათ ყველაფერი ყელში და გაგვასწორებს მიწასთან და მერე ვინ იქნება თქვენი განმსჯელი? არავინ!

მინდა ვურჩიო, ამ სოროსის სოროებში დაფრთიანებულ ვირთხებს, გულდასმით წაიკითხონ, ა/წ 23 თებერვალს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველო“-ში, (გვ.4) დაბეჭდილი ბატონ ბენია თხილავას ღია წერილი, სადაც ბატონი ბენია მამა-შვილურად ესაუბრება, მაგრამ მტერი არ არის მეტი, ამათმა რამე გაიგონ. ერთ რჩევას კი მივცემდი თუ, რასაკვირველია, მიიღებდნენ. ვინაიდან წერილი არის ღრმად შინაარსიანი, ამიტომ ვურჩევდი ეს წერილი წააკითხონ ვინმე წიგნიერს და ის აუხსნიდა, თუ რა სწერია ამ წერილში! ბატონო ბენია, იმედია კადნიერებაში არ ჩამითვლით ჩემი აზრის გამოთქმას! როგორც თქვენ ბრძანებთ, დროული კაცი ბრძანდებით. მეც ეგრე ვარ, 83-სკენ მივდივარ. თქვენს ღია წერილს წამძღვარებული აქვს – „მოყვარეს პირში უძრახე“... თქვენი წერილის ადრესატები მოყვრები კი არა, საქართველოს დაუძინებელი, მამალი მტრები რიან! თუ ვტყუივარ, ხალხმა განმსაჯოს! საქართველოს სამტროდ, უბედურ დღეზე გაჩენილო, ვაი ხელისუფალნო, გულდასმით წაიკითხეთ ეს წერილი! „ხართ მონებად შობილნი, საქართველოს მიწაზე, უცხოთ ელაციცებით, ქართველების ჯინაზე! ქართველებო, როდემდე გინდათ იყოთ, გაუცხარებელი ცხვრების მდგომარეობაში? ჩვენ, ალბათ თუ გვიშველის, ერთი, კარგი, ქართული ბახტრიონი! სხვა გამოსავალი არ სჩანს!

ეხლა დაპირებული, გამწარებული მამის წყევლა: „დიდხანს ლოცულობდა მიცვალებულის საწოლთან დამხობილი მამა, და როცა სინათლე შემოიჭრა ფანჯრიდან, წამოდგა, მაღლა აღაპყრო ხელნი და ქართლის კათალიკოსის მიერ დაწყევლილი ვარდან ჰემხვარის უკანასკნელი ნაშიერი რვა საუკუნის შემდეგ ასოცდამერვე ფსალმუნის ლექსით შეაჩვენა გაბურძგვნილმა, ნახევრად შეშლილმა ხუცესმა.

...“დაადგინე ცოდვილი მასზედა და ეშმაკი დადევინ-მარჯუენით მისდა. იყვნენ დღენი მისნი მცირე და გასაგებელი მისი სხვამან მიიღონ. იყვნენ შვილნი მისი ობოლ და ცოლი მისი ქვრივ. აღიძრნედ და გარდაიცვლედ შვილნი მისნი, პურისმთხოველ იქმნედ და გახდედ სამკვიდრებელისაგან მისისა. იყვნენ ნაშიერნი მისნი მოსარეველ ერსა შორის და ნათესავისაგან აღირიცხონ სახელი მისი, და მოისპონ ქვეყნით სახსენებელი მათი.

...ეყავ მას წყევა – ვითარცა სამოსელი, რომელ შთაიცვის და ვითარცა სარტყელი, რომელ შეირტყას წელთა მისთა. კრულმცა არს ძილი და ღვიძილი მისი, საფლავი და სახსენებელი თარაშ ემხვარისა – (საქართველოს ყველა ჯურის, მტრის, შინაურისაც და გარეულისაც) – და სატანას გაუხსნელითამცა საკვირველითა შეიკვრის ტომით, ნათესავით და სახსენებლით მისითურთ“.

როგორც ზემოთ ვთქვი, ეს არის, შვილმკვდარი, გამწარებული მამის წყევლა, რომელიც მივმართე მათ მიმართ, ვინც საქართველოს მტრობით ლაღობს და სტომაქს იყორავს! ღმერთო მიაგე ყველას, ჩემი ქვეყნის მტრებს თავისი მისაგებელი! ამინ!

**საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის აფხაზეთში(?) მიმდინარე ძმათამკვლელი ბრძოლების მონაწილე, ორი დაღუპული მებრძოლის მამა,**
**ანზორი დანელია**

ილორი

# ქართველი ტროცკისტები და მათი გააქტიურებული ლაშქრობა ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ

**ომარ გოცაძე**

რაც ახლა ქვეყანაში ხდება, ისეა აცილებული ლოგიკასა და ქვეყნის ინტერესებს, როგორც "ნაციონალები" სადად აზროვნებას. თუ 30-იან წლებში, ტროცკისტი მავნებლები ჩუმად მაინც იყვნენ და იატაკქვეშიდან არალეგალურად ებრძოდნენ სტალინს, მათგან განსხვავებით დღევანდელი ქართველი ტროცკისტები პირდაპირ ხმალამოღებული იბრძვიან და ყველაფერს კადრულობენ იმისათვის, რომ ქვეყანაში დესტაბილიზაცია გამოიწვიონ და ქვეყნის ხელისუფლების დისკრედიზაცია მოახდინონ. სხვას ვერაფერს დავარქმევ ბოტანიკური ბადის გარშემო ატეხილ იმ აჟიოტაჟსა და პროვოკაციულ გამოსვლებს, რასაც ეს ვითომ პარტიზანი მებაღეები, უცხო ქვეყნებიდან დაფინანსებული ქვეყნის მოღალატე არასამთავრობოები და ნაცბობოლა აქტივისტები აკეთებენ. ათას სისაზიზღრეს ჩადიან და ყველაფერს კადრულობენ იმისათვის, რომ ივანიშვილის დისკრედიტაცია მოახდინონ და ის ხალხს შეაძულონ. რატომ არის, რომ საქართველოში ყველას ყველაფრის უფლება აქვს გარდა ქართველისა. რატომ არის, რომ არაბებს უფლება აქვთ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების უხვმოსავლინი ნოყიერი მიწები შეიძინონ სოფ. წილკანში 70 ჰა, წეროვანში 18, მუხრანში 52, ყვარელში სოფ. კუჭატანში 37, ხოლო ქართველ ბიძინა ივანიშვილს იმის უფლებაც კი არ აქვს, ქვაღორღიანი და გახრიოკებული 29 ჰა მიწა იყიდოს თბილისის გარეუბანში. რატომ არის, რომ საქართველოში მოქმედი და უცხო ქვეყნების მიერ დაფინანსებულ ამ ცნობილ არასამთავრობო ორგანიზაციებს, უცხოელებისათვის მიწის მიყიდვაზე ხმა არ ამოუღიათ და ისე გაატარეს ვითომ არაფერი, ხოლო ბიძინა ივანიშვილი პირდაპირ ჯვარს აცვეს. უფრო მეტიც, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, მთავრობის მიერ უცხოელებისათვის მიწის მიყიდვაზე გამოცხადებული მორატორიუმი ქ-ნმა გიგაურმა გააპროტესტა და საკონსტიტუციო სასამართლოში იჩივლა. საკონსტიტუციო სასამართლომაც ამ სულგაყიდულ გიგაურის სარჩელი დააკმაყოფილა და მორატორიუმი გააუქმა, რითაც ქვეყნისა და ქართველი ხალხის ინტერესები ფეხებზე დაიკიდა. ამ ხალხს, ანუ ქართველ "ტროცკისტებს", ისე აქვთ გონება დაჩლუნგებული და თვალები დაბინდული, რომ უცხო ქვეყნებისგან გადმოგდებული გროშების და პირადულის გარდა სხვას ვეღარაფერს ამჩნევენ. ხოლო ქვეყანა და მისი ინტერესები ქართველ ხალხთან ერთად სულ ფეხებზე ჰკიდიათ. ქვეყანაში საქმე, რომ კარგად ვერ მიდის, ეს ფაქტია და ამას დიდი მტკიცება აღარ ჭირდება. იმის მაგიერ, რომ ხელისუფლებამ ხალხთან ერთად მთელი ძალისხმევა ქვეყნის ეკონომიკის აღორძინებას მოახმაროს, სიღარიბეში მცხოვრებ მოსახლეობის კეთილდღეობაზე იზრუნოს, და ეს ხალხი როგორმე სიღატაკისაგან იხსნას, ყოველ წუთს "ნაციონალების" მიერ დაგებულ მახეში ებმება და ძალაუნებურად მათ მიერ მოწყობილ ავანტიურის ქსელში ეხვევა. მოკლედ, დღევანდელმა ხელისუფლებამ ვერ იქნა და ვერაფრით გაიგო, რომ მათივე უნიათობით გათამამებული ნაციონალები, როლებსაც ციხეში გაგზავნის ნაცვლად სასათბურე პირობები შეუქმნეს, ისე მომძლავრდნენ, რომ უკვე საბოტაჟზე გადავიდნენ და აქეთ უტევენ ხელისუფლებას. დავესესხები ბ-ნ ზურაბ აბაშიძეს და მისი სიტყვების პერიფრაზას გავაკეთებ. ძვირფასო "ოცნებავ", რად ვერ გაიგეთ, რომ "ნაციონალებს", ხელისგულზე ერბო-კვერცხიც რომ შეუწვათ და ისე მიართვათ, ისინი მაინც უკმაყოფილები იქნებიან და მათ გულს ვერაფრით მოიგებთ. თქვენს მიერ გაკეთებული, რაც არ უნდა კარგი საქმე იყოს, ვერაფრით მოაწონებთ და მუდამ წინააღმდეგი იქნებიან. ჯერ იყო და ერთი ამბავი ატეხეს, რუსული გაზი არ გვინდა, ის ხომ ოკუპანტი ქვეყნისაა და ამ ბერკეტს რუსეთი ჩვენს წინააღმდეგ ზემოქმედებისთვის გამოიყენებსო. 27 თებერვალს გაზპრომის საწინააღმდეგო აქციაც მოაწყვეს და მისი საწინააღმდეგო ლოზუნგებიც გამოიტანეს.საწყალი რუსეთი, თურმე ეს ერთად-ერთი ბერკეტი ჰქონია ჩვენზე ზემოქმედებისათვის, და ამასაც ჩვენ თვითონვე ვაძლევთო, ისტერიულად გაჰკივიან "ნაციონალები". თუ ყველაფერი კარგად დამთავრდა, ხელისუფლების მიერ გაკეთებული კარგი საქმეებიდან ერთ-ერთი ესეც იქნება. არა მგონია ეს ქვეყნის გამყიდველი "ნაციონალები" ისეთი სულელებიც იყვნენ და იმდენი არ იცოდნენ, რომ, რაც მეტია ალტერნატივა საქონლის მოწოდებაზე, მით მეტია კონკურენცია, რომელიც თავისთავად ნიშნავს მოსახლეობის უზრუნველყოფას კარგი ხარისხისა და შედარებით დაბალი ფასის პროდუქციით. ეს აქსიომაა და საწინააღმდეგოს მტკიცება მხოლოდ ქვეყნის მტრობა და ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული საბოტაჟია. ზუსტად "გაზპრომთან" დაწყებულმა მოლაპარაკებებმა აიძულა ჩვენი აზერბაიჯანელი მეზობლები, ფასის შემცირებაზე დაეწყოთ საუბარი. ჩვენს "ნაციონალებს" კი, ამ თემის როგორმე პოლიტიკურ ჭრილში გადაყვანა უნდათ, თუ არა, სულ ფეხებზე ჰკიდიათ მოსახლეობისათვის გაზი გაიაფდება თუ გაძვირდება. თანაც ამას ამბობს ხალხი, რომლებმაც ქვეყნის თითქმის ყველა სტრატეგიული ობიექტები რუსეთს ჩაუგდეს ხელში. მოკლედ შუბლზე ძარღვს თუ გაიწყვიტავ, კაცმა შეიძლება ყველაფერი იკადრო. თუმცა რომელი ძარღვის გაწყვეტაზეა ლაპარაკი, "ნაციონალებს" შუბლზე ძარღვი კი არა, მე მგონი შუბლი საერთოდ არა აქვთ. პარალელურად, თბილისის პანორამის საწინააღმდეგო აქციაც ზედ მიაყოლეს. გულისამრევია აქციის მონაწილე და იქ მოქოთქოთე ერთი და იგივე სახეები: ნინია კაკაბაძეები, ქეთათო ჩარკვიანები და ათასი ჯურის ქვეყნის გარედან დაფინანსებული და დოლარებზე სულგაყიდული სამშობლოს მოღალატე არასამთავრობოები. ქვეყნისათვის სასიკეთო ამ წამოწყებების ერთადერთი "ნაკლი" ისაა, რომ იგი პირდაპირ თუ ირიბად ბიძინა ივანიშვილთანაა დაკავშირებული. ამიტომ იკლავენ თავს, არაფრით არ უნდათ, რომ ამ კაცის გაკეთებული კარგი საქმე ხალხმა ნახოს, თუ არა "ნაციონალებსა" და მათ დამქაშებს, სულ არ ადარდებთ "გაზპრომი" და ქართველი ხალხი. არადა ეს კაცი ქალაქს აშენებს, იქაურობას ალამაზებს. ხოლო ქვეყნის დამაქცევარმა სააკაშვილმა და უგულავამ, მართლა დაამახინჯეს და იერსახე ისე შეუცვალეს თბილისს, კაცს გული გეტკინება. ნახეთ რას დაამსგავსეს გმირთა მოედანი, თაბუკაშვილის ქუჩაზე რა სიმახინჯე ააშენეს. რა უქნეს აკადემქალაქს, სპორტის სასახლეს მადალსართულიანი კორპუსების ჯავშანი შემოარტყეს. მის მიმდებარე ტერიტორიაზე, სახლები ისეა ერთმანეთზე მიბჯენილი, სიმჭიდროვისაგან სუნთქვა შეგეკვრება კაცს, მაგრამ კაციშვილს ხმა არ ამოუღია. გაზპრომის ამბავს, შეწყალების კომისიის ყოფილი თავმჯდომარის ბ-ნ ელისაშვილის სკანდალური განცხადება მოჰყვა და ატყდა ერთი ვაიუშველებელი. სეირის მოყვარულებმა, პარალელურად ბ-ნი გოგი თოფაძის თემა აიტაცეს და ლამის ჯვარს აცვეს კაცი. კი, მაგრამ ამ კაცმა რა თქვა ისეთი, რაც ხალხმა აქამდე არ იცოდა. სხვათაშორის, გოგი თოფაძე მაშინდელ პარლამენტში ის ერთადერთი დეპუტატი იყო, რომელიც ჩვენს ცნობილ "კეთილისმყოფელს", სავალუტო ფონდის ყბადაღებულ წარმომადგენელს ბ-ნ შადმან ვალავს დაუპირისპირდა. ვალავი კიდევ ის კაცია, რომელიც სესხის სანაცვლოდ, ქვეყნიდან ჯართისა და ხეტყის გატანის შესახებ კანონის მიღებას რომ გვაძალებდა. ასეთივე პოზიცია დაიკავა მაშინდელმა ფინანსთა მინისტრმა ბ-ნმა დავით იაკობიძემაც და თანამდებობიდან გადადგა. სამწუხაროდ ამ წინადადებას მხარი დაუჭირა მაშინდელმა ეკონომიკის მინისტრმა ბ-ნმა ლადო პაპავამ და პარლამენტმაც უმრავლესობის მხარდაჭერით ეს კანონი მიიღო. გოგი თოფაძე მეურნე კაცია, კარგად ერკვევა მრეწველობის საკითხებში და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე სწორი პოზიცია დაიკავა.ის, რომ მაშინ მართალი იყო დღევანდელმა დღემ დაადასტურა. ხელში შეგვრჩა, გაძარცული და დანგრეული ფაბრიკა-ქარხნები, გაპარტახებული ეკონომიკა, განადგურებული ფლორა და ფაუნა, ქვეყნიდან გაქცეული მოსახლეობის მესამედი, საკუთარ ქვეყანაში ასი ათასობით ლტოლვილი და გადატაკებული მოსახლეობა. მე მგონი, "რესპუბლიკელებსაც" "ნაციონალებივით" ამნეზია დაემართათ და ყველაფერი დაავიწყდათ. გადახედონ საგარეჯოს არჩევნებისდროინდელ პერიოდის პრესას და ბევრად უფრო მწვავე შეფასებებს ნახავენ რესპუბლიკელების, და კერძოდ თინა ხიდაშელის მიმართ, ვიდრე ეს გოგი თოფაძემ გააკეთა. ისე, რესპუბლიკელები ნამდვილად არ უნდა აძლევდნენ თავს უფლებას, ქართველ ხალხს ასეთი მენტორული ტონით ელაპარაკონ. ისე გვამადლიან თავს, თითქოს ისინი, ბ-ნი ბიძინას ხათრით კი არა, პირიქით, ხალხს თურმე მათი ხათრით ბიძინა ივანიშვილი აურჩევია. კარგით რა, ნამუსიც კარგი საქონელია. ამაში ცოტაოდენი ბრალი ბ-ნ ბიძინასაც მიუძღვის. მან ამდენი უფლება არ უნდა მიცეს რესპუბლიკელებს, რომლებიც მას პატარა ბავშვივით ათამაშებენ თავიანთ ჭკუაზე, ხან ხიდაშელს ანიშნინებენ თავდაცვის მინისტრად, ხანაც ამ უსახური კორძაიასა და ვინმე თამარ ხიდაშელის მხარდასაჭერად იყენებენ. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს ბ-ნი დავით ბერძენიშვილის ვერსია, ქ-ნ ხიდაშელის თავდაცვის მინისტრად დანიშვნის თაობაზე. იმის შემდეგ, რაც პრემიერმა გამოაცხადა, რომ მეტი ცვლილება მინისტრთა კაბინეტში არ იგეგმებაო, თურმე იმავე საღამოს, ბ-ნი დავითი პარლამენტის კაფეში ჩასულა ფინჯანი ყავას დასალევად რამდენიმე თანამოაზრესთან ერთად, და სრულიად შემთხვევით თავში ასეთი აზრი მოსვლია: "ხომ შეიძლება თინა ხიდაშელი თავდაცვის მინისტრად დავნიშნოთ, ამაზე უკეთესი კანდიდატურა ვინ უნდა იყოსო". აუ, ეს რა გენიოსური აზრი მოგსვლია თავშიო, ერთხმად შეუძახიათ დათიკოსათვის თანასუფრელებს. იმწუთშივე დავუკავშირდი დარიბაშვილს და ჩვენი მოსაზრება გავაცანითო, ჩვეული სიდინჯითა და თავდაჯერებულობით აცხადებს ბ-ნი დავითი. ახლა დარიბაშვილს აუტეხია ერთი ამბავი, და მოწონების ყიჟინა დაუცხია ტელეფონის მეორე მხარეს. კაცი პირდაპირ თავს იკლავდა თურმე, ეს როგორ მომივიდა და მისი აღმოჩენა თქვენ როგორ დამასწარითო. ასე სასწრაფო წესით დაინიშნა ქ-ნი თინა თავდაცვის მინისტრად მეორე დღესვე. ამ ზღაპრების შემდეგ, გულწრფელად შემეცოდა საწყალი ქოსტაყუილა, რომელიც ამ ფონზე ისე საწყლად გამოიყურება, რომ ბ-ნ დავითს კოჭებამდეც ვერ მისწვდება. ბ-ნო დავით, ამ განცხადებით თქვენ ქართველ ხალხს თვალში ნაცარი შეაყარეთ და შეურაცხყოფა მიაყენეთ. მართალია ხალხის გამოთაყვანებისა და ტვინის გამორეცხვის კამპანია საკმაოდ წარმატებულად მიმდინარეობს, მაგრამ ჯერჯერობით მთლად ისეც არაა ქართველი ხალხის საქმე, ეს ზღაპრები რომ დაიჯეროს. რესპუბლიკელები, რომ მთლად სანდო და დასაყრდენი ძალა არ არის, ისინი ამას დროდადრო, კანონების მიღებისას თავიანთი საქმიანობითაც ამტკიცებდნენ. უმრავლესობას ხან ემიჯნებოდნენ და ხმის მიცემაზე თავს იკავებდნენ, ხანაც დამადლებული ტონით აცხადებდნენ უმრავლესობასთან კომპრომისზე წავედითო. ახლა, ცოტა რომ გაუჭირდათ, ნიღაბი ბოლომდე არა, მაგრამ კაიგვარიანად ჩამოიწიეს. ხმალაძემ პაპუაშვილს 4,5 ქულა დაუწერა, ქ-ნი თინა რუსთავი-2-ში გაიქცა და გაბუნიას ჩაეხუტა. კორძაია ხომ თავისი გენიოსური აზრებით ყოველდღე გვმოძღვრავს. მოკლედ შოუების ეპოქაში ვცხოვრობთ. მდგომარეობა რომ კიდევ უფრო გახმაურებულიყო, ისედაც გამწვავებულ სიტუაციას ახლა უკვე ციხისძირის სამი ხის ამბავიც დაამატეს, და ივანიშვილი ლამის ქვეყნის მოღალატედ გამოიყვანეს. კი მაგრამ ამ 100-150 წლის მანძილზე, სანამ ამ ხეებით ბ-ნი ბიძინა დაინტერესდებოდა, ვინმეს ახსოვდა, ან ვინმემ იცოდა ამ ხეების შესახებ? სტრატეგიული დანიშნულება ჰქონდა, თუ მისი ფოთლების შრიალი აჭარის ბიუჯეტს ავსებდა. ვინმემ დათვალეთ აქამდე რამდენი ასეთი ხეა მოჭრილი და ბუხარში აგიზგიზებული? აფხაზეთი და სამაჩაბლო დავკარგეთ და ამაზე, ამის ნახევარი ამბავი არ აუტეხიათ "ნაციონალებს", რაც ამ სამ ხეზე ბიძინა ივანიშვილს დააწიეს. თქვე მართლა უშუბლო "ნაციონალებო", კი მაგრამ ასე ყველას ერთად ამნეზია, როგორ დაგემართათ, რომ ყველაფერი დაგავიწყდათ. მთელი საქართველო გაჩეხეთ, რცხილიდან დაწყებული უნიკალური წაბლისა და ურთხმელის ჯიშის ხეებისაგან მასიურად გაწმინდეთ საქართველო, და მთელი ხე-ტყე ქვეყნიდან გაზიდეთ. როგორც ამბობენ, ამ საქმეს ახალციხესა და მთელ მესხეთ-ჯავახეთში მერაბიშვილის მამა, ხოლო ტყიბულსა და რაჭაში ძმები კუბლაშვილები ლობირებდნენ. ტყიბულის რაიონში ერთადერთი სოფელი მუხურაა, სადაც ამ მოძალადე ხის მჭრელთა ბრიგადას, ხალხი ბარებითა და ფიწლებით შეიარაღებულნი წინ აღუდგა და სოფელი წაბლის ხეების მასობრივი გაჩეხვისაგან გადაარჩინა. თუ არ გჯერათ ჰკითხეთ ამ სოფლის მკვიდრს, ტყიბულის რაიონის მაჟორიტარ ვაიდეპუტატ ქ-ნ ელისო ჩაფიძეს და ის დაგიდასტურებთ. მოკლედ მართლა უშუბლო უნდა იყო კაცი, ამის შემდეგ ივანიშვილს ამ სამ ხეზე რომ შეედავო. თანაც ეს კაცი ამ ხეებს კი არ ჭრის, სხვაგან უნდა გადარგოს. როგორც ჩანს ყველა მისი ქმედება ხეების გადარგვასთან დაკავშირებით კანონიერი იყო, რადგან ნაციონალებს არგუმენტები შემოელიათ და ახლა უკვე სხვა სკანდალი წამოიწყეს. ერთი ამბავი ატეხეს, გადატანის დროს ეს ხეები სხვის კუთვნილ ტერიტორიაზე უნდა გაატაროს და მისი ნებართვა არ აქვსო, ამით კი სხვისი საკუთრების უფლებას არღვევსო, ერთხმად გაჰკივის "სხვისი საკუთრების დაცვასა" და "კანონის უზენაესობის სამსახურში" დამშვრალი, "ნაციონალური ბანდა". საინტერესო ისაა, რომ თვითონ იმ ტერიტორიის პატრონი, სადაც ეს მოთხრილი ხეები უნდა გაატარონ ხმას არ იღებს, არავითარ პრეტენზიას არ გამოთქვამს, და ამათ რა აყაყანებთ ვერაფერი გამიგია. თუმცა, ხმას როგორ ამოიღებდა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ამ ტერიტორიას პატრონი საერთოდ არ ჰყოლია და ისეთივე სიაფანდი ყოფილა, როგორიც ჩვენი "ნაციონალები" არიან. თქვე კაი ხალხო, აუქციონის წესით შეძენილ ჩემს კერძო საკუთრებაში მქონე მიწის ნაკვეთზე, ჩემი ნებართვისა და თანხმობის გარეშე, ჩემი სასტიკი წინააღმდეგობის მიუხედავად, ქალაქის მაშინდელმა მერმა გიგი უგულავამ, მისმა მოადგილეებმა ალავიძემ, მელაძემ და ვაკე-საბურთალოს მაშინდელმა გამგებელმა იოსელიანმა სკვერი გააშენეს და ზედ ბავშვთა სათამაშო მოედანი მოაწყვეს.

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

## ᲑᲐᲓᲠᲘ ᲑᲐᲠᲐᲗᲔᲚᲘᲐᲡ

### ᲜᲐᲗᲔᲚ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ

ხანმოკლეა წუთისოფელი, მაგრამ უფრო ხანმოკლე აღმოჩნდა შენთვის და შენი ლევიკოსთვის. უმძიმესი გლოვის წლები, რაც ამ ხნის მანძილზე შენ და შენმა ოჯახმა გამოიარა. იყო ცრემლებისა მის საფლავთან ყოველდღიური მისვლა, ყველაფერმა ამან დროთა განმავლობაში მძიმედ იმოქმედა. არა ერთხელ ,როგორც იტყვიან ხელიდან გამოგ-გლიჯეს სიკვდილს. ხარობდი შვილებით, შვილიშვილებით. ამ დროს გიმუხთლა ბედმა და 68 წლის ასაკში გამოესალმე წუთი-სოფელს. ძლიერი და მისაბაძი ოჯახი დატოვე ჩემო ბადრი, თვითონ ღვთისაგან დაჯილდოებული იყავი ლამაზი ტემბრის ხმით, წერდი მშვენიერ ლექსებს, სულიერად და ფიზიკურად ლამაზი ვაჟკაცი იყავი. არ დამავიწყდება 15–16 წლის ასაკში როგორ გადავცურეთ ადიდებული ბობოქარი რიონი. სანამ სული მიდგას ყოველთვის შენს ხსოვნას გულით ვატარებ ჩემს ოჯახთან ერთად, თანაც ჩვენ მირონები ვართ, ჩემი უფროსი შვილის ნათლია. ღმერთმა გაანათლოს შენი სული.

**შენი ძმა**
**ᲔᲚᲒᲣᲯᲐ (ᲮᲣᲯᲣ) ᲭᲐᲜᲢᲣᲠᲘᲐ, ᲐᲑᲐᲨᲐ**

# ᲙᲝᲚᲮ-ᲘᲑᲔᲠᲜᲝ!

ნამდვილად არ უნდა დიდი ჭკუა მივხვდეთ იმას, რომ კოლხურ-იბერიულ მოდგმას (სხვა მცირერიცხოვან ერებსაც) გლობალიზმმზე უფრო საშიში მტერი არ ჰყავს! თუ ჩვენ უახლოეს პერიოდში ეროვნულ-ტრადიციული ფასეულობების გადასარჩენად კონსოლიდირებას და საკუთარი ეროვნული ენერგიის აკუ-მულირებას ვერ მოვახერხებთ – უდიდესი ალბათობით გადავგვარდებით და გავქრებით! თუ ჩვენი ისტორიის უკუღმა დატრიალებული ბორბალი რაც შეიძლება მალე წადმა არ დავატრილეთ – შორს არაა ის დრო, როცა სამეგრელოში, სვანეთში, გურიაში, იმერეთში, ლეჩხუმში, რაჭაში, აჭარში, მესხეთში, ფშავ-ხევსურეთში, კახეთში, ქართლში, ანუ საერთოდ საქართველოში ფეხშიშველა იტანტალებენ ფერადკანი-ანი ბაღნები, რომელთა შორის თქვენ წარმოიდგინეთ, რომ მრავლად იქნებიან კოლხურ-იბერიული გვარის მატარე-ბლებიც კი! აი, ამას მოგვიტანს ჩვენ გლობალიზაციის მდვრიე და ყოვლისწამლეკავი ცუნამი! აი, ასეთი სავალალო ხვედრი გველოდება ჩვენ – ჩემო საყვარელო კოლხნო და იბერნო! ნურავინ იფიქრებს, რომ მე ახლა განგებ ვამუქებ ჩვენს მომავლს! არამც და არამც! რეალურად აქეთკენაა ტენდენცია! სამწუხაროდ, ამისკენ მიდის ყველაფერი! აი, ამას უნდა დავუფიქრდეთ ყველა და სანამ ჯერ კიდევ არ არის უსაშველოდ დაგვიანებული – გადავარჩინოთ ჩვენი ერი და ჩვენი სამშობლო!..

მაშ, გაუმარჯოს ჩვენს ბრძოლას მა-მულის გადასარჩენად!

შეგვეწიოს უფალი ჩვენს მა-მულიშვილურ ზრახვებში და გარჯაში!..

**ᲖᲣᲠᲐᲑ ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐ,**
**ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ**

# ᲔᲠᲗᲞᲘᲠᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲓᲐ ᲔᲠᲗ ᲔᲜᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲘ

*(გაგრძელება წინა ნომრიდან)*

3) "ამიტომ ყველას, ვინც ისმენს ამ ჩემს სიტყვებს და ასრულებს მათ, ვამს-გავსებ გონიერ კაცს, რომელმაც სახლი კლდეზე აიშენა. მოვიდა წვიმა, გადმოსკდ-ნენ მდინარეები, ამოვარდნენ ქარები და ეკვეთნენ იმ სახლს. ის კი არ დაეცა, ვინაიდან კლდეზე იყო დაფუძნებული. ხოლო ყველა, ვინც ისმენს ჩემს ამ სიტყვებს და არ ასრულებს, ემსგავსება უგუნურ კაცს, რომელმაც ქვიშაზე აიშენა სახლი. მოვიდა წვიმა, გადმოსკდნენ მდ-ინარეები, ამოვარდნენ ქარები და ეკვეთნენ იმ სახლს, და ის დაეცა, და ძალზე დიდი იყო მისი დაცემა." (მათე 7:24-27)

როგორც ვხედავთ პირველ ორ მო-მენტში აშკარა მინიშნებაა „ყურზე", მესამე შემთხვევაში ნახმარია სიტყვა სმენა, რაც იგივე, ყურის ასოციაცია.

ჩვენ არ და ვერ ვაკვირდებით სიტყვის მნიშვნელობას როცა ვლაპარაკობთ. ყური ერთ-ერთი ისეთი განსხვავებული სიტყვაა ქართულ ლექსიკოგრაფიაში, რომელიც მოიხსენიება არა პირდაპირი გაგებით, არამედ რებუსული მნიშვნელობით. აი დააკვირდით: ყურება, მიყურე, უყურე. სიტყვა სმენა – ხომ გასაგებია, მაგრამ რა შუაშია აქ შეფარული თქმა იმისა, რომ შენ მე არა მარტო ყური დამიგდე, როცა გეუბნები, არამედ თვალებშიც შე-მომხედეო. უფრო სწორი იქნებოდა თუ გამოყენებულ იქნებოდა სიტყვა მითვალე, ხომ გვაქვს ასეთი სიტყვა – მითვალთვალე? რაც მხოლოდ ხილვით დაზვერვას ნიშნავს. მაგრამ არა, დააკანონეს სწორედ სიტყვა – მიყურე. ეხლა გავარკვიოთ რატომ აირ-ჩიეს სიტყვის მდგენელებმა მაინც და მაინც სიტყვა „ყურება" და არა „თვალება".

საქმეც იმაშია, რომ როცა ადამიანი თვალებით ხედავს რაიმე საგანს ან მოვლე-ნას მისი აღქმა ტვინში აკუმულირდება, როგორც მატერიალური სივრცე, ანუ ობიექტის ან მოვლენის ფოკუსირება ხდება ეპიფიზში(გონების ცენტრში), მაგრამ რაღაა ჩანჩქერის მარტო ხილვა, თუ მისი ხმას ვერ გავი+(გონ)+ეთ? ხმის შეგრძნება კი რომელიც ხდება ორგანო – ყურით არის პირველის (მატერიის) შემავსებელი ნაწილი და ის წარმოადგენს სულიერებით სივრცეს. გავი(გონ)ოთ და არა თვალი(გონ)ოთ.

4) და მაინც, რატომ მაინც და მაინც ყური? პრაქტიკა ანახებს, რომ ბრმა ადამი-ანი უკეთ აზროვნებს ვიდრე თვალხილული. რატომ? იმიტომ რომ, როცა ადამიანი თვალის ჩინს კარგავს და ისმენს მხოლოდ ყურით, ის იძულებულია თავის წარმოდ-გენაში ხმის ვიბრაციით აღადგინოს გარკვეული მოვლენა, თუ ობიექტი. უამრავი ფილმი არსებობს იმის თვალსაჩინოდ, თუ როგორ უმკლავდება ბრმა ადამიანი თვალხილულს, ხედავს(ქვეცნობიერად) ყოვ-ელ მის მოძრაობას – ყურით (გონებით) და ამარცხებს მას. ე.ი. გამოდის, რომ ადამიანი სწორედ რომ ყურით (ხედავს) იყურება. ხოლო როცა ქრისტე მიმართავს ხალხს, ის მიმართავს ბრმებს (არა ფიზიკურ პლანში)

5) „იმიტომ დავიბადე და იმიტომ მოველ ამ ქვეყნად, რომ ჭეშმარიტება ვიმოწმო. ყველა, ვინც ჭეშმარიტებისაგან არის, ყურს უგდებს ჩემს ხმას. (18-37)

"ამიტომ ყველას, ვინც ისმენს ამ ჩემს სიტყვებს და ასრულებს მათ, ვამსგავსებ გონიერ კაცს," (მათე 7:24-27)

„ხოლო ვინც არ ისმენს მოიჭრება და გადაიგდება. დღეს დღეობით მუსულმანურ სამყაროში და მხოლოდ დასავლეთ საქართველოშია შემორჩენილი კაცის შერ-ცხვენის გამო ყურის მოჭრა. „ჩემს ყველა ლერწს, რომელსაც არ გამოაქვს ნაყოფი, მოჭრის" (იოანე).

სიტყვა – ყურის და ყურების წინარე ფორმა იყო უჯი და უჯინ. აქაც სიტყვა გაგებით იგივეა, რაც ქართულში, რადგან უჯი არის ყური, ხოლო ჯინა არის ყურე-ბა(თვალიერება). ამავე დროს წინარე ქარ-თულში (მეგრულში) ურუ-ს ეძახიან შეუგნებელ შვილს, რომელსაც არ ესმის მშობლის(მამა ღმერთის). სწორედაც რომ ამ შეუგნებლობის გამო დაისაჯა იმპერი-ული ძალის წარმომადგენელი – რომაელი ჯარისკაცი და მას ყური მოეჭრა).

როგორც ვხედავთ, საქმე გვაქვს ისევ და ისევ ორმაგ სტანდარტებთან. ე.ი. ძველი აღთქმით-ვენახი და ახლით – ვაზი, ასევე ამ ორ სიტყვას აქვს ერთი არსი, მაგრამ აზრის მიმართულება სხვა და სხვა. ძველ აღთმაში იგულისხმება სვანურ-მეგრული და ახალში ქართული გაგება. მეგრულად ურუ ნიშნავს შეუგნებელს, ხოლო ახალი მეგრულით(ქართულით) კი შეგნებულებს. აქედან გამომდინარე უკვე შეგვიძლია ადვილად ავხსნათ თუ რას ნშნავს სიტყვა – ყურძენი.

ყურძენი – ყურთ+ძენი, (ღმრთის მს-მენელთა ძენი).

მინდა მოგახსენებთ, სიტყვა „ყურ-თან" დაკავშირებული კიდევ ერთი ინფორმა-ცია:

ყურბანი – ყუბანი

ყურბანი – დღევანდელი „კუბანი". საგანმანათლებლო ცენტრი-კერა, რომელიც დააარსეს (დარგეს)ლაზ-ქართველ-არიელ ქურუმთა კასტამ. ეს გახლავთ იმ 36 საიდუმლო ვეორგიანულ სკოლათა შორის, ერთ-ერთი, რომელიც განავრცო ქრისტეს მოდგმამ მსოფლიოს სხვა და სხვა მხარეში. (დანარჩენზე შემდეგ ვისაუბრებთ).

„ნუ მისცემთ სიწმინდეს ძაღლებს: ნურც თქვენს მარგალიტს დაუყრით ღორებს, რათა არ გათელონ იგი თავიანთი ფეხით და მოგიბრუნდნენ და დაგფლითონ" (მათე 7-6)

და ბოლოს გავერკვეთ დიდი შოთას სიტყვებში, თუ რას გულისხმობდა იგი „ვით მარგალიტი ობოლი, ხელი ხელ სა-გოგმანები"-ში.. თითქოს ყველამ ვიცით რუსთველის ეს სტროფი, მაგრამ მისი მნიშვნელობაზე კი რა მოგახსენოთ, ძაან მცირედმა თუ უწყის თუ რატომაა მარ-გალიტი ობოლი, რატომაა იგი ხელი-ხელ საგოგმანები და რატომ სხვა ძვირფას ქვებს შორის მაინც და მაინც – მარგალ-იტი.

მარგალიტი.

მარგალიტი – ეს არის მოლუსკში აღ-მოჩენილი არა რამდენიმე მარცვალი, არამედ ერთი მოზრდილი მყიფე ქვა, რომელიც ძალიან იშვიათი მოვლენაა ბუნებაში. (ბერძ. არგარიტის) – მინერ-ალური წარმონაქმნი, რომელიც ვითარდება ზოგიერთი მოლუსკის (ზღვის — გვარი inctada ან მტკნარი წყლის – გვარი Margaritifera) სხეულში მოხვედრილი ქვი-შის, პარაზიტის და სხვა ნამცეცების გარშემო სადაფის შემოზრდით. ზღვაში მისი აღმოჩენისთანავე მომპოვებლები დგე-ბოდნენ რიგში მას (მყიფე ქვას) ხელის გულიდან ხელის გულში უგორებდნენ ერთმანეთს, რადგან მას არ დაეკარგა იდეალურად მრგვალი ფორმა. ჰაერთან შეხებისას რამდენიმე წუთში მარგალიტი კრისტალდებოდა და ფორმასაც ინარ-ჩუნებდა. აი, სწორედ ეს იგულისხმება ფრაზაში – "ვით მარგალიტი ობოლი, ხელის-ხელ საგოგმანები".

მთელ მსოფლიოში მარგალიტის მოპოვების საბადო არის წყალი-ზღვა, ხოლო მისი სახლი კი ნიჟარა. როცა მომ-პოვებელი მიაგნებს მშობიარე ნიჟარას, გამოაქვს იგი მის საშვილოსნოდან (სამარ-გალიტოდან), წყლიდან ჰაერში, ისევე რო-გორც ადამიანი იბადება დედის საშვილოსნოდან, წყლიდან გამოდის ჰაერ-ში, ვინაიდან იგი, როგორც ახალშობილი ბალღი ნედლია (მყიფეა) და მას ხელში აგოგმანებენ, შემდეგ მას დუნდულაზე გაუტყაპუნებენ, ან უაწკენენ, რათა ფილტვი გაიხსნას და ჰაერით შეეხოს უკვე მეორე (საბადოს) სამყაროს, უკვე იმ რეალურს, რომელშიც უნდა იცოცხლოს მისთვის ლიმიტით განსაღვრული პერიოდი. ზუსტად ასე იბადება მარგალიტიც, იგი გამოიბადება წყლიდან და იბადება მეორეჯერ ჰაერში.

აი ეს არის ჩემო ქართველნო – მარ-გალი+ტი, ანუ მარგალი+თი. მარგალის+თი(წილი, ოჯახი)

დასკვნა

ეხლა კი დავაჯამოთ ზემოთ მონაყოლი – „იყო და არა იყო რა"!!!

1)ყურძენი<=>ბერძენი,

2) ბერძენი სხვათა ენაში არის: „გრ" მარცვლის მატარებელი სიტყვები.

3)ყურძენი – სხვათა ენაში არის აგრეთვე „გრ" მარცვლის მატარებელი სიტყვები. ძვ. ეგიპტურად და კოპტურად – ეგრი. კელტურად მას – გვინეენს, ანუ ღვინიენ, ძვ. სპარსულად – ყურძნის კაკალი – ანგურ.

4) ადგილი საიდანაც წამოვიდნენ „არგ-ონავტები" არის ქალაქი – „არგო"

5) „არგ" – ძველქართულად მზეს ნიშ-ნავს. (ჯავახიშვილი, სართანია)

6) ადგილი სადაც მზადდება მსოფლიოში უმაღლესი ხარისხის ღვინო არის ქალაქი „არგო" საფრანგეთში. თავად ღვინოს ჰქვია – მარგალაინე, ხოლო ყურძ-ნის ჯიშს – მარგალია.

7) თევზი, რომელიც აუცილებლად უნდა ჰქონოდა რამზესს სატრაპეზოდ ჰქვია – მარგალია.

8) ერთადერთი ძვირფასი ქვა, რომელიც იბადება და გარდაისახება ადამიანისა გვარად – ჰქვია მარგალიტი.

9) პირველი პროფესია, რაც დააკისრა უფალმა ნოეს არის – დამრგველი-მარ-გალი.

და ბოლოს:

10) დედამიწის ზურგზე არის მხოლოდ ერთადერთი ერი – ლაზი+ერი (ჭადრაკის უმთავრესი ფიგურა, ბიბლიური პერსონაჟი – ლაზ+არე, მსოფლიოში უძლიერესი ტექნოლოგიური იარაღი – ლაზ+ერი, სულით ავადმყოფთა განსაკურნებელი ადგ-ილი – ლაზ+არეთი), რომელსაც სახელად ღმერთმა უბოძა გარკვეული პროფესიის მატარებლის სახელი – დამრგველი – მარგალი!!!

ისევე როგორც ტოლფასნი არიან სიტყვები: ყურძენი ბერძენი ყურბანი, ასევე ტოლფასნი არიან სიტყვები – მარგალი და ქართველი.

სამეგრელო<=>საქართველო

ამ თემაზე შემდგომში ვილაპარაკოთ. ეხლა კი ეს ინფორმაცია მიიღეთ, ვინც ამას ვერ გადახარშავს, ვერასდროს ვერ გაიგებს თუ რატომაა მეგრელი და ქართველი ტოლი სიტყვები. და საერთოდ, ჩვენ უფალმა სამებით გაგვაჩინა: სვანი+მეგრელი+იბერიელი, მათი საერთო სახელი კი არის ქართველი. ისევე როგორც ნოეს (დამრგველს-მარგალს) ყავდა სამი ვაჟი: სემი, ქამი და იაფეთი. ბარემ კიდევ ერთ საიდუმლოსაც გაგიმხელთ:

1) აქ საიდუმლო თავად სიტყვებშიცაა, მაგრამ იმ შემთხვევაში თუ ავიღებთ ამ სიტყვათა პირველ ასოებს და მიჯრით დავალაგებთ, მივიღებთ „ს ქ ი"-ის. რაც მეგრულად შვილს ნიშნავს. დღესაც კი მეგრელები ასე ადღეგრძელებენ ერთმანეთს „ სქიშე სქიშა ღორონთიშე ხვამელ ოფვდა" რაც ნიშნავს – „შვილთა (მოდგმიდან მოდგმამდე ღმერთისგან დალოცვილ იყავი-ო".

2) გლობალურ-ინფორმაციულ საძიებო განხრით კი „მარგებმა" მათემატიკაში შეიტანეს მუდმივა, რომელსაც უწოდეს -„ ი ქ ს"-ი.

ს ქ ი<=> ი ქ ს

აი, რა არის (საძიებელი, უცნობი). ცნობილი- მუდამ ჩვენთანა მყოფელი, მა-გრამ მძინარე(უცნობი), ვითარც ლაზარე, რომელიც ელის 4000 წლიანი ლეთარგიული ძილიდან გამოსვლას(ახლად დაბადებას)!!!

ვგონებ ზემოთ მოყვანილი არგუმენტე-ბის შემდეგ არ გაგირთულდებათ გასცეთ პასუხი ამ წერილის სათაურს:

„ერთპირი იყო მთელი ქვეყანა და ერთ ენაზე მეტყველი" (ძვ.აღ. დაბ. თავი 11)

დღევანდელი სახელმწიფო ენა – ქარ-თული (კრებული სამი ენისა) კი არის ენა რომლითაც უნდა ემცნოს კაცობრიობას საღმრთო ინფორმაცია.

„დამარხულ არს ენაი ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა საწამებლად, რაითა ყოველსა ენასა ღმერთმა ამხილოს ამით ენითა. და ესე ენაი მძინარე არს დღესამომდე, და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქიან!

**ᲘᲝᲐᲜᲔ ᲖᲝᲡᲛᲔ**

დღეს არის გარდამავალი პერიოდი ყოველთა ქართველთა. ჩვენში ჯერ კიდევ ბუდობს ბარაბა, ჯერ კიდევ შემზარავად იღრინება ეშმას ნაშიერი. ჩვენში, ჩვენივე გულის პატარა კუთხეში მოკრუნჩხული და თავჩაღუნული გველოდება იესო, თუ როდის გავიხედებით მისკენ. ის არსად არ წასულა, ის ყოველთვის ჩვენთან იყო, უბრალოდ ჩვენვე უარვყავით იგი და აღვირი აუშვით ადამიანის სულსწრაფობას.

გასაღები ქართული ენისა ძევს სვა-ნურ-მეგრულ ენაში. ისევე როგორც ფრიდონ-ავთანდილ-ტარიელი ერთად იბრძ-ვიან ნესტანის (სულიწმიდის მოსაპოვე-ბლად) ასევე ერთად ღმ+ერთად უნდა შევძლოთ ნესტანის ქაჯთა ციხიდან გათავისუფლება. ჯერი ტარიელზეა (ქარ-თულად მოსაუბრე ძმებზე), რომელთაც წინ დიდი გამოცდა ელით. მათ საკუთარ თავში უნდა ჩაკლან ვეფხვი (უხეშ გრძნ-ბათა გამოვლინება) და ლომიც (ეგოიზმი და მედიდურობა), რომლის შემდეგაც აღდგება უფლის მიერ დაკანონებული სამების ერთ+ობა, ღმ+ერთ+ობა!!!

დეე, ღმერთმა გაგინათოთ გონება, გაგიწმინდოთ გული, რათა მიიღოთ ჭეშ-მარიტი ინფორმაცია მოცემული ბიბლიაში და ჩაიხუტოთ იგი, როგორც დედა ახალ-შობილ ბავშვს.

გფარავდეთ უფალი!!!

**ᲓᲐᲕᲘᲗ ᲗᲝᲠᲓᲘᲐ**

# ჩვენი ირაკლი აღარ არის!

ირაკლი!

ვერ ვიჯერებ, რომ არ ხარ. სულ უნდა ყოფილიყავი, მეგონა. მე უნდა წავსულიყავი და შენ დარჩენილიყავი. შენ უნდა დაგეწერა გამოსათხოვარი. პირიქითაა და ეს მზარავს, თუმცა მე რა მეთქმის, როცა დედაშენი მოესწრო ამ დღეს.

როდესაც კეთილი და დიდბუნებოვანი ადამიანი მიდის ამ სოფლიდან, დედამიწაზე სიკეთის კიდევ ერთი წყარო შრება. თითქოს უდაბნო დატოვე შენ გარშემო, ძალიან ხალხმრავალი უდაბნო. ყველას თავისი მოსაგონარი აქვს, ყველა სიკეთეს იხსენებს, ყველა შეძრულია. ცხოვრებაში პირველად ჩაიდინე ის, რასაც ღალატი ჰქვია. ჩუმად წახვედი და ეს არ იყო ღალატი შენი ნებით. ყველას ამხნევებდი, ტკივილს უმსუბუქებდი, საკუთარს კი არავის აგებინებდი. ტკენით ხომ არავისთვის გიტკენია – დღემდე, როცა შენს სათაყვანებელ მეუღლეს ენით აუწერელი ტკივილი მიაყენე. პატარებმა ჯერ არ იციან. მათ ეს ტკივილი წინ აქვთ, ტკივილი და სიცარიელე, რომელსაც ვერაფერი შეავსებს.

სიცარიელე სუფთა ფურცელს ნიშნავს. იმ ფურცლებს, რომლებსაც ვედარასოდეს შეავსებ შენი ნაწერით. საქართველო და მსოფლიო ადარასოდეს იქნება ისეთი, როგორიც შენს სიცოცხლეში იყო. არა, ბრჭყალები არ გამომრჩენია. ადარც გაზეთი იქნება ისეთი, თუმცა ამას რომ ვწერ, ალბათ, გულს გტკენ. რა ვქნა, ასე ვგრძნობ ახლა. უსასრულოდ შემიძლია წერა შენს სიკეთეზე, კეთილშობილებაზე, თანაგრძნობის უნარზე, ბრძოლაში შეხიდებაზე, თუმცა ამ ყველაფერს სხვებიც იტყვიან. ეჭვს, შურისგებას, სხვის სიბოროტეს გულთან ახლოს არ იკარებდი. უფრო სწორად, ასე გვეგონა. არასოდეს იმჩნევდი, მაგრამ გულში ატარებდი. ვედარ გაუძლო.

სხვა რომ მეგობარს მტრად აქცევდა, შენ პირიქით იქცეოდი. სიმართლეს არავის დაუკარგავდი, ავკარგიანობის გარჩევის საოცარი ნიჭი გქონდა. მშვიდი და ღიმილიანი, არასოდეს თმობდი პოზიციას. ამ უპოზიციო ეპოქაში (პოზიციის მქონე პიროვნებებთან ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ეპოქის სენია) ეს ასმაგად დასაფასებელია.

შენს მეგობრებში ბევრი სხვადასხვა აზრის ადამიანი არის. დღეს ყველა ერთ აზრზეა: ძნელია უშენოდ დარჩენა, ძნელია შენი იმედის დაკარგვა, თუმცა, სხვისი არ ვიცი და, მე იქაც მეიმედები, სადაც წახვედი.

ყველანი მოვალთ, აქაურობას არავინ გამოვეკერებით. მთავარია, უშენობა არც ოჯახს ვაგრძნობინოთ და არც გაზეთს. ძნელია ეს, მაგრამ უნდა ვეცადოთ.

**ნანა დევდარიანი,**
**გლობალური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი**

ირაკლი თოდუა დავკარგეთ

სამი ათეული წელიწადი დეკადანსის პირობებში ვცხოვრობთ – ქართული ხელოვნება, მწერლობა, კინო, თეატრი გაირყვნა, გადაგვარდა; არნახულ დაცემა-დაკნინებას განიცდის ქართული ჟურნალისტიკა

ბოლომდე მაინც ვერ გვიგრძვნია და გაგვისიგრძეგანებია დაცემის ეფექტი, რომელიც სულ მალე გაცილებით მტკივნეული იქნება, რადგან კულტურის ყველა სფეროდან წავა, მართალია, უკვე სანთლით საძებნი, მაგრამ ჯერ კიდევ, ასე თუ ისე, შემორჩენილი თითო-ოროლა ჭეშმარიტი ოსტატი თავისი საქმისა.

თავზარდამცემია ირაკლი თოდუას ასე მოულოდნელი, ასე დაუჯერებელი, ასე წარმოუდგენელი, ასე უდროო წასვლა ამა სოფლიდან.

ქართულმა პუბლიცისტიკამ დაკარგა მაღალი კლასის პროფესიონალი და გაზეთის ჩინებული რედაქტორი, რომლისთვისაც ჟურნალისტიკა, პოლიტიკურ კონიუნქტურასთან პირადი ცხოვრების მორგების საშუალება კი არა, ერისა და ქვეყნის სამსახურში დგომის სარბიელი, ჭეშმარიტების ძიებისა და სამართლიანობისთვის ბრძოლის ასპარეზი იყო.

ცნობილმა მწერალმა, ისტორიკოსმა და საზოგადო მოღვაწე ლევან სანიკიძემ ერთხელ დაიჩივლა: ჩვენი დღევანდელი პრესა იმდენად ცრუპენტელაა, რომ მომავლის ისტორიკოსები ამ ეპოქის შესასწავლად მას არათუ დაეყრდნობიან, მისკენ არც გაიხედავენო.

ირაკლი თოდუას გაზეთი "საქართველო და მსოფლიო" ის იშვიათი გამონაკლისია, რომელიც ცრუპენტელობითა და სიყვითლით კი არ იზიდავს მკითხველს, არამედ მაღალი პასუხისმგებლობითა და პროფესიონალიზმით ხიბლავს მას. ბ-ნ ლევან სანიკიძის ფორმულით თუ ვიხელმძღვანელებთ, მომავლის ისტორიკოსებიდან გვერდს ვერავინ აუვლის "საქართველო და მსოფლიოს", ვინაიდან ირაკლი თოდუა ამ მისი პირმშო გაზეთით, თუ შეიძლება ასე ითქვას, არა მხოლოდ ყოველდღიურ, არამედ ისტორიულ სიმართლეს ემსახურა.

ირაკლი თოდუა, მისი გულწრფელი, კაცური და ღიმილიანი ურთიერთობებით, მისი კოლეგიალური პატიოსნებითა და, სრულიად ახალგაზრდა ასაკის მიუხედავად, მისი მამულიშვილური ვალმოხდილობით მუდმივად შემორჩება თანამედროვეთა მეხსიერებას, როგორც ოჯახისშვილობისა და ქართულად აღზრდილობის თვალსაჩინო მაგალითი.

და კიდევ ბევრი რამის მაგალითი, რომელიც, ჩვენდა სამწუხაროდ და სავალალოდ, დავკარგეთ

გულწრფელი მწუხარებით,

**ვალერი კვარაცხელია,**
**ჟურნალისტი**

"ირაკლი თოდუა პატრიოტი, ვაჟკაცი კაცი იყო, კაცი, რომელიც დღეს ჩემს ქვეყანას ისე ძალიან სჭირდება, როგორც არასდროს"

დიდი დანაკლისი განიცადა ახალგაზრდა თაობამ, ჟურნალისტურმა საზოგადოებამ. მოულოდნელად წავიდა ამ ქვეყნიდან ახალგაზრდა, ნიჭიერი კაცი ირაკლი თოდუა.

ირაკლი თოდუა პატრიოტი, ვაჟკაცი კაცი იყო, კაცი, რომელიც დღეს ჩემს ქვეყანას ისე ძალიან სჭირდება, როგორც არასდროს. სიმართლისათვის მებრძოლი, მართალი, მეგობრებისათვის, ახლობლებისათვის, უცნობებისათვისაც კი თავდადებული ადამიანი. შეეძლო საუკეთესო გადაწყვეტილების მიღება

ირაკლი თოდუა რამდენიმე წლის წინათ გავიცანი ჯერ კიდევ "ასავალ-დასავალში" მისი მოღვაწეობისას. ჩემთვის ხშირად ჩამოურთმევია ინტერვიუ, მიქვეყნებდა მასალებს, მაგრამ მხოლოდ ეს არ იყო ჩემი მისდამი პატივისცემის მიზეზი, მიხიბლავდა მისი ნებისმიერი ნაწერი ნებისმიერ საკითხზე.

ირაკლისა და ჩემი ახლობლობა გამოიხატებოდა მის კეთილსინდისიერ დამოკიდებულებაში საქმისადმი. ის არასოდეს იტყოდა ზედმეტ სიტყვას ურთიერთობისას, არც სხვას აკადრებდა რამეს და საკუთარ თავსაც ღირსეულად წარმოაჩენდა.

ირაკლი თოდუა იყო ძალიან კარგი მცოდნე ქართული ენისა, ბრწყინვალედ იცოდა ლიტერატურა, გახლდათ უაღრესად განათლებული ახალგაზრდა კაცი. თბილი იყო. საუბარში ჩანდა, რომ ადამიანებისადმი ნდობა ჰქონდა, ახასიათებდა გამოკითხვა, მაგრამ თავდაჭერილი და, რაც მთავარია, ნებისმიერი საუბრიდან ყოველთვის სწორი აზრი გამოჰქონდა.

ირაკლისთან ურთიერთობა კიდევ უფრო გამიღრმავდა, როდესაც მან დამოუკიდებლად დაიწყო გაზეთ "საქართველო და მსოფლიოს" გამოცემა. იქ უკვე შეიკრა გუნდი და ირაკლი სათავეში ჩაუდგა იმ კეთილ საქმეს, რომელიც საქართველოსთვის უკეთესი მომავლისთვის ზრუნვაში გამოიხატებოდა.

ირაკლი იყო დიდებული ოჯახის შვილი, მრავალშვილიანი მამა, არაჩვეულებრივი მეუღლე დიდი ტრაგედიაა, როდესაც ასეთი ახალგაზრდა კაცი მიდის ამქვეყნიდან და ეს არ არის მხოლოდ მისი ოჯახის ტრაგედია. ირაკლი თოდუას გარდაცვალება ჩემი ოჯახისთვისაც დიდი დარტყმა იყო და მჯერა, რომ ჩემნაირი მრავალი ოჯახია მის გარშემო.

სურვილი ვერ ამისრულა, ისე წავიდა. მინდოდა, ჩემთან, წეროვანში, ილია ჭავჭავაძის სახელობის დარბაზში ჩამოსულიყო. მოვიპატიჟე და დამპირდა, რომ ჩამოვიდოდა, მაგრამ ვერ მოასწრო.

ირაკლი თოდუასთან მეგობრობით ბედნიერი ვიყავი; ვამაყობდი, რომ მისი სახით ჩემს ქვეყანას ჰყავდა შესანიშნავი მოქალაქე, პიროვნება, პატრიოტი, წესიერი და პატიოსანი კაცი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული!

**ჯუმბერ პატიაშვილი,**
**საქართველოს მე-6 მოწვევის პარლამენტის წევრი**

ქართველებო, ირაკლი თოდუა აღარ არის!..

დიახ, ქართველებო, რადგან, ჩემი აზრით (და იმედია, არა მხოლოდ ჩემი), თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ირაკლი თოდუა, უწინარესად, საქართველოს, ქართველ ერს მოუკვდა, მხოლოდ შემდეგ – ცოლ-შვილს, დედას, სანათესაოს, სამეგობროს.

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ზუგდიდიდან თბილისს მარტოდმარტო ჩამოვიდა ახალგაზრდა ირაკლი თოდუა და, მიუხედავად "მარტოდმარტოობისა" მაშინდელ არეულ-დარეულ დედაქალაქში არ ჩაიკარგა, მრუდე გზას არ დაადგა კოლხი ქართველი და მხოლოდ საკუთარი ნიჭით გაიარა რიგითი კორესპონდენტიდან დაწყებული ყველა საფეხური ქართულ ჟურნალისტიკაში, რაც ბოლოს გაზეთ "საქართველო და მსოფლიოს" დაფუძნება-დაარსებით დაგვირგვინდა.

მოკლე ხანში კი ყველასათვის უცნობი გაზეთი ქართულ ჭრელ მედიასივრცეში ერთ-ერთ წამყვან, სოლიდურ და, რაც მთავარია, ეროვნული, მართლმადიდებლური სულისკვეთების გამოცემად იქცა. სულისკვეთებისა, რომლისთვისაც სააკაშვილის სისხლიანი ტერორის ჟამსაც კი არ უღალატია გაზეთის რედაქტორსა და მის გუნდს.

"საქართველო და მსოფლიო" ის გაზეთია, რომელიც ტოტალური ნეოლიბერალური მედიადიქტატურის არცთუ უსაფრთხო პირობებში, მხოლოდ ქართულ, ეროვნულ, მართლმადიდებლურ ღირებულებებს ქადაგებს

ყველა საფლავის ქვას, როგორც წესი, გვარ-სახელთან ერთად, დაბადება-გარდაცვალების თარიღიც აწერია. ამ თარიღებს შორის პატარა, ოდნავ შესამჩნევი ტირეა ამოტვიფრული, რაც გარდაცვლილის ამქვეყნად, წუთისოფელში ყოფნის ვადას ნიშნავს. ზოგისთვის მართლაც წუთია ეს სოფელი, ზოგისთვის – ოდნავ მეტი, მაგრამ ამაქვეყნად ყოფნის ვადაზე მეტად განვლილი ცხოვრების შინაარსია მნიშვნელოვანი

რაც შეეხება შინაარსს, 42 წლის განმავლობაში ირაკლი თოდუამ იმდენის თქმა მოასწრო, რომ ამაყად შეაბიჯებს იმ სასუფეველში, რომელშიც მხოლოდ მართალნი და სამშობლოს ერთგული მამულიშვილები განისვენებენ!

მსუბუქი ყოფილიყოს, ჩემო ჯიმა, შენს გულზე დაყრილი ქართული მიწა!..

**დავით მხეიძე,**
**პუბლიცისტი**

"მკითხველი საზოგადოება პატივს მიაგებს ამ ნიჭიერიახალგაზრდა კაცის ხსოვნას"

ირაკლი თოდუამ ძალიან ახალგაზრდამ დაიწყო ჟურნალისტური მოღვაწეობა და ყოველთვის წარმატებული გახლდათ. მისი დიდი დამსახურებაა, რომ გაზეთი "საქართველო და მსოფლიო" ერთ-ერთი მოწინავე გაზეთია საქართველოში. მკითხველი საზოგადოება, ხაზს ვუსვამ, მკითხველი საზოგადოება, პატივს მიაგებს ამ ნიჭიერი ახალგაზრდა კაცის ხსოვნას.

ცოტა ხნის წინათ რამდენიმე ადამიანი ვისხედით და სწორედ "საქართველო და მსოფლიოზე" ვსაუბრობდით. აღვნიშნეთ, რომ ეს გაზეთი გამორჩეულია ქვეყნისთვის სიკეთის კეთების სურვილით და გამოხატავს ობიექტურ აზრს. იქვე დავძინეთ, რომ ამ ყველაფრის სულისჩამდგმელი, რითაც ეს გაზეთი მკითხველს ხიბლავდა, მისი რედაქტორი ირაკლი თოდუა იყო, კაცი, რომელსაც დიდ პატივს ვცემდი. მსიამოვნებდა, რომ არსებობს ასეთი კეთილშობილი ადამიანი, რომელსაც შეუძლია გაზეთი უმაღლეს რანგში აიყვანოს, თანაც ძალიან მოკლე პერიოდში, რაც იშვიათი მოვლენაა. მას არასოდეს გადაუხვევია ჭეშმარიტების გზიდან, ხალხსა და ქვეყანას ემსახურებოდა.

მიჭირს ასე ახალგაზრდა კაცზე მსგავსი სიტყვების თქმა, მაგრამ ღმერთმა ნათელში ამყოფოს ირაკლის სული, მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის ქართული მიწა, ის მიწა, რომელსაც თავად ასე ეთაყვანებოდა!..

**ელიზბარ ჯაველიძე,**
**აკადემიკოსი**

ირაკლი

22 წლის წინათ შემოადე "ასავალ-დასავალის" კარი მოიტანე ახალი სუნთქვა, უსაზღვრო ნიჭი და დიდი გული, რომელმაც ასე ადრიანად გიმტყუნა შენს სტატიებს განსაკუთრებული ინტერესით კითხულობდნენ, ელოდნენ, ეფერებოდნენ "ასავალ-დასავალში" გაიცანი შენი მშვენიერი მეუღლე, ჟურნალისტი მაია მარგველანი, რომელმაც დღეს უამრავი ცხარე ცრემლი დაგადინა ჩვენც აგვატირე, მაგრამ შენთან დამშვიდობებას ვერ ვახერხებთ – განა შეიძლება, დაკარგო ის, რაც ძალიან შენია!

ნეტავი კვლავ 1996 წელი იყოს!

**მეგობრები**

"ულმობელია საწუთრო, მან ამჯერად ირაკლი არ დაინდო "

ძალიან მიჭირს ბატონ ირაკლი თოდუაზე, როგორც გარდაცვლილზე, რაიმე ვთქვა ამ ახალგაზრდა კაცის მოულოდნელი გარდაცვალება შოკისმომგვრელია არა მხოლოდ მისი ოჯახის წევრების, ახლობელ-მეგობრების, არამედ თითოეული ადამიანისთვის; მათთვის, ვინც იცნობდა ამ უნიჭიერეს და უწესიერეს პიროვნებას.

ბატონმა ირაკლი თოდუამ ჩემი ყურადღება ჯერ კიდევ მაშინ მიიპყრო, როცა სრულიად ახალგაზრდა გაზეთ "ასავალ-დასავალში" მუშაობდა. გულწრფელად მიხაროდა, რომ ჩემი კუთხის შვილის სახით ქართულ ჟურნალისტიკაში გამოჩნდა უაღრესად განათლებული, პროფესიონალი და ეროვნულ-ტრადიციულ ფასეულობებზე ორიენტირებული ჟურნალისტი. მისი ინტელექტი, პროფესიონალიზმი და მორალური თვისებები განსაკუთრებით გამოვლინდა გაზეთ "საქართველო და მსოფლიოში". დიდებული თვისებებით შემკობილი ამ ადამიანის დამსახურებაა ის, რომ მისი რედაქტორობით გამომავალმა "საქართველო და მსოფლიომ" ქართული ჟურნალისტიკის ამაზრზენ და სულისშემხუთავ სივრცეში მაინც მოახერხა დეზინფორმირებული საზოგადოებისთვის მართალი ინფორმაციის მიწოდება. ამისთვის მადლიერნი უნდა ვიყოთ, როგორც პირადად მისი, ასევე, ზემოხსენებული გაზეთის შემოქმედებითი კოლექტივის თითოეული წევრის.

ულმობელია საწუთრო და მან ამჯერად ირაკლი თოდუა არ დაინდო ძნელია, ანუგეშო ჭირისუფალი მაგრამ მაინც მინდა, მივუსამძიმრო მისი ოჯახის წევრებს და ვუსურვო მოთმინება და გამძლეობა.

ასევე ვუსამძიმრებ გაზეთ "საქართველო და მსოფლიოს" შემოქმედებით კოლექტივს და ვუსურვებ, კვლავაც ისე ღირსეულად განაგრძოს

საქმიანობა, როგორც ამას ეწეოდა ბატონი ირაკლის რედაქტორობის პერიოდში.

ბატონო ირაკლი, მშვიდობით, უფალმა გაანათლოს თქვენი სული!

**ზურაბ კვარაცხელია,**
**სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" წევრი**

"ირაკლი თოდუა უდავოდ დააკლდება ქვეყანას, რომელსაციირაკლისნაირი შვილები, სამწუხაროდ, ცოტა ჰყავს"

ირაკლი თოდუა მკითხველს შინაარსიან, საფუძვლიან, დღევანდელი ცხოვრებისთვის საჭირო სტატიებს, გამოთქმებს სთავაზობდა თავის ყოველკვირეულ გაზეთში "საქართველო და მსოფლიო".

იშვიათად მოიძებნება ჩვენს ქვეყანაში ადამიანი, რომელიც ისე კარგად შეაფასებდა შექმნილ ვითარებას და არა მხოლოდ შეაფასებდა, სამომავლო პერსპექტივასაც დაუსახავდა ნებისმიერს, როგორც ირაკლი თოდუა. ვინც ამ გაზეთს წაიკითხავდა, სიმართლესაც შეიტყობდა და მომავლის იმედიც ჩაესახებოდა. ირაკლი თოდუა დააკლდება ქართულ პრესას, საზოგადოებას, დააკლდება ყველა იმ ადამიანს, რომელსაც მედია უყვარს, სადი აზრის მოსმენა სურს. ირაკლი თოდუა უდავოდ დააკლდება ქვეყანას, რომელსაც ირაკლისნაირი შვილები, სამწუხაროდ, ცოტა ჰყავს.

ირაკლი თოდუა იყო ადამიანი, რომელიც აანალიზებდა ქვეყანაში არსებულ ვითარებას დეტალებამდე. იყო პირდაპირი, სიმართლეს ამბობდა ყოველგვარი მორიდების გარეშე, მას არ სჩვეოდა ლაქუცი, რაც გაზეთ "საქართველო და მსოფლიოს" ლეიტმოტივად გასდევდა. ეს კიდევ ერთხელ მიანიშნებს იმაზე, რომ ირაკლი თოდუა იყო არა მხოლოდ ჭკვიანი და გონებამახვილი ჟურნალისტი, არამედ უშიშარი ადამიანი, რადგან დღევანდელ ცხოვრებაში გულღიაობა და პირდაპირობა გულზე არავის ეხატება, პირველ რიგში, ხელისუფლებას

სამწუხაროა, ასეთი ახალგაზრდა კაცის ამ ქვეყნიდან ასე უდროოდ წასვლა. ნათელში იყოს მისი ვაჟკაცური სული!

**ჰამლეტ ჯიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი**

# საპატრიარქო კარის თამაშები

***როგორ ებრძოდა საქართველოს პატრიარქს მიტროპოლიტი გაიოზი და როგორ ცდილობდა ოქროს ჯვრისა და ზურმუხტების გაყიდვას***

განვაგრძობთ საუბარს გენერალ–მაიორ ვახტანგ გვარამიასთან. ის ამჯერად წილკნელი მიტროპოლიტ გაიოზის (ბიძინა კერატიშვილის) კრიმინალურ საქმიანობაზე გვესაუბრება. თემა ამჟამადაც ძალიან აქტუალურია. 1970-იანი წლების ბოლოს პატრიარქისა და საპატრიარქოს წინააღმდეგ ისევე იბრძოდნენ, როგორც დღეს. ჩანს, პატრიარქის ტახტისთვის ბრძოლა ახალი ამბავი არ არის, არც ის არის ახალი, რომ ზოგიერთი მიტროპოლიტი სახელს უტეხს ეკლესიას.

გამოძიება დამთავრდა, შედგა სასამართლო პროცესი. ბიძინა (გაიოზ) კერატიშვილს 15 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. მის მიერ მოპარული ძვირფასეულობა ზოგი საპატრიარქოს დაუბრუნდა, ზოგი ხელოვნების მუზეუმს გადაეცა.

კერატიშვილის დასახასიათებლად ერთი რამ აუცილებლად უნდა ვთქვა: იგი იყო საკმაოდ განათლებული პიროვნება, საეკლესიო ლიტერატურაში კარგად ერკვეოდა. გამოძიების პერიოდში მასთან შეხვედრისა და საუბრისთვის საგანგებოდ ვემზადებოდი – სასულიერო პირებისგან კონსულტაციას ვიღებდი. ის იყო გაორებული კაცი, რომელშიც სატანაც იჯდა და განათლებული ადამიანიც.

და კიდევ – ზოგი ჭირი მარგებელიაო, ნათქვამია. ბევრი ხატი, საეკლესიო ნივთი თუ წიგნი და ხელნაწერი, რომლებიც კერატიშვილის სახლიდან ამოვიღეთ, უკვალოდ დაიკარგებოდა დაგანადგურდებოდა, კერატიშვილს საქართველოს ეკლესიებიდან რომ არ მოეპარა და მათი მითვისება არ ეცადა.

საეკლესიო ქონების ინვენტარიზაცია პირველად მისი უწმინდესობის – ილია მეორის დროს ჩატარდა. ეს ერთი. და მეორე: სწორედ მან გაწმინდა საქართველოს ეკლესია უღირსი და შემთხვევითი ადამიანებისგან.

კერატიშვილი გამონაკლისი რომ არ იყო, ამას ეს ფაქტიც ამტკიცებს: შეგვატყობინეს, რომ ერთ-ერთი დეკანოზი, რომელიც რეგულარულად იპარავდა ეკლესიის კუთვნილ ნივთებს, მათ შორის, ხატებს, ნაქურდალის დამალვას აპირებდა. განვახორციელეთ შესაბამისი ღონისძიებები და სწორედ მაშინ დავადექით თავზე, როცა თავის ნათესავთან ერთად აპირებდა ორმოში ჩაეფლო ძვირფასეულობით სავსე ტომარა. ხატებს შორის ერთ-ერთი უნიკალური აღმოჩნდა, რომელიც მეათე საუკუნემდელი პერიოდით თარიღდებოდა.

ილია მეორემ უზარმაზარი სამუშაო განახორციელა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სიწმინდისა და ავტორიტეტის აღსადგენად, დიდი ძალისხმევა დასჭირდა დედაეკლესიის ქვაბავაზაკთაგან გასაწმენდად. ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რა უბედურება დატრიალდებოდა, ბიძინა (გაიოზ) კერატიშვილის მიერ ორგანიზებული შეთქმულების მონაწილეებს რომ გაემარჯვათ.

საზოგადოებრივი ბრალმდებლის, ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოს ნიკოლოზის სიტყვა თქმული 1979 წლის 14 მარტს გაიოზ (ბიძინა) კერატიშვილის სასამართლო პროცესზე:

პატივცემულო მოსამართლენო, დღეს ამ სასამართლო პროცესზე, რომელიც, უკვე ორ თვეზე მეტია, განიხილავს საკითხს ბრალდებაში მიცემულ ბიძინა ტიტიკოს ძე კერატიშვილის მიმართ, მე მიხდება გამოსვლა ჩემთვის, როგორც საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მღვდელმთავრისათვის, სრულიად უჩვეულო როლში და, ალბათ, ეს ერთადერთი შემთხვევაა, როგორც საქართველოს საეკლესიო ცხოვრებაში, ასევე ქართული მართლმსაჯულების პრაქტიკაში. ეს არის უნიკალური შემთხვევა, როცა მთავარეპისკოპოსი ასამართლებს სახელმწიფო კანონის მიხედვით მიტროპოლიტს, რომელიც შეიძლება ითქვას, წარმოადგენდა "მეორე პიროვნებას ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიაში მთელი წლების მანძილზე და ქმნიდა თავისებურ კლიმატს ჩვენი ეკლესიის ცხოვრებაში. მე ვფიქრობ, არც ერთი მღვდელმთავარი, თუნდაც რომელიმე საეკლესიო მოღვაწე, არ ისურვებდა ამ უჩვეულო ფუნქციისა და მოვალეობის შესრულებას და მესმის რა, თუ რას მიქადაგებს წმინდა სახარება, რამეთუ "არა განიკითხო, რათა არა განკითხულიყო", მე შევსთხოვ უფალს, რათა მაპატიოს ეს ჩემი ცოდვა და შემინდოს ჩემ მიერ გადადგმული ეს ნაბიჯი, რამეთუ მე ვარ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მორჩილი და ვასრულებ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წმინდა სინოდის გადაწყვეტილებას. მე, როგორც წმინდა სინოდის წევრი, ვალდებული ვარ, დავემორჩილო მის დადგენილებას და გამოვთქვა დღეს, ამ პროცესზე აზრი, რომელიც იქნება წმინდა სინოდის, ქართველ მორწმუნეთა და შემიძლია თამამად ვთქვა, ქართველი საზოგადოების აზრის გამოხატულება, რომლის დამოკიდებულებას ბრალდებაში მიცემულის – ბ. ტ. კერატიშვილის მიმართ მე საკმაოდ ყურადღებით ვადევნებ თვალყურს, უკვე ორ თვეზე მეტია, და გამოვიტანე ჩემი საკუთარი დასკვნა, რომელიც, პირველ რიგში, იქნება შეხედულება ყველა იმ ქართველისა, რომლისათვის ძვირფასია, იყოს ქართველი და რომელიც ამაყობს იმით, რომ ცხოვრობს სამყაროს მადლით ცხებულ ამ პატარა მიწაზე, რომელსაც საქართველო ჰქვია, და რომელთაც სწამთ, რომ "სამშობლო ტაძარია სალოცავი, მუხლზე დაჩოქილი უნდა იდგე მის საკურთხეველთან, ცალი ხელით პირჯვარს უნდა იწერდე, მეორეთი კი ხმალს უნდა იქნევდე, ეშმაკები რომ არ დაეპატრონონ და კიდევ ერთი, შესაწირავის მიტანა ვერავინ ვერ უნდა მიგასწროს ამ ტაძართან" (ნოდარ დუმბაძე, "მარადისობის კანონი").

დიახ, ასე უნდა ესმოდეს ყველა ქართველს თავისი მოვალეობა მორწმუნე იქნება ის თუ ურწმუნო. ღმერთი არავის ავალდებულებს, გინდა თუ არა, ის იწამო, გჯეროდეს, რომ არსებობს ეს ზეციური ღვთაებრივი ძალა, რომელმაც შეგქმნა და დაგსახა გვირგვინად თავისი ქმნილებისა, მაგრამ ერთი კი ცხადია: ყველას უნდა უყვარდეს საკუთარი მამული, თავისი ხალხი, მისი წარსული, მშობლიური ენა და ოცნებით მიილტვოდეს მისი ბედნიერებისაკენ.

როგორ შეიძლება დღეს, როდესაც საკითხი ირჩევა და ბრალად ედება ბ. ტ. კერატიშვილს საქართველოს საპატრიარქოდან ნივთების მითვისება, უღრმესი პატივისცემის გრძნობით არ მოვიგონოთ ჩვენი სახელოვანი მამულიშვილი ექვთიმე თაყაიშვილი, რომელიც ემიგრაციაში მყოფი არ ზოგავდა უკანასკნელ კაპიკებს, რათა გადაერჩინა და სამშობლოში დაებრუნებინა საქართველოდან მენშევიკური მთავრობის მიერ გაზიდული ქართული ეროვნული განძი, შიმშილობდა და ჯანმრთელობის ფასად იძენდა საზღვარგარეთის შავ ბაზრებზე გამოჩენილ ქართულ ნივთებსა და ხელნაწერებს, რომლის უშუალო დასტურია ხელოვნების მუზეუმის საგანძური. სწორედ მან ხელთუქმნელი ძეგლი აუგო თავის თავს და მარადის მადიერი იქნება მისი ქართველი ერი.

მე შემიძლია დავასახელო უცხოეთში მცხოვრები ბევრი ქართველი, რომლებიც, მიუხედავად ბედის უკუღმართობისა, ყოველივეს აკეთებენ იმისათვის, რომ საქართველოს დიდება არ ჩაქრეს, რათა არ წაიშალოს მისი ბრწყინვალე წარსული. შეერთებულ შტატებში ცხოვრობს ქართველი მეცნიერი – ჯაიანი, რომელიც მთელ თავის შემოსავალს ახმარს თურქეთის მიწაზე გადარჩენილი ქართული ეკლესიებისა და ტაძრების რესტავრაციას. შეიძლება ისინი სხვა იდეოლოგიის მიმდევარნი იყვნენ, მაგრამ, როცა საქმე ეხება მამულიშვილობას, ისინი იდეოლოგიას გვერდზე გადასდებენ და ცდილობენ, თავინთი წვლილი შეიტანონ ჩვენი ერის დიდების საქმეში. მე, რა თქმა უნდა, საჭიროდ არა ვთვლი, ვილაპარაკო ჩემს დღევანდელ ქართველ ერზე, რომელიც ასე მოწიწებითა და სიფრთხილით შეუდგა სულიერი და მატერიალური საუნჯის გადარჩენასა და შენახვას.

მე, ალბათ, შემომედავება ბრალდებაში მიცემული და შეიძლება შენიშვნაც მომცეს, როგორც ამას წინათ, რომ ეს ეროვნული განძი არაა და ლაპარაკია საეკლესიო ნივთებზე. მე თანახმა ვარ, აქ ნივთებია დასახელებული, საეკლესიო ნივთები. მართალია, დღეს ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან და სკოლა ეკლესიისაგან, მაგრამ ისიც ხომ ნათლად არის აღიარებული, რომ ყოველივე საეკლესიო ნივთი ეს სახელმწიფოს და ერის ქონებაა და არავის აქვს უფლება, ის ხელყოს. დაბოლოს, როცა საკითხი ეხება ჩვენი ხალხის საუკუნოვან ისტორიას, აქ სწორედ ისმება კითხვა – რამ გაჰყო ჩვენი ეკლესია და ჩვენი ხალხი? მისი ისტორია, მისი გმირული წასრული სწორედ ის ისტორია და ის წასრულია, რომელსაც აღნუსხავდა და სწერდა ეკლესია. სადაც მკრთალი სანთლის შუქზე ჩვენი სასიქადულო წინაპარნი სწერდნენ ჩვენი ერის დიდებით მოსილ მატიანეს. აშენებდნენ არქიტექტურის უნიკალურ ძეგლებს, ძერწავდნენ და ჭედდნენ ხატებსა და ჯვრებს, რომელთაც თავიანთი თვითმყოფადობითა და ეროვნული კოლორიტით ბადალი არ გააჩნია მთელს დედამიწაზე, რომელთა სილამაზესა, ორიგინალობასა და ოსტატურად შესრულებას განცვიფრებაში მოჰყავს ყველა მნახველი და როგორ შეიძლება სხვას მისცე ან გაჰყიდო ხახულის ღვთისმშობელი, ანჩისხატი ან სვეტიცხოვლის ჯვარი, არათუ სხვას მისცე, არამედ რა უფლება გაქვს, თუნდაც ხელით შეეხო ქართველი ერის ამ უკვდავებას, უკვდავებას, რომელიც მარადიულია და უცვლელი.

ერში ბიძინა ტიტიკოს ძე კერატიშვილი, ეკლესიაში მიტროპოლიტი გაიოზი, როგორც ცნობილია, ბრალდებაში მიცემულია საეკლესიო-სახელმწიფო ნივთების მიტაცების გამო. ცნობილია, რომ დავა ამ საკითხის გარშემო, რომელიც აღიძრა ჯერ კიდევ 1972 წლიდან, დღემდე გრძელდება. ისმება კითხვა – თუ მართლა ასეთ შემთხვევას ადგილი ჰქონდა, რატომ მოხდა, რომ მთელი ამ წლების მანძილზე ეკლესია სდუმდა და არ მიიღო რაიმე გადაწყვეტილება მიტროპოლიტ გაიოზის მიმართ, რატომ არ გამოამზეურა მისი საქციელი და რატომ არ დასაჯა ის?

აქ უნდა აღინიშნოს ერთი ასეთი ფაქტი: კათალიკოს-პატრიარქის – ეფრემ მეორის გარდაცვალების შემდეგ, 1972 წლის ივნისში, საპატრიარქო ტახტზე აღზევდა ურბნისის მიტროპოლიტი, კათალიკოს-პატრიარქის მოსაყდრე დავით დევდარიანი. კათალიკოს-პატრიარქი დავით მეხუთე თავდაპირველად კარგ, ღრმა სულიერ მეგობრობაში იმყოფებოდამიტროპოლიტ გაიოზთან და ეს დამოკიდებულება სიცოცხლის ბოლო წელიწადამდე ისე გაღრმავდა, რომ, შეიძლება ითქვას, კათალიკოს-პატრიარქი დავით მეხუთე აკეთებდა მას, რასაც მიუთითებდა მიტროპოლიტი გაიოზი. ეს ერთი გარემოებაა, თუ რატომ სდუმდა ეკლესია. ბოლო წლებში ნამდვილად არ იყო იმის საშუალება, რომ ვინმეს ხმა აღემაღლებინა ეკლესიის შიგნით მიტროპოლიტ გაიოზის წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, ქართული ეკლესია თავის ინერტულობაში, იყო თუ არ იყო ასეთი ფაქტი, მე ვფიქრობ, ეკლესიას უნდა ემსჯელა ამ საკითხზე, მაგრამ კიდეც რომ წამოჭრილიყო ეს საკითხი ქართულ ეკლესიაში, ამის განსჯის საშუალება არა თუ მაშინ, როდესაც საქართველოს სამოციქულო ეკლესიას ჰყავდა ოთხი-ხუთი მღვდელმთავარი, არამედ დღესაც კი, როცა მათი რიცხვი თერთმეტამდე ავიდა, ფიზიკურად შეუძლებელი იყო, რადგან კართაგენს შეკრებილ მამათა კანონი ამბობს: "უკეთუ ვინმე ეპისკოპოსი, რომელი ესე ნუმცა ქმნილ არს, განკითხვისა თანამდებად იპოოს და უღონო იყოს შეკრებაი უმრავლესთაო, რათა არა დაშთეს იგი განკითხვისა თანამდებობასა მას შინა, ათორმეტთა ეპისკოპოსთა ისმინონ საქმე მისი და მათ განიხილონ მისთვის"

როგორც ხედავთ საჭირო, რომ თორმეტი ეპისკოპოსი განიხილავდეს მღვდელმთავრის საქმეს. დაბოლოს, ქართული სამოციქულო ეკლესიის იდეოლოგიის საფუძველს წარმოადგენს რა წმინდა ოთხთავი, ანუ სახარება, ეკლესიას უფლება აქვს თქვას – "მიუტევე, რათა მიგეტევოს".

თუმცა აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ქართული ეკლესია ნამდვილად ვერ შეურიგდება რაიმე ანალოგიური შემთხვევის განმეორებას მის შიდა საეკლესიო ცხოვრებაში და დღეს, როდესაც საქართველოს ეკლესია თავისი აღმავლობის გზაზე დგას, როდესაც მის სათავეში აღმოჩნდა ღირსეული ღირსეულთა შორის კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე, რომელმაც, უკვე ერთ წელზე მეტია, ბევრი რამ გააკეთა ჩვენი ეკლესიის სიდიადისათვის და რომელიც კიდევ ბევრს გააკეთებს მის სადიდებლად, ქართული ეკლესია აღარ დაუშვებს, განმეორდეს რაიმე ამის მსგავსი, ის მტკიცე დამცველი იქნება წმინდა საეკლესიო კრებათა დადგენილებებისა და წმინდა მოციქულთა კანონებისა და თავის მომავალ მოღვაწეობასაც განაგებს მათზე დაყრდნობით.

**მოამზადა ეკა ნასყიდაშვილმა**

*(გაგრძელება იქნება)*

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალადანიას

# საბჭოთა კალათბურთის მებაირახტრე

დღევანდელ წერილში ბატონი გურამ მინაშვილი მსურს გავიხსენო, რომელიც საკუთარ სპორტულ ბიოგრაფიას თავადვე მოიგონებს. სამწუხაროდ ცნობილი კალათბურთელი 2015 წლის 1 მარტს გარდაიცვალა.

„მეშვიდე კლასში რომ გადავედი, ფიზკულტურის მასწავლებლად ცნობილი ტანმოვარჯიშე, მხატვარი და ყველა სფეროში გამორჩეული კაცი ვახტანგ მარსაგიშვილი მოვიდა. ის გარეგნულადაც სიმპათიური იყო და მთელ სკოლას უცებ შეაყვარა თავი. მარსაგიშვილი თითოეულ მოსწავლეს შესაბამის სპორტის სახეობას უძებნიდა და სასწავლო წლის ბოლოს იშვიათად ნახავდით ბავშვს, რომელიმე სპორტულ სექციაში რომ არ ყოფილიყო ჩართული.

როგორ მოვხვდი კალათბურთში? ბატონი ვახტანგის რჩევით. ერთ დღეს მითხრა, აი, ეს წერილი შალვა დიასამიძეს წაუღე, უნივერსიტეტის ფიზკულტურის კათედრაზე მუშაობს და ბავშვებს სასწავლებლის ეზოში ავარჯიშებსო. სარეკომენდაციო წერილი გამატანა. იმხანად ზუსტად უნივერსიტეტის წინ ვცხოვრობდი და მანამდეც დიდი ინტერესით ვადევნებდი თვალს ბატონი შალვას ვარჯიშებს. ასე დავუკავშირდი კალათბურთს. ერთხელ ჩვენი მწვრთნელი ავად გახდა და მეგობრებმა შინ მივაკითხეთ. მასთან უამრავი უცხოური წიგნი ვნახეთ კალათბურთის შესახებ. იმ დღის შემდეგ კალათბურთელობა საბოლოოდ გადავწყვიტე!

მეათეკლასელი თბილისის ტონო-ში მოვხვდი, რომელსაც კალათბურთის შესანიშნავი მცოდნე და სპორტზე უზომოდ შეყვარებული მიხეილ კეკელიძე წვრთნიდა. გეცოდინებათ, ტონო სახალხო განათლების თბილისის განყოფილების რუსული სახელწოდების აბრევიატურაა. ტონო-ს შემადგენლობაში საქართველოს ჩემპიონი გავხდი და საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად ძაუჯიყაუში, ახლანდელ ვლადიკავკაზში წავედით. სამწუხაროდ იმ ტურნირზე ვერ ვითამაშე: 1936 წელს ვიყავი დაბადებული, შეჯიბრების დაწყების წინ კი ახალი წესი მიიღეს – მხოლოდ 1935 წელს და ადრე დაბადებულებმა უნდა ითამაშონო...

მომდევნო წელს საკავშირო ჩემპიონატი უკრაინის ქალაქ დნეპროპეტროვსკში ჩატარდა. ეს იყო ჩემი პირველი გასვლა საქართველოს ფარგლებს გარეთ. ოქროს მედლები ესტონელებმა მოიგეს, რომელთაც 205სმ სიმაღლის ცენტრი მარტინ ლაგა ჰყავდათ. ის იყო პირველი საბჭოთა კალათბურთელი, რომელიც ბურთს ტენიდა.

1953 წლიდან უკვე „დინამოს" მაისურით ვთამაშობდი თბილისის, საქართველოს თუ საკავშირო პირველობებში, არადა, იმ დროს ჯერ კიდევ სკოლაში ვსწავლობდი. თუმცა, იოლი არ იყო ვარჯიშების და სწავლის შეთავსება. მიუხედავად იმისა, რომ თავისუფალი დრო ფაქტიურად არ მქონდა, სასწავლებელი მაინც ოქროს მედალზე დავასრულე. სხვათა შორის, უნივერსიტეტიც წარჩინებით დავასრულე. დიპლომის აღების შემდეგ მცირე ხანს ენგურის კაშხლის მშენებლობაზეც ვიმუშავე – ბეტონის ხარისხს ვამოწმებდი...

მთავარმა მწვრთნელმა გიორგი ავალიშვილმა ნოდარ ჯორჯიკიასთან გამანაწილა ორადგილიან ნომერში – ჩვენ ერთი ამპლუის მოთამაშეები ვიყავით. ბატონი ნოდარი იმ „დინამოს" ერთ-ერთი საუკეთესო კალათბურთელი იყო. ის კალათბურთის ნიუანსებს მიხსნიდა და ცხოვრებისეულ ამბებსაც მიამბობდა. მიუხედავად იმისა, რომ მას კიდევ შეეძლო რამდენიმე წელი უმაღლეს დონეზე თამაში, ცოტა ხანში კარიერა დაასრულა. იგრძნო, რომ ღირსეულად შევცვლიდი და გზა დამითმო. თუმცა, იმ „დინამოში" მხოლოდ მე არ ვიყავი ახალგაზრდა: ვაჟა ჟღენტის, გივი აბაშიძის, ოთარ ქორქიას, ნოდარ ჯორჯიკიას, ლევან ინწკირველის და შოთა ქორქაშვილის მხარდამხარ მე, გურამ კუჭავა, გურამ აბაშიძე, ილო მირიანაშვილი, მამია კვაჭანტირაძე და ვაჟა გვანცელაძე ვთამაშობდით.

1958 წელს „დინამოს" კაპიტნად ამირჩიეს. იმ დროს ჩვენ თამაშებზე ტევა არ იყო, ბილეთის შოვნა წარმოუდგენელი გახლდათ. ცხადია, ბევრი ახლობელიც მთხოვდა დახმარებას... მოთამაშეთა ოჯახის წევრებისთვის სპორტის სასახლეში მეხუთე და მეთერთმეტე სექტორები იყო გამოყოფილი. მეხუთე სათადარიგოთა სკამთან ახლოს იყო, მეთერთმეტე კი სამთავრობო ლოჟის ზევით, მეორე იარუსზე. ასე რომ, თბილისში გამართული ყოველი მატჩი 20-25 მანეთი მიჯდებოდა. მაშინ ეს თანხა სულაც არ იყო სახუმარო: „დინამოში" ჩემი ხელფასი 80 მანეთი იყო, მოგვიანებით 180 მანეთამდე გამიზარდეს. თითქმის ყველა საბჭოთა კლუბში ასეთი ხელფასები იყო.

1959, 1960 და 1961 წლებში საბჭოთა კავშირის პირველობაზე ვერცხლის მედლები მოვიგეთ. ვერ ვიტყვი, რომ ამა თუ იმ შეჯიბრების საბოლოო შედეგზე მსაჯობამ დიდი გავლენა მოახდინა, მაგრამ ეს ის თემაა, რომელსაც კალათბურთში გვერდს ვერ აუვლი – მსაჯები ხშირად გვამწარებდნენ. განსაკუთრებით შუაზიელები და ერთი ესტონელი, გვარად კიაბი, რომელიც სისხლს გვიშრობდა.



1960 წელს თბილისის „დინამო" პირველად გამოჩნდა ევროპის ჩემპიონთა თასზე – მეორე წრიდან ჩავებით გათამაშებაში. საწყის ეტაპზე რუმინეთის „სტიაუა" დავამარცხეთ, 1/4-ფინალში ბულგარეთის „აკადემიკს" ვაჯობეთ, წინა ორი გათამაშების ფინალისტს და ბულგარეთის ნაკრების საბაზო გუნდს, ნახევარფინალში კი პოლონეთის „პოლონია" დავამარცხეთ, რომელმაც წინა ეტაპზე „ბარსელონას" სძლია. ფინალში ჩვენი ძველი ნაცნობი რიგის არმიის სპორტული კლუბი გველოდა. პირველ ფინალში ათი ქულის სხვაობით დავმარცხდით – 51:61, მეორე კი 62:69 წავაგეთ. ძალიან გულდასაწყვეტია, როცა ტიტულამდე ერთი ნაბიჯი გაკლდება, მაგრამ მეორე მხრივ, ჩვენ ხომ პირველად ვითამაშეთ საერთაშორისო არენაზე?

1962 წლის ჩემპიონთა თასის გათამაშებაშიც მეორე ეტაპიდან ჩავერთეთ. პირველად კვლავ „სტიაუას" ვაჯობეთ, 1/4-ფინალში კი კიდევ უფრო დიდი უპირატესობით დავამარცხეთ თურქეთის „დარუშაფაკა" - 80:67 სტამბულში და 84:49 თბილისში. ნახევარფინალში საკალათბურთო კლასიკა გაიმართა – თბილისის „დინამო" მოსკოვის ცსკა. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ძლიერი მეტოქე გვყავდა, ფაქტიურად, იმ წლების ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბი, ყველაფერი ვიღონეთ და ცსკა მისსავე მოედანზე დავამარცხეთ – 75:71. მიუხედავად ამისა, ვიცოდით: ფინალის საგზურის მოსაპოვებლად თბილისშიც ბოლომდე უნდა გვებრძოლა, რადგან მეტოქეს საპასუხო შეხვედრის მოგება თავისუფლად ხელეწიფებოდა. თბილისშიც გავიმარჯვეთ – 77:66 – და ჩემპიონთა თასის ფინალში გავედით!

ფინალში მადრიდის „რეალი" გველოდა. პირველი პრობლემა გადამწყვეტ თამაშამდე შეიქმნა: ესპანეთს და საბჭოთა კავშირს რთული პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდათ, ამიტომ ესპანეთმა ვიზაზე უარი გვითხრა. თავის მხრივ, არც მოსკოვში სურდათ „რეალის" ხილვა. გამოსავალი ფიბა-მ მოძებნა: ორი ფინალური შეხვედრის ნაცვლად, ერთის გამართვა გადაწყდა, ისიც ნეიტრალურ მოედანზე. მასპინძლად შვეიცარიის ქალაქი ჟენევა შეირჩა, თარიღად – 29 ივნისი.

ფინალს ჟენევის "პატინუარ დუ ვერტენსმა" უმასპინძლა. მთელი დარბაზი გადათეთრებული იყო, ათასობით ესპანელს შორის კი „დინამოს" მხოლოდ ოთხი ქომაგი იჯდა, მაგრამ რა გულშემატკივრები: საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პირველი ხელმძღვანელის სპირიდონ კედიას ქალიშვილი დიკა კედია ფრანგ მეუღლესთან ერთად; შალვა დადიანის პირველი მეუღლე ნინო ჩხეიძე; გალაკტიონის მუზა მერი შერვაშიძე და ქართული პროზის პატრიარქი გრიგოლ რობაქიძე!

რა შეიძლება ითქვას ფინალზე? ეს იყო თამაში, რომელშიც კარგი ინდივიდუალისტებით დაკომპლექტებული ორი გუნდი დაუპირისპირდა ერთმანეთს. საბედნიეროდ, ჩვენ ყველაფერი უკეთ გამოგვივიდა და გავიმარჯვეთ – 90:83! საოცარი შეგრძნება იყო, მეცხრე ცაზე ვიყავით სულიერადაც და ფიზიკურადაც!

*(გაგრძელება იქნება)*

## პოლიციამ შვიდი ნარკორეალიზატორი დააკავა

მარნეულსა და ფონიჭალაში ერთდროულად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, 7 ნარკორეალიზატორი დააკავეს. დანაშაული 8-დან 20 წლამდე ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. სამინისტროს ინფორმაციით, ბრალდებულები ნარკოტიკებს სისტემატურად ყიდდნენ, პოლიციამ კი მათ მიერ გაყიდული ნარკოტიკული საშუალებები ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილით მიმდინარეობს.

სამართალდამცველები, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქის – ჯ.ე.-ს დაკავების მიზნით, სამი თვის განმავლობაში ინტენსიურ ოპერატიულ ღონისძიებებს ახორციელებდნენ. ამ პერიოდში არაერთი საგამოძიებო მოქმედება ჩატარდა, რის შედეგადაც, პოლიციამ ჯ.ე. ნარკოდანაშაულისთვის თბილისში დაკავა. ნივთმტკიცებად ამოღებულია სინთეტიკური ნარკოტიკული საშუალება „მდმა-ს" შემცველი „ექსტაზის" 393 აბი. გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლით მიმდინარეობს.

შსს თანამშრომლებმა აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს საქართველოსა და საფრანგეთის მოქალაქე, 1980 წელის დაბადებული ვ.ვ. ამოღებულია 12 აბი ნარკოტიკული საშუალება „სუბუტექსი" და 4 კაფსულა „მეტადონი", – ნათქვამია განცხადებაში.

**გაზეთ "ილორისათვის" ფინანსური დახმარების მსურველებს შეუძლიათ გადმორიცხონ თანხა შემდეგ საბანკო ანგარიზე:**

**ს.ს „ლიბერთი ბანკი"**

**ანგარიშის ნომერია: GE79LB0711188020717000**

**ანგარიშის №ვალუტაში: GEL / USD / EUR – მულტი სავალუტო ანგარიში**

**მფო: 220101480**

**მიმღები ბანკის დასახელება და მისამართი: ს.ს. „ლიბერთი ბანკი"**

**ი. ჭავჭავაძის გამზირი 74**

**თბილისი, 0162, საქართველო**

**მიმღები ბანკის swift კოდი: LBRTGE22**

**ანგარიშის მფლობელი (მიმღები): ანზორი დანელია,**

**ტელ. 571 22 66 34**

**სახალხო მოძრაობა "სამეგრელო" და გაზეთი "ილორი" გულითადად ულოცავენ დიდი სამამულო ომის ვეტერანებს და ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებს ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 73-ე წლისთავს.**

**სამშობლო არასოდეს დაივიწყებს თქვენს გმირულ საქმეებს და თქვენს დიდებას ვერაფერს დააკლებს გადაგვარებულ ლიბერასტთა ავბედითი ყარყაში!**

## იუმორი

**სომხეთის რადიოს ეკითხებიან:**

**– რას ნიშნავს საქორწინო მანქანის თავზე დადგმული ორი ბეჭედი?**

**– თავიდან ანგარიში ნოლით ნოლია.**

***

**სატელეფონო ზარი:**

**– საიდან არის?**

**– ფეხსაცმელების მაღაზიაა.**

**– უკაცრავად, ნომერი შემეშალა..**

**– არა უშავს, მოიტანეთ და გამოგიცვლით!**

***

**ორი სვანი ცხენებს იყიდიან და ფიქრობენ, როგორ გავარჩიოთ ერთმანეთისგანო.**

**ერთი ეტყვის მეორეს:**

**– მოდი კუდები დავაჭრათო.**

**დააჭრიან ორივე ცხენს კუდს და მაინც ვერ არჩევენ. მარჯვენა ყურებსაც მოაჭრიან, მერე მარცხენას, ცხენები ისევ ერთნაირია. ბოლოს ერთი იტყვის:**

**– მოდი, მაშინ თეთრი შენი იყოს და შავი – ჩემიო.**

**სასწაულმოქმედი პრეპარატები "დომენტოლი" და "გაგენოლი" მუდამ იქნებიან თქვენი ჯანმრთელობის სამსახურში**

*დომენტი გაგნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შვლის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.*

*მკურნალის საქმეს წარმატებით აგრძელებენ მისი შვილები: ზეზვა და დოდო.*

*კოორდინატებია: თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – 10-დან 16 საათამდე.*

**ტელ: 593-22-66-51, 593-62-28-48**

**მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან**

ISSN 1987-8966 "ილორი"

რედაქციის მისამართი:
**თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6**
**სარეგ. №01018002930**
**234-32-95**

მთავარი რედაქტორი: **როლანდ ჯალადანია**
**გაზეთის მენეჯერი:** 599-34-37-27 ტექრედაქტორი
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

**გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge**